ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
13
აპრილი
№ 15 (2748)
გამოცემის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა









# ჭირსა შიგან...



წელიწადი მობრუნდა აპრილის ტრაგედიის დღიდან.

დასრულდა გლოვის წელიწადი, ვინ იცის, მერამდენე ქართველი ერის არსებობის ისტორიაში. ქართველმა კაცმა კიდევ ერთხელ გამოიტირა ისტორიული უბედობა, კიდევ ერთხელ დაჰგმო გაუტანელი წუთისოფელი და ცრემლი შეუერთა წინაპართა გლოვას.

ამქვეყნიური არსებობის ტრაგიზმის განცდა ქართველი კაცის ბუნებას მემკვიდრეობით მოსდგამს და, შეიძლება, ამიტომაცაა, რომ ქვეყნის უკუღმა ტრიალს ქართველი არა თუ უძლებდა, გასაჭირში ახალ სასიცოცხლო ძალასაც აგნებდა.

ახეა ამჯერადაც, 9 აპრილის ტრაგედიამ კი არ დათრგუნა და დააბეჩავა ქართველი ხალხი, არამედ გამოაფხიზლა და ერთ მუშტად შეკრა. ამის დასტურია ეს დღეებიც — სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღეები.

ეს დღეები ერთ ფაქტსაც ადასტურებს — ქართველი ხალხი გლოვაშიც ისევე გულწრფელი და ერთსულოვანი ყოფილა, როგორც შავი ბედის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიახაც, ღირს ამ ფაქტის აღნიშვნა. ნუ დავივიწყებთ — განვლილმა სამოცდაათწლიანმა ისტორიამ, უკუღმართმა და პომპეზურმა ცხოვრებამ გლოვაც პომპეზური გვახწავლა, დაღუპულთა ხსოვნაც ლამის ავტორიტარული კონიუნქტურის ხფეროში მოვაქციეთ, სულთა ცხონებისათვის ლოცვა ეკლესიასაც აღარ დავანებეთ.

მადლობა უფალს, ჩვენი ქვეყნის ზეცაზე კვლავ ნათდება განთიადის ვარსკვლავი!

ნინო სამხარაძის
ტექსტი და ფოტო

## ბატონ მუხრანს

სულ ორიოდე დღის წინ მივიღე თბილისიდან გაზეთები, რომლებშიც ქართველი ინტელიგენცია გულმხურვალედ გილოცავთ თქვენი დაბადების მესამოცე წლისთავს. ვიცი, ჩემი ბარათი ძალზე დაიგვიანებს, ან ეგებ ვერც მოაღწიოს თქვენამდე, მაგრამ მაინც მინდა ჩემი ხმაც შევუერთო თქვენი კეთილისმსურველების ქოროს. მინდა იცოდეთ, რომ საქართველოდან ძალზე შორს, ამერიკაშიც გყავთ თქვენი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლები.

თქვენმა ლექსებმა ბევრჯერ მაგრძნობინეს ქართული სიტყვისა და რიტმების განუმეორებელი ეშხი. მათ ისეთი დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე, რომ თუ მეც ზოგჯერ ლექსად „მეფიქრება“ და ლექსად მედარდება საქართველოზე, ქართულ საუბარზე და ქართული ენის შეუდარებელ ხმოვანებაზე, ამისთვის სხვა ბრწყინვალე ქართველ პოეტებთან ერთად თქვენც უნდა გიმადლოდეთ.

მიიღეთ ჩემი ყველაზე კეთილი, ყველაზე გულითადი სურვილები. ღმერთმა მოგცეთ დღეგრძელობა და დაუშრეტელი ენერგია, რომ კიდევ დიდხანს ემსახუროთ თქვენს ერს, ქართულ პოეზიას და ქართველ მკითხველებს.

პატივისცემით,
**დოდონა კიზირია**

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია უერთდება ქალბატონი დოდონა კიზირიას მილოცვას და ბატონ მუხრანს უსურვებს მრავალ 12 აპრილს, მრავალ დაბადების დღეს მოსწრებას.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, მიმდინარე წლის 16 მარტს „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა გაზეთ „ბზიფის“ 8 მარტის ნომერში დაბეჭდილი „ღია წერილი საქართველოს პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს“, რომელსაც ხელს აწერდა აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ გუდაუთის განყოფილების გამგეობა. მაშინ ვრცელი კომენტარისაგან თავი შევიკავეთ, მოკლე სარედაქციო მინაწერს დავჯერდით, ვინაიდან მივიჩნიეთ, რომ წერილის ავტორების ტენდენციურობა და მეტისმეტი არაობიექტურობა ისედაც ცხადი იყო და სერიოზულ განხილვას არც საჭიროებდა.

მაგრამ ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ რედაქციამ უამრავი წერილი მიიღო: მკითხველთა ერთი ნაწილი სასტიკად გმობს „ლიტერატურული საქართველოს“ პოზიციას და, ამასთანავე, დაჟინებით ამტკიცებს, 1989 წლის ივლისში ქართველები დაესხნენ თავს აფხაზ მოსახლეობასო; მეორენი კი მთელ პასუხისმგებლობას აფხაზ ექსტრემისტებს აკისრებენ.

ნ. გრიგალაშვილის აქ გამოქვეყნებული წერილი მკითხველთა ბარათების პასუხია. ავტორი ფაქტებზე დაყრდნობით ნათელყოფს სინამდვილეს.

რედაქციის პოზიცია კი ასეთია: დროა, ნაკლები ვილაპარაკოთ ძველ ჭრილობებზე და ვეძიოთ მდგომარეობის გაუმჯობესების, ნორმალიზების გზები.

# დიდება მოთმინებასა ჩვენსა...

## ნოდარ გრიგალაშვილი

მას შემდეგ, რაც 9 აპრილს სამხედროთა გაზეთის კორესპონდენტებმა ნიანგის ცრემლები აღვარღვარეს იმის გამო, რომ „კეთილი“ და „უიარაღო“ ჯარისკაცები „ცივი იარაღითა და მომწამლავი გაზებით კბილებამდე შეიარაღებულ“ „ბოროტ“ მომიტინგეთა მსხვერპლად იქცნენ, ქართველ კაცს არანაირი უსინდისობა აღარ უნდა აკვირვებდეს.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ურცხვობასა და ვერაგობას საზღვარი არ ჰქონია.

ვინც წაიკითხა „ლიტერატურულ საქართველოში“ 16 მარტს გაზეთ „ბზიფიდან“ გადმობეჭდილი პასკვილი — „ღია წერილი საქართველოს პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს“, ამაში უთუოდ დამეთანხმება.

წერილს ხელს აწერს აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ გუდაუთის განყოფილების გამგეობა.

„აიდგილარა“, თავისი განყოფილებებითურთ, გასული წლის ივლისში ქართველი ერის წინააღმდეგ ავტომატების ჯერით გადმოვიდა შეტევაზე. ახლა კი რესპუბლიკის პროკურორზე გაგულისებულან, როგორ თუ ქაცთა ჟლეტვისათვის პასუხს გვთხოვო და გაღმა შემოდავების პრინციპით, ცილისწამებითა და ცრუპენტელობით ცდილობენ თავი მსხვერპლად წარმოგვიდგინონ.

ძნელი არ არის წერილის ავტორების მზაკვრული ჩანაფიქრის ამოხსნა. „ღია წერილს“ ისინი ოესპუბლიკის პროკურორს კი სწერენ, მაგრამ, არსებითად, იგი მიმართულია აფხაზი ხალხისა და სსრკ-ს ხელისუფლებისადმი. „აიდგილარას“ „ჭკვიან“ თავკაცებს ერთდროულად სამი კურდღლის დაჭერა სურთ.

1) იგრძნეს, რომ მათი ნაავკაცარის შესახებ რესპუბლიკის პროკურატურამ მასალები უხვად შეკრიბა და შეშფოთდნენ. არიქათ, თავს ვუშველოთო და მართლმსაჯულებისგან დასაძვრენად თავდაცვის ნაცადი ხერხი — თავდასხმა აირჩიეს. თავდასხმის ობიექტად კი რესპუბლიკის პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე ამოიღეს თვალში. ცდილობენ ბრალმდებელი ბრალდებულად აქციონ და ამით მთელ ქართველ ერს, ვინც მკვლელების დასჯას ითხოვს, პირში ჩალა გამოავლონ. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თანადგომას სთხოვენ სსრკ-ს გენერალურ პროკურორს.

2) გასული წლის ივლისში, სოხუმში ატეხილი ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებად, თავდამსხმელებად სურთ წარმოადგინონ ქართველები, ქართველი ერი თავის ფორმალებიან-არაფორმალებიანად გამოაცხადონ აფხაზი ხალხის დაუძინებელ მტრად. ამით კიდევ მეტი სიძულვილი გაუჩინონ რიგით აფხაზს ქართველი კაცისადმი და კიდევ ერთხელ მოგვცხონ ჩირქი სხვა ხალხების თვალშიც.

3) პოლიტიკური ბეზღობის ხერხით ცდილობენ, რომ საქართველოს ერთხელ კიდევ აუმხედრონ კრემლი. ქართველობას აცხადებენ კაცთმოძულე, აფხაზებისა და რუსების მოძულე ხალხად. ეს მაშინ, როცა, მათი აზრით, „აიდგილარა“ ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი და, საზოგადოდ, ჰუმანისტური იდეებით ანთებული ორგანიზაცია ყოფილა...

ყოველივე ამის მტკიცება მკვლელთაგან, კაცმა რომ თქვას, არც არის გასაკვირი.

მკვლელები თავის გადასარჩენად ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ ხოლმე. „აიდგილარა“ კი მკვლელთა ორგანიზაციაა. ეს მთელმა საქართველომ იცის. აფხაზ მკვლელთაგან დაღვრილი სისხლი ასე ადვილად არ წაიშლება. აი, როცა დამნაშავეს თავისი მიეზღვება, როცა მკვლელები პრეზიდიუმებში კი არა, საპყრობილეებში მოთავსდებიან, მერე ვილაპარაკოთ ორი ხალხის ნამდვილ ძმობასა და მეგობრობაზე.

ახლა კი „ღია წერილის“ ავტორთა ვერაგობას ჩავუდგეთ კვალში, და, როგორც იტყვიან, მტყუანს სიცრუის კარამდე მივყვეთ.

### მიშველეთ! — ყვირის მოძალადე

ვიდრე საშველად ყვირილს ატეხავდნენ, „აიდგილარას“ განყოფილების გამგეობა ხატავს სურათს, თუ როგორ დაჩაგრულსა და დაბეჩავებულ მდგომარეობაში არიან, „დამჩაგვრელად“ და „დამბეჩავებლად“ კი რესპუბლიკის პროკურატურას ასახელებენ. აი, როგორი „საწყალი“ ტონით წერს ეს „შეშინებული“ და „დაჩაგრული“ ხალხი რესპუბლიკის პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს „ღია წერილს“:

**„დავრწმუნდით, რომ თავხედური სიცრუისა და ფალსიფიკაციის დიდებული უნარი გაქვთ... კანონს განიხილავთ თქვენი ერის საამებლად“.**

**„აფხაზეთის სისხლისღვრაში ჭეშმარიტი დამნაშავეები, მათ შორის პირადად თქვენ, ვისი ხელებიც უდანაშაულოდ დაღუპულთა სისხლშია გასვრილი და მათი დედების ცრემლითაა დანამული, სამწუხაროდ, ისევ თქვენს რბილ სავარძლებში ბრძანდებით“.**

**„ყველა აფხაზს, ვინც მხარს არ უჭერს ქართველი არაფორმალების ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მათ გამოხტომებს ებრძვის, თქვენ ექსტრემისტისა და ნაციონალისტის იარლიყს აკერებთ“.**

**„იმის ნაცვლად, რომ ეძიოთ გზები აფხაზი და ქართველი ხალხების დარღვეული ძმური ურთიერთობის აღსადგენად, თქვენს ინტერვიუში თავხედურად, დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ აფხაზების მხრიდან ივლისის ამბებს ორგანიზებული, წინასწარ დაგეგმილი ხასიათი ჰქონდა. ასეთი ცრუ განცხადება ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ ისე, როგორც აშკარა მოწოდება ქართველი ერისადმი, მოაწყონ მორიგი სისხლისღვრა უძველეს აფხაზურ მიწაზე“.**

ხედავთ, როგორი სურათი დახატეს ამ ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა? თურმე სისხლისღვრა ქართველებს მოუწყვიათ „უძველეს აფხაზურ მიწაზე“, რესპუბლიკის პროკურორი კი ჭეშმარიტი დამნაშავეების სარდლად ჰყავთ წარმოდგენილი... წერილი მთავრდება ისტერიული შეკივლებით:

**„სსრკ-ს გენერალურო პროკურორო, ამხ. ა. ი. სუხარევო, დაგვიცავით პროკურორ რაზმაძის საშინელი თავდასხმისაგან. ის ქართული შოვინიზმის შხამითაა მოწამლული და 37 წლის მეთოდებით ეწევა რეპრესიის პოლიტიკას. გარდა ამისა, წმენდს რესპუბლიკის პროკურატურას სხვა ტომის ხალხისაგან — აფხაზებისაგან“.**

რაღაც არ იგრძნობა ამ წერილში დაჩაგრულ-რეპრესირებული ხალხის ტონი. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მკვლელებს ვიღაცამ უკარნახა: მიდით, თქვენ შეუტიეთ და ნურაფრისა გეშინიათ, აგერ ვარ მეო. იმ ვიღაცის ვინაობას კი თვით „აიდგილარა“ ამჟღავნებს...

გაგიგიათ, მკვლელი პროკურორს, ისიც გენერალურს, საშველად უხმობდეს?..

ამ „ჭკვიანი“ ავტორების ღია წერილმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა.

მეფისდროინდელ რუსეთში ერთი ჩინოვნიკი მეორეს მტრად გადაჰკიდებია. უხელთებია დრო და სასტიკად უცემია მოწინააღმდეგე. დაუგდია ძირს და წიხლებით შემდგარა. როცა დაინახა, რომ მათკენ პოლიცია გამორბოდა, მოძალადე დავარდნილა, შემოუხევია სამოსელი, შემოუგდია ზემოდან მის მიერ ნაცემი კაცი და მოურთავს არაადამიანური ყვირილი: „მიშველეთ, მკლავენ, მიშველეთ!“-ო.

ასეთსავე სცენარს დგამენ წერილის ინკოგნიტო ავტორები. უდანაშაულო და უიარაღო ქართველები ამოხოცეს, შემდეგ კი საქვეყნოდ აღრიალდნენ: სსრკ გენერალურო პროკურორო, ამხ. ა. ი. სუხარევო, გვიშველე და გვიშველეო!..

### „აიდგილარა“ „აიდგილარას“ წინააღმდეგ

„ღია წერილის“ ავტორები, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავდასხმის წამომწყებებად ქართველებს მიიჩნევენ. რესპუბლიკის პროკურორის ერთ-ერთ ინტერვიუს კი მიიჩნევენ „აშკარა მოწოდებად ქართველი ერისადმი, მოაწყონ მორიგი სისხლისღვრა უძველეს აფხაზურ მიწაზე“.

თუ ვინ მოაწყო სისხლისღვრა უძველეს ქართულ მიწაზე, ამის შესახებ ქვემოთ ფაქტებზე დაყრდნობით მექნება საუბარი, მაგრამ მანამდე უპრიანია თვით ღია წერილის ავტორების აზრიც დავიმოწმო ამ საკითხზე. გაზეთის პირველ სვეტში რომ წერენ, თქვენ დაგვესხით თავსო, უეცრად გადავიწყებიათ და მესამე სვეტის მესამე აბზაცში აღიარებენ:

**„ვითარება უკიდურესად გამწვავდა იმ დღიდან, როცა გამოიცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არაკანონიერი განკარგულება — გახსნილიყო სოხუმში თსუ ფილიალი, რომელიც 15 ივლისს ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკების უშუალო მიზეზად იქცა“.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნამ ქართველები გაახარა, აფხაზები კი რატომღაც გააბოროტა. ამას „ღია წერილის“ ავტორებიც აღიარებენ. ახლა ის ვიკითხოთ, ვინ იღებს ხელში იარაღს, გახარებული, თუ გაბოროტებული კაცი?

### სად ვცხოვრობდით ჩვენ, ქართველები?

თუმცა, რას ვამტკიცებ და ვის ვუმტკიცებ. განა მკვლელმა თავად არ იცის, მკვლელია ის თუ არა? იცის, მაგრამ იმედი აქვს, გაზეთ „ბზიფში“ რასაც მინდა, იმას დავწერ, როდის იყო რესპუბლიკური პრესა ბოლომდე გვიბედავდა სიმართლესო. ამაში მართალიცაა. მაგალითად, „ღია წერილის“ ავტორები თამამად წერენ: **„გთხოვთ, განგვიმარტოთ — თქვენთან, საქართველოში, სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი მხოლოდ ეროვნების მიხედვით მოქმედებს?“.**

უცებ საზღვარგარეთის ქვეყნად არ წარმოიდგინეს აფხაზეთი? ახლა მე რომ ასეთი რამ დავწერო: თქვენთან, ადიღეველებში, კავკასიის მთებში, სადაც თქვენი ენა დღესაც გაისმის, თქვენი გვარტომი დღესაც ცხოვრობს, საიდანაც 2-3 საუკუნის წინათ ჩამობრძანდით უძველეს ქართულ მიწაზე, სტუმარმა თავისი ადგილი იცის და მასპინძლის შევიწროება არ სჩვევია, თქვენ რაღა დაგემართათ-მეთქი? —რედაქცია აუცილებლად წამიშლის. მეტყვიან, მაგაზე აფხაზები ღიზიანდებიან და ნუ გავანაწყენებთო.

კი, ბატონო, მართალია, ზღვისპირეთში მცხოვრებმა აფხაზებმა არც ზღვის სახელი იციან აფხაზურად და არც გემისა.

მართალია, არც უძველესი აფხაზური წარწერები აქვთ, რომ თავისი აბორიგენობის შესახებ საბუთები გადმომილაგონ. მართალია.

სხვათა შორის, ამ მუხლის გამოყენებას „ღია წერილის“ ავტორები ითხოვენ თბილისელი პენსიონერის ვ. ვარძიაშვილის მიმართ. რომლის სახელი და გვარი მიწერილი აქვს 1989 წლის 25 ოქტომბერს „აიდგილარაში“ გამოქვეყნებულ აფხაზი ხალხისათვის შეურაცხმყოფელ წერილს.

დადგინდა, და ეს „აიდგილარასთვისაც“ ცნობილია, რომ აღნიშნული წერილი ვ. ვარძიაშვილს არ ეკუთვნის. უბრალოდ, საქმე გვაქვს მორიგ სიყალბესთან. ადამიანს ჯერ სხვათაგან შეთითხნილი წერილის ავტორობას აბრალებენ. შემდეგ კი მის დაჭერას ითხოვენ... კარგად მოუფიქრებიათ არა(?!).

არც იქაური ძველი ეტიმოლოგიაა აფხაზური

მართალია, დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა, (რომელიც სხვათა შორის, წარმოშობით აფხაზია, საქართველოში ჩამოსახლებული ასთამურ ინგოროყუს შთამომავალი და აფხაზების ისტორიის კვლევისას, იმავდროულად, თავისი უძველესი წინაპრების ისტორიასაც იკვლევდა) წერდა, რომ აფხაზები საქართველოში მოსულნი არიან.

ვიცით რომ უფრო ადრე ამასვე ამბობდა მწერალი ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი).

ისიც ვიცით, რომ ამასვე წერს XVIII საუკუნეში აფხაზეთში მოხვედრილი უცხოელი მეცნიერი, გეოლოგი გიულდენშტენდტი, რომელიც ორი საუკუნით ადრე, ცხადია, დღევანდელ ვითარებას ვერ გაითვალისწინებდა და მხოლოდ ფაქტების აღმნუსხველია.

მართალია, ეს ასეა, მაგრამ მე მაინც დიდსულოვნად დავეთანხმები რედაქციას და ვიტყვი, აფხაზები ჩვენი ძმები, ჩვენი მიწის მკვიდრნი არიან და ისე უნდა ვცხოვრობდეთ, როგორც ძმებს შეშვენით. არც სტუმრებს დავარქმევთ, არც მიწას დავამადლებთ და აფხაზი ხალხის სიყვარულიც არ გვესწავლება.

მაგრამ როგორი მოსასმენი და მოსათმენია, როცა იმ მიწაზე მცხოვრები კაცი, სადაც მერეს მონასტერი ააშენეს გრიგოლ ხანძთელის სულიერმა ძმებმა, სადაც დავით აღმაშენებელი მეფობდა, აქეთ რომ მოგვძახის „თქვენთან, საქართველოში“-ო აფხაზეთს გვედავებიან, ქვემო ქართლს გვედავებიან. შუა ქართლს გვედავებიან, მესხეთ-ჯავახეთს გვედავებიან, საინგილოს გვედავებიან.

XIX საუკუნეში სენკევსკებთან და პატკანოვებთან კამათისას დიდ ილიას იმის მტკიცებაც კი სჭირდებოდა, რომ თბილისი საქართველოშია, ქართველებისაა, ჩვენი დედაქალაქია და არა ჰაოსიანთა.

ღმერთი აღარ არის?

### „წაეთრიეთ ჩემი მიწიდან“

„აიდგილარას“ გუდაუთის განყოფილების გამგეობა, როგორც ნახეთ, მიიჩნევს, რომ „ვითარება უკიდურესად გაამწვავა“ განკარგულებამ „გახსნილიყო სოხუმში თსუ ფილიალი, რომელიც 15 ივლისს ძმათა შეტაკების უშუალო მიზეზად იქცა“.

ჯერ ერთი, „ძმათა შეტაკების“ კი არა, აფხაზთაგან ქართველებზე შეიარაღებული თავდასხმისო —უნდა ეთქვათ, და მეორე, **არა მიზეზად**, არამედ თსუ ფილიალის სოხუმში გახსნა ამ თავდასხმის **საბაბად** იქცა. მიზეზის ძიება ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან აფხაზები მიმართავდნენ საკავშირო ხელისუფლებას რესპუბლიკიდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, ანუ საქართველოს ერთი ძირძველი კუთხის მიტაცების შესახებ, რაც, თავისთავად, არაკანონიერი, ანტიკონსტიტუციური ქმედება იყო. ამ უკანონო მოთხოვნის განხორციელება მათ გასულ 1989 წელს უკვე ძალადობით განიზრახეს. 1989 წლის 1 აპრილი აფხაზთაგან დატრიალებული კაცთაკვლის უვერტიურად იქცა.

მოვლენები ასე ვითარდებოდა. 1 აპრილს ლესელიძეში ქართველმა მოსახლეობამ ჩაატარა მიტინგი. ტრიბუნაზე აიჭრნენ გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ოზგანი და ჟურნალ „ალაშარას“ მთავარი რედაქტორი კვიწინია.

ოზგანმა, გამომსვლელს, სხვათა შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, ა. შადურს ხელიდან წაგლიჯა მიკროფონი და მომიტინგეებს დაუყვირა: **„წაეთრიეთ ჩემი მიწიდან, შეწყვიტეთ ლაპარაკი ძაღლურ ენაზე“**. რაიკომის მდივნის „ვაჟკაცობით“ ფრთაშესხმული კვიწინია კი ქართველებს დაემუქრა: **„ვნახავთ როგორ მიხვალთ სახლამდისო“.**

ახლა „ღია წერილის“ ავტორთა სიტყვები გავიხსენოთ, პირფერულად რომ წერენ, — აფხაზეთი ყველასათვის გვემეტება, ჩვენთან სამი სახელმწიფო ენაც გვაქვსო. თქვენ ნაციონალისტები ხართ, ჩვენ კი ინტერნაციონალისტები ვართო.

იქნებ, ოზგანისა და კვიწინიას ბოლო მაკვირვებსო.

იქნებ, ოზგანისა და კვიცინიას გაბოროტებული ღმუილი არავინ არაფრად ჩააგდო და მხოლოდ

ისინი აღმოჩნდნენ ღვთისპირიდან გადავარდნილები?

სამწუხაროდ, მათ მხარდამჭერი ბრბოც ჰყავდათ შეგულებული და მუქარა განახორციელეს კიდეც.

როცა მიტინგის მონაწილეები ქ. სოხუმში ბრუნდებოდნენ, აფხაზი ექსტრემისტები თავს დაესხნენ მომიტინგეთა ავტობუსს, თავდამსხმელებთან მეგაფონით ხელში იდგა ოზგანი. იქვე იყო აფხაზეთის შს მინისტრის მოადგილე ნარმანია. მილიციის თანამშრომლები მხარს უბამდნენ მოიერიშეებს და ქვებითა და ხელკეტებით „გაუმასპინძლდნენ“ მგზავრებს.

უფროსებს არც კომკავშირელები ჩამორჩნენ. რაც უფრო მეტად გამოიდებდნენ ისინი თავს მშვიდობიან მგზავრთა დარბევის დროს, მით უფრო მეტი შანსი გაუჩნდებოდათ დაწინაურებისათვის...

ეს შანსი სხვებთან ერთად არც სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვინმე ჯენიამ გაუშვა ხელიდან.

ამავე დღეს, 19 საათსა და 30 წუთზე, კვლავ გუდაუთის ტერიტორიაზე, აფხაზები თავს დაესხნენ ავტობუსს, რომელშიც ისხდნენ საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტები და მასწავლებლები. ისინი ბრუნდებოდნენ ქალაქ გაგრიდან, სტუდენტ ჯანგიძის დასაფლავებიდან. აი, ამ დამწუხრებულ ადამიანებს, იმ „დანაშაულის“ გამო, რომ ქართველები იყვნენ, ავტომანქანა ვაზ-2106-დან და სატვირთო „გაზიდან“ ცეცხლი გაუხსნეს აფხაზებმა. რამდენიმე მგზავრი დაჭრეს.

ავტობუსის მძღოლმა იმარჯვა და მდევრებს სოხუმში შეასწრო. საშველად მიადგნენ ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ სწორად ვერ მიუგნიათ საიმედო თავშესაფრისათვის. ვინმე ლაგვილავა და დარასელია (ეროვნებით აფხაზები — (?!) მილიციელთა ცხვირწინ დაერივნენ მგზავრებს ჩაჯახით ხელში.

დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე მომხდარი ფაქტით აღშფოთებული ქართველები შეიკრიბნენ მილიციის რაიონული განყოფილების შენობის წინ. ვინმე ამიჩბა მანქანით გამოემართა შეკრებილი ხალხისკენ, განავითარა დიდი სიჩქარე და გადაუარა მოქალაქე ქავთარაძეს.

4 აპრილს ღამით ბზიფში ი. ა. ბარცვეკი მოსაკლავად იმეტებს და ცეცხლს უხსნის ქართველებს ანანიაშვილსა და ოქრუაშვილს.

6 აპრილს სოფელ აძიუჟბაში კაპბამ და ქარჩავამ, ქორელიძესა და მერაბიშვილს გადაუბრუნეს დახლი და გაუნადგურეს გასაყიდად გამოტანილი ხილი.

9 აპრილის შემდეგ ჩვენი უბედურებით გახარებული ვაიაფხაზები მართავენ მარულას.

9 აპრილის შემდეგ აფხაზეთის ქართველობას არ ანებებენ გლოვას, ცდილობენ 9 აპრილის მემორიალის დამსხვრევას.

23 აპრილს ქალაქ გაგრის ცენტრში ვინმე სანგულიამ ხალხის თვალწინ ჩამოგლიჯა საქართველოს სამგლოვიარო ლენტიანი სახელმწიფო ალამი, რომელიც გამოტანილი იყო აჭარაში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით.

ქართველი ხალხის სახელით დაიწყეს გავრცელება პროვოკაციული ფურცლებისა, რომლებიც ეროვნებათა შორის შუღლს თესავდა.

აფხაზები აგუმავა და მინჯია რუსულ საბეჭდ მანქანაზე ამრავლებდნენ ე. წ. „ქართველი ახალგაზრდების ფიცს“, რომელიც მათ და მათმა დამქაშებმა შეთხზეს. ეს ამბავი გაიგო მათმა სამსახურებრივმა ხელმძღვანელმა აიბამ, მაგრამ დუმილი ოქროაო, თქვა და პილატესავით ხელები გადაიბანა.

12 [illegible] დაკავებული იქნა ორი მოქალაქე, რომელიც ავრცელებდა პროვოკაციულ ფურცლებს. მათი პიროვნების დაუდგენლად აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა ორგანიზაციული განყოფილების გამგის ადლეიბას მეშვეობით ესინი სასწრაფოდ გაათავისუფლეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის სოხუმში გახსნის შესახებ განკარგულება გაიცა 1989 წლის 14 მაისს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებს ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტის ფილიალის გახსნამდე, „ღია წერილის“ ავტორებს კი „დაძაბულობის უკიდურესად გამწვავების“ მიზეზად მაინცდამაინც უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა მიაჩნიათ.

კაცმა რომ თქვას, „აიდგილარა“ ამაში არც ტყუის და, აი, რატომ: როცა აფხაზი ექსტრემისტები იარაღით დასდევენ ქართველებს, როცა შეურაცხგვყოფენ, როცა სალოცავებს გვინგრევენ, როცა ჩვენი გლოვის დროს ტაშ-ფანდურს მართავენ, როცა გაიძახიან, „სიკვდილი ქართველებსო“, ან „ჩვენი მიწიდან წაეთრიეთო“, როცა მუხანათურად ძმას გვიკლავენ, ჩვენ კი შებორკილები ვართ, მათთვის ასეთი მდგომარეობა დაძაბული რატომღაც არ არის..

„აიდგილარას“ დაძაბულ მდგომარეობად ის ვითარება მიაჩნია, როცა ქართველობა ხმას იღებს და თავისი კანონიერი უფლებების დაცვას ითხოვს.

რაკი დასანახად ვერ გვიტანთ, რაკი ასე გძულვართ, გქონდეთ თქვენ თქვენი უნივერსიტეტი, ჩვენ კი ჩვენსას გავხსნითო, — აი, ეს თქვეს და გააკეთეს ქართველმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა. არც მეტი, არც ნაკლები და ამაზე აიფოფრა, ამან გაამწარა მთელი აფხაზობა, ამაზე გადაირივნენ უფრო მეტად ექსტრემისტები.

ქართველთაგან არავითარ წინააღმდეგობას არ იყვნენ მიჩვეული, რასაც იტყოდნენ, გასდიოდათ კიდეც.

ახლა კი რა ხდება, უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას არ დავჯერდით და ქართველების ამოხოცვისათვის მკვლელთა საბრალდებო სკამზე დასმას ვაპირებთ...

ეს რამ გაფიქრებინათ, ამას ვის უბედავთო, — დაჯდა წერად „აიდგილარა“, რესპუბლიკის პროკურორზეც მიიტანა იერიში, და, მასთან ერთად, ზვიად გამსახურდიასა და აწ განსვენებულ მერაბ კოსტავაზე.

„დასაბომბი“ „ობიექტები“ ზუსტად შეარჩიეს. „ღია წერილით“ ის თქვეს, რომ ქართველთაგან არც ფორმალებისა გვეშინია და არც არაფორმალებისო. თუმცა, ეს ბაქი-ბუქი, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია და იქვე მოსკოვისკენ პირშექცეულნი სუხარევს ამუნათებენ, შე კაცო, გენერალური პროკურორი არა ხარ? დაიჭირე გამსახურდია, მოხსენი რაზმაძე, მერე მასაც თუ დაიჭერ, კიდევ უფრო გაგვახარებ. ერთი სიტყვით, შეგვიშინე ქართველები და მიგვიშვი ჩვენს ნებაზე, თორემ, თუ 15-16 ივლისს ბოლომდე ვერ განვახორციელეთ ჩანაფიქრი, და თუ ჩვენვე გაგვგზავნი ციხეში, ეს მამასისხლად ნაყიდი და ზოგიც მანდედან გულუხვად ნაჩუქარი იარაღი რად გვინდა, რა თავში ვიხლითო.

კიდევ რამდენიმე „მარგალიტი“ მინდა ამოვყარო „ღია წერილის“ ავტორთა „ნაგვირისტევი“ პასკვილიდან:

**„თქვენთან (არაფორმალებს ვგულისხმობ) ნამდვილი ნაციონალიზმია, ჩვენთან — ინტერნაციონალიზმი“.**

**„თქვენ ერთა შორის დაძაბული ურთიერთობის გამწვავების მომხრენი ხართ, ჩვენ — ამ დაძაბულობის შენელების მომხრენი“.**

**„თქვენთან გაუთავებელი არასანქცირებული მიტინგები და დემონსტრაციებია, ჩვენთან — სანქცირებული“.**

თუ როგორი ინტერნაციონალისტები და ერთა შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების მქადაგებელნი არიან აფხაზი ექსტრემისტები, ეს ზემოთ ნაწილობრივ უკვე ითქვა. რაც შეეხება მიტინგებს, იქ ქართველებს მიტინგის მოწყობაზე სანქციას არავინ აძლევს, აფხაზ ექსტრემისტებს კი ოფიციალური სანქცია, უბრალოდ, არ სჭირდებათ, რადგან ყოველ ანტიქართულ მიტინგს იქაური ოფიციალური ხელისუფალნი სათავეში თვითონვე უდგანან. არათუ უბრალოდ მიტინგს ხელმძღვანელობენ, არამედ მათივე მეთაურობით მოხდა 1989 წლის ივლისში ზღვისპირეთში მცხოვრები ქართველების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა.

## სისხლიანი ივლისი

მოვლენები ასე ვითარდებოდა. 15 ივლისამდე კარგა ხნით ადრე აფხაზებმა დაიწყეს იარაღის შეგროვება, რათა 15-ში ქართველთათვის მოეწყოთ „ფერღანა“. წარმოება-დაწესებულებებში, მეურნეობებში, კოლმეურნეობებში აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს ხელფასიდან უქვითავდნენ 50-100 მანეთს, მოგროვილი ფულით კი ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან უნდა ჩამოეტანათ იარაღი.

როცა აფხაზმა ექსტრემისტებმა იფიქრეს, რომ „ფერღანის“ მოსაწყობად უკვე საკმაოდ იყვნენ ორგანიზებული, დაიწყეს უიარაღო ხალხზე მუხანათურად თავდასხმისათვის მზადება.

საჭირო იყო პროვოკაცია. ქართველთა გამოწვევა.

13 ივლისს აფხაზმა ექსტრემისტებმა მოახერხეს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ გამოცემის შეწყვეტა.

იმავე 13 ივლისს, ღამით, გაანადგურეს 9 აპრილის მემორიალი.

14 ივლისს ალყა შემოარტყეს პირველ საშუალო სკოლას, სადაც დროებით მოთავსებული იყო თსუ-ს ფილიალი, 14 საათზე მიმღები კომისიის წევრებთან შეიჭრა ოთხი აფხაზი — ფაჩულია, ცუქბა, გინდია, კასლანძია, რომლებიც მოითხოვდნენ საბუთების მიღების შეწყვეტას, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისღვრით იმუქრებოდნენ.

18 საათზე, აფხაზეთის შს სამინისტროში გაიმართა თათბირი იმაზე, თუ როგორ „დაეცვათ“ ფილიალი მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

15 ივლისს 03 საათზე მოალყეებმა კომისიის 11 წევრს გადაუკეტეს წყალი და გადაუჭრეს სატელეფონო ხაზები.

იმ ღამეს არ ეძინა მთელ აფხაზურ მოსახლეობას. 15 ივლისი სისხლისღვრის დღედ იყო დათქმული. ტყვარჩელიდან, გუდაუთიდან, ოჩამჩირის რაიონებიდან ორგანიზებულად დაიძრნენ სოხუმისაკენ შეიარაღებული აფხაზები.

15 ივლისს 10-დან 12 საათამდე სოხუმის I საშუალო სკოლის მოალყეთა რიცხვი უკვე 15-17 ათასამდე ადის. ამ ხალხის ნაწილი კბილებამდე შეიარაღებულია. ქართველი ხალხი ფაქტის წინაშე დადგა.

პარადოქსია, მაგრამ ქართველ მოსახლეობას თავის დასაცავად წინა დღეებში არაფერი მოუმოქმედებია. იმ ღამითაც, როცა ქართველთა ამოსახოცად შეიარაღებული ბანდები დაიძრნენ, ქართველ მოსახლეობას მშვიდად ეძინა...

არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენივე მიმნდობლობამ, სიყვარულმა დაგვღუპა...

აი, რას წერენ სოხუმში მცხოვრები ქართველები:

**დიმა ჯაიანი** (მსახიობი): „ჩვენ ვგრძნობდით, რომ სადღაც მეხი უნდა გავარდნილიყო, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო, მაინც არ გვეგონა, რომ ასე გაგვწირავდნენ. ჭორის დონეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფულს აგროვებდნენ, იარაღდებოდნენ.

ჩემი თავიდან გამომდინარე ვერ ვიფიქრებდი! უპირველესად ასეთ შეკითხვას ვსვამდი — მე გავაკეთებ თუ არა ამას? ერთად ვსხედვართ, ვჭამთ-ვსვამთ, გვაქვს მისვლა-მოსვლა ჭირშიც და ლხინშიც. ვეღარ ვუშვებდი, რომ ჩემი გუშინდელი ამხანაგი, ხვალ ჩემი შვილის მოსაკლავად აღმართავდა ხელს. ჭეშმარიტ აფხაზს ამის გაკეთება რომ არ შეეძლო, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვიყავი ამაში...“

**გიზო ხირაძე** (მსახიობი): „მას, რაც მოხდა, ჩემს სიცოცხლეში ვერ წარმოვიდგენდი. სანამ მოხდებოდა, არ მჯეროდა... ეს ხალხი ერთმანეთში ათქვეფილები ვართ სისხლით, ნათესაური კავშირით. არ მქონდა წარმოდგენილი, რომ ნათესავებს ტყვიას ესროდნენ“.

ძალიან ძვირად დაგვიჯდა ეს ყოვლად ადამიანური გრძნობა, — მიმნდობლობა მეზობლისადმი, ნათესავისადმი.

15 ივლისს 12 საათზე აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ა. გოგუას ხელმძღვანელობით, რომელიც იმავდროულად სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ თავმჯდომარეც იყო, გაიმართა მიტინგი, თუმცა მიტინგი, ალბათ, არ არის ის სიტყვა, რომელიც იმ თავყრილობას შეიძლება დაერქვას. **ეს გახლდათ საბრძოლო ძალების დათვალიერება.**

დღისით-მზისით, ათასობით შეიარაღებული აფხაზი ალგზნებული უსმენდა გამომსვლელთა შეძახილებს **„სიკვდილი ქართველებს“. „მოვაწყოთ მეორე ფერღანა“**. მომიტინგეებს იქაურ ხელისუფალთა შიში არ ჰქონიათ, შიში კი არა, პირიქით, ერთიმეორეზე მეტად აქტიურობდნენ. აქაოდა, დეზერტირი არავის ვეგონოთ, გასაწირად გამეტებულ ქართველთა სიბრალული არავინ დაგვწამოსო.

აფხაზეთის ხელისუფალნი ვახსენე, როგორ გგონიათ, სად იყვნენ ისინი ამ დროს? სად და ყველას დასანახად ისინიც შეიარაღებულ აფხაზთა შორის იდგნენ.

სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ ამ სისხლიან აქციას. მკვლელთა წინამძღოლების გვარებს სოხუმში დაუფიქრებლად ჩამოგითვლიან.

აი, ისინიც: **კობახია, გოგუა, გვარამია, ოზგანი, ბაგაპში, ტარკილი, ვოზბა, მარხოლია, კეხერიპა** და კიდევ სხვანი და სხვანი.

მერე და ვინ არიან ეს, უკაცრავად პასუხია, მოქალაქენი?

პირველი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახლდათ. მეორე — აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე(?!), მესამე — აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი(?!), მეოთხე — გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, მეხუთე — ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი, მეექვსე — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეშვიდე — გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე, მერვე — აფხაზეთის პროფსაბჭოს განყოფილების გამგე, მეცხრე — სკოლის დირექტორი.

ესენი — ყველანი — „აიდგილარას“ წევრები ან თანამგრძნობნი და მისი „გარედან“ დამხმარენი არიან. ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, აფხაზი ექსტრემისტები ამ ელიტარული წრის წარმომადგენლებს რომ „ბელადებისა“ და „მთავარსარდლების“ როლში იხილავდნენ, ვისი და რისასი უნდა შეშინებოდათ, რომელი კანონი და სამართალი გაახსენდებოდათ?! შედეგმაც არ დააყოვნა.

13 საათზე სასტიკად სცემეს სამ ქართველ მილიციელს, რომლებიც ცდილობდნენ საჭმლისა და წყლის მიწოდებას კომისიის დატყვევებული წევრებისათვის.

14 საათზე სცემეს სკოლის შენობასთან იმავე მიზნით მისულ ქალაქის მილიციის უფროსს რაფავას. აგლიჯეს სამხრეები და დაუმტვრიეს მანქანა.

19 საათზე შეიჭრნენ სკოლის შენობაში. დაჭრეს კომისიის 8 წევრი, გაანადგურეს დოკუმენტები. იავარქმნეს რუსთაველის პორტრეტი და ბიუსტი, დალეწეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და „სასწრაფო დახმარების“ მანქანები.

ამავე დროს შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა რუსთაველის პარკში შეკრებილ მომხდარი ამბებით თავზარდაცემულ, უიარაღო ქართველობას, დაიჭრა 40 ადამიანი, — უმრავლესობა ქართველი.

ლურსმნიანი ჯოხების თავში ცემით აწამეს ვოვა ვეკუა, რომელიც მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ქალაქში სისხლის [illegible] დგა. ყოველ სადარბაზოში, ყოველი ქუჩის კუთხეში მკვლელები ჰყავდათ ჩაყენებული.

ვინ იცის, როდემდე გასტანდა უდანაშაულო, უიარაღო ქართველების არაადამიანური, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, სვანეთიდან მოსულ მაშველთა რაზმი რომ არ გამოჩენილიყო...

აფხაზმა ექსტრემისტებმა მიაკითხეს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რათა შემდგომი მოქმედებისათვის მორიგი დირექტივები მიეღოთ. დაახლოებით 22 საათზე, მინისტრთა საბჭოს სამოსამსახურო ავტომანქანით, მათთან გამოცხადდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კობახია და საქართველოს კომპარტიის გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივნები კ. კ. ოზგანი და ს. ვ. ბაგაპში.

კობახიამ მიმართა შეიარაღებულ ხალხს და ყველანი მინისტრთა საბჭოს შენობაში შეიყვანა.

ჩამოგლიჯეს კაბინეტის კარებზე წარწერილი გვარები იმ თანამდებობის პირებისა, რომლებიც ეროვნებით ქართველები არიან.

შენობის სახურავიდან ჩამოაგდეს საქართველოს სახელმწიფო დროშა და აღმართეს ახალი ალამი წარწერით CCPA (აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (?!).

ექსტრემისტთა ლიდერები საკონფერენციო დარბაზში მკვლელებს მორიგ დავალებებს განუსაზღვრავდნენ. სახურავზე, კიბეებზე, შენობის მისადგომებთან სადარაჯოდ დააყენეს შეიარაღებული ხალხი.

ამ სურათს რომ წარმოვიდგენ, ერთი კითხვა მიჩნდება თქვენდამი, ოზგანებო და ვოზბებო, კობახიებო და გოგუებო:

ყველა ყაჩაღმა სასახლეში მოიყარეთ თავი და კათალიკოსი ხომ არ დაგეცემოდათ თავს, ამდენი შეიარაღებული რაზმელი რომ დაიყენეთ სადარაჯოდ?..

არ ვიცი, კონკრეტულად რა ითქვა იმ ღამეს მინისტრთა საბჭოს საკონფერენციო დარბაზში, მაგრამ იმის მიხედვით, მეორე დილით, 16 ივლისს, დაახლოებით 10-11 საათზე მინისტრთა საბჭოს შენობიდან გამოსულმა ოზგანმა რომ ბრძანება გასცა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, „შეიარაღებულმა კონფერენციამ“ რა გადაწყვეტილებაც მიიღო.

რაიკომის პირველი მდივანი მიიხმობს თავის ქვეშევრდომებს და უცხადებს: **„გაძლევთ პარტიულ დავალებას, ჩათვალეთ, რომ მე ამის შესახებ გეუბნებით პარტიის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში. თქვენ უნდა განაიარაღოთ გასამხედროებული არასაუწყებო დაცვა და შეაიარაღოთ ძმ იარაღით აფხაზი ხალხი. ეცადეთ ეს ყველაფერი გააკეთოთ უხმაუროდ. იმოქმედეთ!“.**

შემდეგ რაც მოხდა, კარგადაა ცნობილი. აფხაზი ეროვნების თანამდებობის პირებმა დაარიგეს იარაღი. 16 ივლისს, ფაქტობრივად, მთელი აფხაზობა კბილებამდე შეიარაღებული იყო. მათ განკარგულებაში გახლდათ საზღვაო ნავები და კატერები.

თავდასხმები რკინიგზაზე, საავადმყოფოზე, არაადამიანური საქციელი აფხაზი ეროვნების ექიმებისა.

იმავდროულად დასავლეთ საქართველოს აღშფოთებული მოსახლეობის აფხაზეთში შეჭრის შიშით, ოზგანი უკავშირდება მოსკოვს და საშველად უხმობს ჯარს. თექვსმეტშივე უცხადებს ხალხს, მალე აქ საბჭოთა არმიის შეიარაღებული ძალები გაჩნდებიანო, ასეც მოხდა...

ყველაფერს ერთ წერილში ვერ დატევს კაცი, ყველა იმ ცოდვას, რაც აფხაზმა ექსტრემისტებმა იდვეს თავს, სქელტანიანი ტომებიც ვერ დაიტევს. მაგრამ მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოდვის ჩადენა მოსწონთ, ცოდვისათვის პასუხის მოთხოვნა კი არ ნებავთ... ასეთ „ჭკვიანთა“ საკრებულოა ეს „აიდგილარა“...

# ზნეობა დამარცხებულსაც მოეთხოვება

## „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის განცხადება

მართლაც საინტერესო დროში ვცხოვრობთ — ყოველი დღის თენებას ახალი სიურპრიზები მოაქვს:

სახელები ეცვლებათ ქუჩებს, მოედნებს, ქალაქებს...

სახელწოდებებს იცვლიან ჟურნალები, გაზეთები, ალმანახები...

ხულ ახლახანს სახელი ალმანახ ... ახაც“ შეუცვლია — „ქართულ მწერლობად“ გადანათლულა... თაგრამ, სამწუხაროდ, სახელთან ერთად „ზნეც“ შეუცვლია და ამბიციურიც გამხდარა — იხე აჩვენებს მკითხველს თავს, თითქოს ახალი დაარსებული ... ს!

„საოცრად გვჭირდებოდა ჟურნალი, რომელიც... გააშუქებდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის საკითხებს...

სწორედ ამგვარი მიზნით გამოხული ალმანახი „ქართული მწერლობა“ უთუოდ ძვირფასი შენაძენია ჩვენი საზოგადოებისათვის“.

აქ, არც მეტი, არც ნაკლები, აშკარად არის ნათქვამი, რომ სრულიად ახალი ალმანახი დაარსებულა. ეს აზრი კიდევ მეტი პირდაპირობით არის განცხადებული შემდეგ სტრიქონებში:

„მივესალმები „ქართულ მწერლობას“, მის მესვეურებს და მივულოცავ სრულიად საქართველოს ახალი... ალმანახის შექმნას“.

ასე გულმხურვალედ ესალმება ჩვენი ცნობილი მეცნიერი „ახალი ალმანახის შექმნას“.

ახლა ვნახოთ, როგორ ულოცავს სახელგანთქმული კომპოზიტორი ალმანახს: „გულწრფელად მიხარია ალმანახ „ქართული მწერლობის“ შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლა...“

კი მაგრამ, რატომ ჩააყენეს ეს ფრიად პატივცემული პიროვნებები ასეთ უხერხულ დღეში ალმანახის მესვეურებმა?

ნუთუ ძნელი იყო იმის ახსნა, რომ ახალი ჟურნალი კი არ იქმნებოდა, არამედ ძველს ეცვლებოდა სახელი, და, თუ ამის ახსნა თავიდან „ვერ მოახერხეს“, მერე რაღა დაუდგა წინ ამ „შეცდომების“ გასწორებას?

ამის გარდაც, ძველი სახელწოდება „კრიტიკა“ გაცილებით უფრო ზუსტად არ გამოხატავდა თემატური ალმანახის პროფილს, ვიდრე ახლადშერქმეული „ქართული მწერლობა“? ქართული მწერლობა მარტო კრიტიკა ხომ არ არის, იგი ამავე უფლებით მოიცავს პროზას, პოეზიას, დრამატურგიას, მხატვრულ პუბლიცისტიკასა და მხატვრულ თარგმანს.

აქედან გამომდინარე, ალმანახის ახალი სახელწოდება ელემენტარულადაც ვერ გამოხატავს საგნის არსს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, ამ სახელწოდების ჟურნალი ოციანი წლების საქართველოში ერთხელ უკვე რომ გამოდიოდა და ამის შესახებ ალმანახში არაფერია ნათქვამი. მართალია, ამით ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ ეთიკის ნორმა კი დაირღვა. თუმცა ალმანახის მესვეურთათვის ეს საზოგადოებრივი მოთხოვნილება — ეთიკა — უცხო ხილიც ყოფილა!

მხედველობაში გვაქვს მათი პასუხი თამაზ წივწივაძის წერილზე — „ამხანაგო ბრეგაძევ, ძმაო დოიაშვილო!“.

დაუწერელი კანონია — ახლადდანიშნულმა რედაქტორმა ჟურნალში მოღვაწეობა საკუთარი „შემოქმედებით“ არ უნდა დაიწყოს, არ უნდა დაეხარბოს და პირველსავე ნომერში პირადი ანგარიშსწორების წერილი არ უნდა დაბეჭდოს.

ეს საქციელი ყოველგვარი ეთიკის ნორმებს სცილდება და თავხედობაში გადადის!

მით უფრო, როცა თავის მილოცვაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი მუხრან მაჭავარიანი თითქოს საგანგებოდ აფრთხილებდა რედაქციას: „კრიტიკა არ უნდა განაპირობოს პირადმა ანგარიშმა..“

ამასვე უსურვებდა რედაქციას თავის მილოცვაში ცნობილი რეჟისორი, ბატონი თემურ ჩხეიძეც: „იმედი მაქვს, ალმანახი შეიცვლის თავის (ზოგ შემთხვევაში) აგრესიულ ტონს, ერთმანეთშორის ანგარიშსწორების ატმოსფეროს“.

თანაც, მშვენიერი მაგალითი ჰქონდათ ალმანახის ახალ ხელმძღვანელებს — წინამორბედი რედაქტორი, მართალია უკანონოდ, მაგრამ ამავე მიზეზით გაათავისუფლეს!

მათ კი არამარტო თავის ოპონენტს გაუსწორეს ანგარიში, არამედ „ლიტერატურულ საქართველოსაც“ გადასწვდნენ.

„რედაქციამ თავის რჩეულ ავტორს „შემოქმედებითი თავისუფლების“ მართლაც იდეალური პირობები შეუქმნა — ლაგამაშვებით აჭირითა იგი გაზეთის ფურცლებზე და მიზანში ამოღებული ავტორების დისკრედიტაციის ჟინით შეპყრობილმა, ველარ შეამჩნია, როგორ იქცა ზღვარდაუდებელი უხამსობისა და თავზარდამცემი არაპროფესიონალიზმის რუპორად“.

აი, ასე კოლეგიალურად გვექცევიან სახელშეცვლილი ალმანახის სახელგატეხილი მესვეურები. თითქოს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე „ჩვენი რჩეული ავტორი“ თამაზ წივწივაძე „ლაგამაშვებით გვიჭირითებია“, ხოლო თავად „ლიტერატურული საქართველო“ ზღვარდაუდებელი უხამსობისა და თავზარდამცემი არაპროფესიონალიზმის რუპორად გვიქცევია.

საკუთარი ჟურნალის ფურცლებზე ქართველი მწერლების გაზეთს რომ ასე ლანძღავ, — ეს უკვე უზნეობაა! ჩვენი ეს „ვარაუდი“ უფრო სარწმუნო გახდება, თუ კონკრეტულ მაგალითსაც მოვიტანთ.

თამაზ წივწივაძე, სრული წესიერების ფარგლებში, თ. დოიაშვილსა და ლ. ბრეგაძეს შენიშნავდა:

„ახლაც ყველაფერი დალაგდება, ასე თუ დავწერთ:

თეიმურაზ დოიაშვილი,

ლევან ბრეგაძე.

მართალია, ბევრი პირობითი შეთანხმება აქაც დარღვეულია, მაგალითად, ის, რომ გრაფიკულად გაცილებით ამო საქმერია, როცა გრძელი გვარი ქვემოთ არის მიწერილი.

ამის გარდა, თანაბარ პირობებში ალფაბეტის წესი უნდა მოქმედებდეს!“

როგორ გგონიათ, ამ ყოვლად სამართლიან შენიშვნას ალმანახის „ზრდილი“ მესვეურები, როგორ პასუხს გასცემენ?

თავად ნახეთ!

„გვარების თანმიმდევრობა-განლაგება ჩვენი ხელშეუვალი საავტორო უფლებაა და საბედნიეროდ, თ. წივწივაძე აქ კანონმდებელი არ არის; ხოლო თუ ბატონ თამაზს მოკლე გვარი ზემოდან ეამება („გაცილებით ამო საცქერიაო“), გრძელი კი ქვემოდან, ეს მისი ნებაა“.

ძვირფასო მკითხველებო! როგორ მოგწონთ ალმანახის მესვეურთა „ზრდილობიანი“ სიტყვა-პასუხი?

ამ უხამსობასთან შედარებით „კრიტიკის“ ყოფილი რედაქტორის მკვახედ ნათქვამი სიტყვა, რომელიც ასე მძაფრად აღიქვა საზოგადოებამ, ტკბილ იავნანად ჩაესმის ყურს. ის კი ამ თანამდებობიდან სარედაქციო მინაწერის მკაცრი ტონისათვის გაათავისუფლეს.

მადა ჭამაში მოდისო და, ალმანახის ახალმა ხელმძღვანელებმა კიდევ უფრო შორს შესტოპეს: „... სიმყრალე, რაც გაზეთის ფურცლებზე გადმოიღვარა, მოუშორებელ ლაქად შერჩება „ლიტერატურული საქართველოს“ ისტორიას“.

არ ვიცით, რა როგორ შერჩება „ლიტერატურული საქართველოს“ ისტორიას, მაგრამ ერთი რამ კი ახლავე შეიძლება ითქვას — ბოლო ათწლეულების ქართული კრიტიკის ისტორიას „მოუშორებელ ლაქად“ შერჩება ორი ახალგაზრდა ლიტერატორის — თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის — გაბედითებული მცდელობა, ერთის მხრივ, გაექიქებინათ და ლაფში ამოესვარათ საქვეყნოდ ცნობილი, დიდად პატივსაცემი მწერლებისა და მკვლევარების საკმაოდ რიგიანი წიგნები და, მეორეს მხრივ, კარიერიზმის სენით შეპყრობილნი ფარად ამართოდნენ უნიჭობას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათმა მაამებლურმა საქციელმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა — დავალებული კრიტიკოსები კბილებით იცავენ მედროვე ფუნქციონერ მწერალს, რომელიც სამართლიანად გააკრიტიკა თ. წივწივაძემ.

მათ წერილს თან ახლდა მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილება, რომელიც რედაქციას ავალებდა თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის პასუხის გამოქვეყნებას.

რედაქციამ სამდივნოს დადგენილება არ გაიზიარა და საკითხი ჯერ რედაქტორთა საბჭოზე, მერე კი, რედკოლეგიის სხდომაზე გაიტანა..

სხდომას ესწრებოდნენ სარედაქციო კოლეგიის წევრები: თამაზ ბიბილური, ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, ელიზბარ ჯაველიძე, აგრეთვე, რედაქტორთა საბჭოს წევრები.

აქვე შემოკლებით გთავაზობთ რამდენიმე მათგანის აზრს:

**გურამ ფანჯიკიძე:** — „ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ დადგენილების შესახებ. სამდივნოზე დადგა საკითხი, დაბეჭდილიყო თუ არა თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის წერილი. ბატონმა ხ. ბერულავამ მოითხოვა, რომ მიგველო დადგენილება თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის წერილის გამოქვეყნების თაობაზე. ბატონმა მუხრან მაჭავარიანმა უპასუხა, რომ ასეთ რამეზე სამდივნო დადგენილებას ვერ მიიღებსო. მე ჩემის მხრივ დავსძინე, რომ სამდივნო მხოლოდ რეკომენდაციით უნდა დაკმაყოფილდეს-მეთქი. საერთოდ კი გაოცებული დავრჩი ბატონ ხ. ბერულავას ასეთი აქტიურობით. მან თავისი შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული წერილების გამო ბევრჯერ შეგვიქმნა პრობლემა, ბევრჯერ ჩაგვაგდო უხერხულ დღეში...

მე იმ დღესაც და მეორე დღესაც საგანგებოდ გავაფრთხილე ბატონი მუხრან მაჭავარიანი, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისათვის არავითარ შემთხვევაში არ გაეგზავნა სამდივნოს დადგენილება. მან კვლავ გაიმეორა თავისი მოსაზრება, დღევანდელ დღეს დადგენილების გაგზავნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო.

დღეს კი გაოცებული ვარ, რომ დადგენილება მაინც მიგიღიათ, თანაც ბეჭედდასმული! მთელი გულისწყრომით ვაცხადებ, ეს ბეჭედდასმული დადგენილება კი არა, ბეჭედდასმული ძალმომრეობაა, რის გამოც მე შეურაცხყოფილი ვარ, როგორც სამდივნოს წარმომადგენელი. ამას თან დაერთო თქვენი ინფორმაცია, რომელიც აქამდე ყურმოკრულად ვიცოდი, რომ იგივე ავტორების პირველი წერილი ხ. ბერულავას თვითონ ჩაუდევს კონვერტში და თვითონვე გამოუგზავნია ინჟინრის ხელით.

ყოველივე ამის გამო, მე, როგორც კოლეგიის წევრი, წინააღმდეგი ვარ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ წერილის გამოქვეყნებისა“.

**მამუკა წიკლაური:** — „მე მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დისკუსია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ჩვენ ამით ვებრძვით ე. წ. „ქართულ საბჭოთა პოეზიას“, უფრო კონკრეტულად, კომკავშირელებისა და აქტივისტების პოეზიას — ამ ხალხს თავისი მეთოდები აქვს — არალიტერატურული, არაინტელიგენტური. ჩვენ რომ ახლა დოიაშვილისა და ბრეგაძის წერილი გამოვაქვეყნოთ, შევრცხვებით.

თამაზ წივწივაძე ამბობს, რომ ხ. ბერულავას პოეზია არის უნიჭო პოეზია. არსებობს მეორე — დოიაშვილისა და ბრეგაძის წერილი, რომელიც იცავს ანტილიტერატურას. არ შეიძლება, რომ ეს დავუშვათ“.

**ლაშა თაბუკაშვილი:** — „მე მიმაჩნია, რომ წერილის დაბეჭდვას აუცილებლად აურზაური მოჰყვება. მე რომ დოიაშვილისა და ბრეგაძის მეგობარი ვიყო, ყველაფერს ვიღონებდი, რომ ეს წერილი არ დაებეჭდათ.

თვითონ ხ. ბერულავაც ცუდ დღეში აღმოჩნდება. თუკი მაინც დაიბეჭდება, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იბეჭდება მწერალთა კავშირის სამდივნოს ბრძანებით“...

**ზვიად გამსახურდია:** — „ამ წერილის გამოქვეყნება იქნება დაპირისპირება ლიტერატურულ საზოგადოებრიობასთან, რადგან თამაზ წივწივაძის არგუმენტები მტკიცეა და არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება დადგენილებას, ეს ძველი მეთოდების აღდგენის ცდაა..“

სარედაქციო კოლეგიამ და რედაქტორთა საბჭომ უარი თქვეს პოლემიკის გაგრძელებაზე — თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის წერილის დაბეჭდვაზე. კენჭის ყრის დროს აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა, წინააღმდეგი არავინ წასულა, თავი არავის შეუკავებია...

აი, ეს გახლდათ სარედაქციო კოლეგიისა და რედაქტორთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის საერთო აზრი.

ახლა იქნებ ჩვენც ვიკითხოთ: — ყველა ცდება და მხოლოდ ბრეგაძე-დოიაშვილი არიან მართალნი?!

„დემოკრატიასა“ და „პლურალიზმს“ გვიხსენებენ, მაგრამ იქნებ შევეკითხოთ „დაჩაგრულ“ ავტორებს: — ხ. ბერულავას დასაცავი პირველი წერილი რა მეთოდებით და ხერხებით დაბეჭდეს? ამის შესახებ, დაწვრილებით წერდა თ. წივწივაძე თავის წერილში „ამხანაგო ბრეგაძევ, ძმაო დოიაშვილო!“

კიდევ შევეკითხოთ: — თქვენი მეორე წერილის დაბეჭდვაზე მწერალთა კავშირის სამდივნომ გამოიტანა დადგენილება. თქვენზე უკეთ ვის მოეხსენება, რომ ბატონი ხუტა ბერულავა კავშირის ერთ-ერთი მდივანი გახლავთ და, წარმოიდგინეთ, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მან თავისი კოლეგები — სხვა მდივნები. დემოკრატიისა და პლურალიზმის მიხედვით, უნდა შეგვესრულებინა ეს დადგენილება და არ შეგვესრულებინა კოლეგიის გადაწყვეტილება?! აი, მაშინ ხომ ავიცილებდით თქვენს მრისხანებას, მაგრამ ვერ ავიცილებდით სიყალბეს.

ისინი კი აქეთ გვდებენ ბრალს: „დემოკრატია და პლურალიზმი „ლიტერატურული საქართველოს“ მესვეურებს ასე ესმით: ერთი მხრივ თ. წივწივაძის პასკვილების ნიაღვარი, მეორე მხრივ კი — რედაქციის მიერ ოსტატურად „შებოჭილი“ მოპასუხენი“.

ამაზეც უნდა მოვახსენოთ: თ. წივწივაძის წერილი „მე მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი“ ექვსი თვე მარტო ჩვენს რედაქციაში იდო. თითქმის ყველა რედაქტორი გაფრთხილებული იყო — არ დაებეჭდათ! მერე, როცა „კრიტიკის“ რედაქციამ საბედისწერო რისკის გაწევით მასალა სტამბაში ჩაუშვა, ჟურნალის ის ნომერი მთლიანად „დააპატიმრეს“, ხოლო მისი რედაქტორი რევაზ მიშველაძე, რასაკვირველია, „სხვა მოტივით“, იმ დღეებშივე გაანთავისუფლეს, მის ადგილას კი ის ლიტერატორები დანიშნეს, ვინც ხუტა ბერულავა სახელდახელო წერილით დაიცვეს!

ხუტა ბერულავას დასაცავი წერილი კი, კვლავაც გავიხსენოთ, დოიაშვილისა და ბრეგაძის ხელმოწერით, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ოთხშაბათს საღამოს შინ აახლეს და ხუთშაბათ დილით... დააბეჭდინეს!

ეტყობა ავტორების უტიფრობას საზღვარი არა აქვს, თორემ ამის შემდეგ ამის თქმას როგორ გაბედავდნენ, რომ ისინი რედაქციის მიერ ოსტატურად არიან შებოჭილი.

მიაქციეთ ყურადღება: ოთხშაბათ საღამოს მიტანილი მათი წერილი მეორე დღესვე, ხუთშაბათ დილით დაიბეჭდა, თამაზ წივწივაძის წერილი კი ექვსი თვის შემდეგ, ერთი „ცოცხალი“ რედაქტორი რომ შეიწირა და მეორე ჯვარს აცვეს, მხოლოდ ამის შემდეგ დაისტამბა!

ხოლო, რაც შეეხება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ „თ. წივწივაძის პასკვილების ნიაღვარს“, მხოლოდ და მხოლოდ მათ სათაურებს ჩამოგითვლით და თავად განსაჯეთ, მართლა პასკვილებია ისინი თუ არა:

„რამდენიმე შენიშვნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტზე“, „ლოზუნგების ქვეყანა“, „შავკუტა და კვაკვერები“, „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!“, „შენმა მზემ, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე!“, „გაილვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ“, „მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი!“ და „ამხანაგო ბრეგაძევ, ძმაო დოიაშვილო!..“ ეს წერილები, ყოველ მათგანს დიდი გამოხმაურება რომ მოჰყვა, პასკვილების ნიაღვრად ვერა და ვერ ჩაითვლება, ამხანაგო ბრეგაძევ და ამხანაგო დოიაშვილო!

ამიტომაც ვერ დაგეთანხმებით, რომ ჩვენ თამაზ წივწივაძე „ლაგამაშვებით ვაჭირითეთ გაზეთის ფურცლებზე!“

ამიტომ ვერ დაგეთანხმებით, რომ ამ წერილებმა ჩვენი გაზეთი „ზღვარდაუდებელი უხამსობისა და თავზარდამცემი არაპროფესიონალიზმის რუპორად“ აქცია! ეს წერილები ხომ თავად ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ არის მიმართული?!

თუმცა, თამაზ წივწივაძეს ჩვენი დაცვა არ სჭირდება, თვითონ უკეთ მოახერხებს ამას.

და ბოლოს, გვინდა ვკითხოთ პატივცემულ კრიტიკოსებს — რატომ ლანძღავთ ასე უშვერად რედაქციას? ჩვენთვის გასაგებია, რომ თქვენ სასტიკად დამარცხდით თამაზ წივწივაძესთან კამათში, ვერ დაიცავით ხუტა ბერულავას შემოქმედება და, ცხადია, გამწარებული ხართ, მაგრამ ზნეობა განა დამარცხებულს არ მოეთხოვება?!

# ჩვენ უნდა მოვიპოვოთ

**ოქტომბერი, ვ. ი. ლენინი და თებერვალ-მარტი საქართველოში ანუ დოკუმენტების „მცირედი მიმოხილვა“ ქართველი ხალხის ანექსიასთან დაკავშირებით**

**ვახტანგ გურგენიძე**

ვიცით, რომ ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ახალი ხანა, ინგრეოდა ძველი და შენდებოდა ახალი. ვიცით, რომ ამ პროცესს სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი და მტკიცედ იცავდა რევოლუციის მონაპოვარს. ისიც ვიცით, რომ ვ. ი. ლენინი დაუნდობელი იყო ყველას მიმართ, ვინც წინ აღუდგებოდა რევოლუციურ გარდაქმნებს. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდა იდეურ მტრებს, კონტრრევოლუციონერებს, ყველა არაპროლეტარული წოდების წარმომადგენლებს. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება 1918-1922 წლების ზოგიერთი დოკუმენტი, რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. ეს დოკუმენტები შესულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულებში. ისინი იმაზეც მიუთითებენ, რომ სამარცხვინო ტერორისტული და გაუგონარი დესპოტური აქციები, დათრგუნვის ის ფორმები, რომლებსაც იყენებდა ი. ბ. სტალინი სხვადასხვა პიროვნებათა და ხალხების, მათ შორის ქართველების მიმართ, როდი იყო მხოლოდ მისი გამოგონილი...

ოქტომბერი შემოვიდა საქართველოშიც ამავე რეჟიმის წყალობით, როცა მოხდა ქართველი ხალხის დაპყრობა, „გასაბჭოება“...

სიმართლის თქმა არავის უნდა აშინებდეს, მით უმეტეს, ისტორიკოსს. ისტორია ხომ მეცნიერებათა შორის უპირველესია?! მარქსი და ენგელსი მიუთითებენ: „ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთ, ერთადერთ მეცნიერებას, ისტორიის მეცნიერებას“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 3, გვ. 16, რუსული გამოცემა). ისტორია საჭიროა ჭეშმარიტების აღსადგენად და დასადგენად, მით უმეტეს მაშინ, როცა დაშვებულია შეცდომები ეროვნულ საკითხში. ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ეკუთვნის გაფრთხილება-მოწოდებაც, რომ ეროვნული საკითხი „მსოფლიო საკითხია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი.

აქ არქიწინდახედული უნდა ვიყოთ...

აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ 1000-მაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ“ (თხზ., ტ. 45, მეოთხე ქართული გამოცემა თბ., 1974 წ., გვ. 333).

სამწუხაროა, რომ საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში ვერ გამოიჩინა „არქიწინდახედულება“ საქართველოს „გასაბჭოების“ დროს...

როცა მივმართავთ საქართველოს მაგალითზე ოქტომბრის შემდგომი პერიოდის ისტორიას, მიზნად უნდა დავისახოთ, რომ ვიყოთ „1000-მაგად ფრთხილი“ და ისე ნათელვყოთ ისტორიული სინამდვილე. ვიფიქროთ იმაზეც, თუ როგორ გამოვასწოროთ, ამ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთის მიერ ქართველი ხალხის, საქართველოს მიმართ დაშვებული საბედისწერო შეცდომები; რა ვიღონოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეს ქართველ ხალხს, რათა თვითონ მართოს თავისი ქვეყნის საერო თუ სასულიერო ცხოვრება, თავისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს ხომ უპირველესი, ღვთით მონიჭებული უფლებაა მსოფლიოს ყველა ერისათვის, ყველა ადამიანისათვის?!

მაშ ასე, ამონაწერები უკომენტაროდ ვ. ი. ლენინის წერილებიდან და დეპეშებიდან (დოკუმენტები ამოკრებილია აწ განსვენებული, საქართველოს თავისუფლებისათვის წამებული მერაბ კოსტავას მიერ და გამოქვეყნებულია მისივე ჟურნალ „საქართველოში“):

**გ. ე. ზინოვიევისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:**

**26. 06. 18. ჩვენ სახელს ვიტეხთ: მასობრივი ტერორებით დეპუტატთა საბჭოების რეზოლუციებშიც კი ვიმუქრებით, მაგრამ საქმის დროს — მასების რევოლუციურ ინიციატივას ვამუხრუჭებთ. ეს შე-უძ-ლე-ბე-ლია! უნდა წავახალისოთ ენერგია და მასობრივ-სანაზაობითი ტერორი (ნაშრომთა სრული კრებული. მე-5 რუსული გამოცემა. 50-ე ტომი, გვ. 106).**

**ცარიცინში სახალხო კომისარ ი. ბ. სტალინთან გაგზავნილი დეპეშიდან:**

**07. 07. 18. აუცილებელია ყოველმხრივ და შეუწყნარებლად დაითრგუნონ კონტრრევოლუციონერების ხელში იარაღად ქცეული ეს საცოდავი და ისტერიული ავანტიურისტები (მემარცხენე ესერები). (ტ. 50, გვ. 4).**

**გ. ფ. ფედოროვისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:**

**09. 08. 18. ნიჟნიში, ცხადია თეთრგვარდიელთა აჯანყება მზადდება, საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, ხამთა დიქტატურის შექმნა (თქვენ, მარკინი და სხვ.). სასწრაფო მასიური ტერორის ჩატარება, ჯარისკაცების, ყოფილი ოფიცრების და სხვათა გამლოთებელი — ახობით მეძავის დახვრეტა და გაყვანა. არც ერთი წუთი არ დაიკარგოს.**

**უნდა ვიმოქმედოთ მთელი ძალით: მასიური ჩხრეკები, დახვრეტები — იარაღის შენახვისათვის. მენშევიკებისა და არასაიმედო პირთა მასიური გამოძახებები (ტ. 50, გვ., 142).**

**პენზის გუბაღმასკომისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:**

**09. 08. 18. ჩატარდეს უმოწყალო მასიური ტერორი კულაკების, მღვდლების, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ; საეჭვონი ჩაიკეტონ საკონცენტრაციო ბანაკებში ქალაქგარეთ (ტ. 50, გვ. 143-144).**

**ა. კ. პაიკესისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:**

**22. 08. 18. გირჩევ დანიშნო შენი მეთაურები, დაიხვრიტონ შეთქმულები და მერყევნი ყველასაგან დაუკითხავად, ზედმეტი, იდიოტური გაჭიანურებების დაუშვებლად (ტ. 50, გვ. 165).**

**ა. გ. შლიაპნიკოვისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:**

**12. 12. 18. მთელი ძალა იხმარეთ, რომ დაიჭიროთ და დახვრიტოთ ასტრახანელი სპეკულიანტები და მექრთამეები. ამ ნაძირალებს ისე უნდა გავუსწორდეთ, რომ წლების შემდეგაც ახსოვდეთ (ტ. 50, გვ. 219).**

**ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილი დეპეშიდან:**

**16. 02. 20. დახვრეტით დაემუქრეთ იმ დაუდევარს, ვისაც, განაგებს რა კავშირგაბმულობას, არ შეუძლია მოგვცეს კარგი გამაძლიერებელი და უზრუნველყოს თქვენი სატელეფონო კავშირი ჩემთან (ტ. 51, გვ. 134).**

**ლ. ა. ფოტიევასადმი. განკარგულება:**

**22. 07. 19. „ჩამოახრჩეთ“: 1. სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოები;**

**2. სურსათის კომისარიატი;**

**3. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი;**

**4. სამხედრო კომისარიატი;**

**უაზრო გაჭიანურებისა და დაგვიანებისათვის“ (ტ. 51, გვ. 20).**

**მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს თბოგანყოფილებას:**

**16. 06. 20. თუ არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, მე პირადად მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც. აუტანელია უმოქმედობა და გულგრილობა (ტ. 51, გვ. 216).**

**ი. ა. ბოგდანოვს:**

**23. 12. 21. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია საჯაროდ გავასამართლოთ ბინძური უაზრო ფორიაქისათვის: ამისათვის ჩვენ ყველას და იუსტიციის სახალხო კომისარიატს უნდა გვკიდებდნენ მყრალ თოკებზე. მე კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩვენ ოდესმე ამისთვის ჩამოგვკიდებენ (ჩამოგვახრჩობენ). (ტ. 54, გვ. 87).**

**ი. ს. უნშლიხტისადმი გაგზავნილი წერილიდან:**

**31. 01. 22. რევტრიბუნალების საჯაროობა უკვე საჭირო არ არის; მათი შემადგენლობა გაძლიერდეს „თქვენი“ ხალხით: გაძლიერდეს მათი ყოველგვარი კავშირი რუსეთის საგანგებო კომისარიატთან. გაძლიერდეს რეპრესიების სისწრაფე და ძალა (ტ. 54, გვ. 144).**

**ი. ს. უნშლიხტისადმი:**

**31. 01. 22. ახლა საქმე მხოლოდ ტექნიკურ ზომებშია, რომლებიც დააჩქარებინებს ჩვენს სასამართლოებს, მენშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებს (ტ. 54, გვ. 149).**

**გ. სოკოლნიკოვისადმი:**

**11. 02. 22. ხომ არ ხძინავს ჩვენთან „ნკიუსტს“ (იუსტიციის სახალხო კომისარიატს)? აქ საჭიროა რიგი საჩვენებელი პროცესებისა, მხეცურ წამებათა გამოყენებით. „ნკიუსტს“ ალბათ არ ესმის, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითხოვს ახალ მძვინვარე დასჯათა ახალ ხერხებს (ტ. 54, გვ. 160).**

გავიხსენოთ ისიც, თუ როგორ ეპყრობოდნენ ბოლშევიკები რელიგიას, წინაპართაგან შექმნილ საეკლესიო მატერიალურ და სულიერ მემკვიდრეობას. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ამონაწერები მოლოტოვისადმი ლენინის მიერ გაგზავნილ „საიდუმლო“ წერილიდან და ნ. სტრუვეს კომენტარებიდან (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1989 წლის 10 ნოემბერი):

**„ამხანაგ მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის. 10. 11. 22 წ.**

**... განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გაafთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩახშობად... ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელოებას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რათა მათ არ დაივიწყონ ეს ამბავი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე... დაევალოთ ძერჟინსკის, უნშლიხტს, პირადად მოახსენონ ამის შესახებ პოლიტბიუროს ყოველ კვირას.**

**პარტიის ყრილობაზე მოეწყოს ყველა ან თითქმის ყველა დელეგატის საიდუმლო თათბირი... თათბირზე მივაღებინოთ ყრილობის საიდუმლო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განძეულობის ამოღება, განსაკუთრებით ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით, ისე, რომ არაფერს მოვერიდოთ და ავასრულოთ კიდევაც უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით რაც უფრო მეტ ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი. სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭკუა ამ ხალხს ისე, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადს ფიქრადაც არ მოუვიდეთ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა“...**

**ნ. სტრუვეს კომენტარებიდან:**

**„ეს სულისშემძვრელი დოკუმენტი საჭიროებს კომენტარს რამდენიმე სიტყვით. მისი ორიგინალობა ეჭვს გარეშეა: იგი პირდაპირ არის მითითებული „ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში“, ტ. 45, მოსკოვი, 1964 წ., გვ. 666-667... (არქივში დაშიფრულია: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 2, შეხ. ერთ. 22954)...**

საეკლესიო განძეულობათა ამოღება იყო ტაქტიკური ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ, რათა გაენადგურებინა ეკლესია. დამშეულთა არავითარ დახმარებაზე ლენინი არ ზრუნავდა. რაც უნდა საზარელი იყოს, შიმშილი — „ათასობით გვამი გზებზე“ — მხოლოდ საბაბი, შირმა იყო, რათა გაეძარცვათ ეკლესია და, გაძარცვისას, დაეხვრიტათ რაც შეიძლება მეტი სამღვდელოება და მორწმუნე... რეპრესიების ბაკქანალია დასრულდა პეტროგრადის მიტროპოლიტის ვენიამინის (1922 წლის 13 აგვისტო) სიკვდილით დასჯით, პატრიარქ ტიხონის დაპატიმრებით... პოლიტბიუროსადმი მიწერილი წერილი ლენინს გვიხატავს ისეთად, როგორიც იყო — სასტიკი თავისი ულმობლობით, დაუნდობელი მტრებისადმი, ცინიკოსი ხალხის მიმართ, ხელისუფლების ჟინით შეპყრობილი, ნგრევის გენიალურად ცბიერი სტრატეგოსი; ყველაფერი ეს აბათილებს დღევანდელობის მოდურ წარმოდგენას „ლენინური კანონიერების“ თაობაზე“.

ვ. ი. ლენინის სიმკაცრეზე მიუთითებდა მოლოტოვიც: „ლენინი იყო უსასტიკესი პიროვნება მათ შორის, ვისაც მე ვიცნობდი. საოცრად მომთხოვნი, დავალების შეუსრულებლობას არავის აპატიებდა, მოწინააღმდეგეებს სასტიკად სჯიდა, იდეური მტრების მიმართ დაუნდობელი იყო“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 27 ოქტ.).

ასე რომ, მართალი იყო ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი ვლადიმერ სოლოუხინი, როცა წერდა, რომ რეპრესიების პირველ პერიოდში (ვ. ი. ლენინის დროს) დაიღუპა 15-17 მილიონი ადამიანი. აქედან, „რუსეთში რევოლუციამდე არსებული 360 ათასი ეკლესიის მსახურიდან უკვე 1919 წელს განადგურებული იქნა 320 ათასი“ (ვ. სოლოუხინი „რატომ არ მოვაწერე ხელი იმ წერილს“? ჟურნ. „დროშა“, № 4. 89 წ.).

იგივე ტრაგედია დატრიალდა „გასაბჭოებულ“ საქართველოშიც...

„საქართველოს საკითხთან“ დაკავშირებით, საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი დოკუმენტიც, — დადგენილების პროექტი „გათავხედებული“ საქართველოს დასჯის შესახებ (დადგენილება მიღებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1921 წლის 26 იანვრის პლენუმზე):

**„1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან, სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.**

**2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებულნი არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას ამხ. ამხ. ტროცკის, ჩიჩერინის, სტალინის შემადგენლობით.**

**3. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნება მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს, უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობანი გააჩნია იმისათვის, რომ გაადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში“.**

ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 26 იანვარს დაწერილი პროექტის ეს მითითება კარგა ხანია შეტანილია მის თხზულებათა ტომებში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 289-290).

... და, კავკასიის ფრონტმა მთელი სისასტიკით პირნათლად განახორციელა ეს დადგენილება. 1921 წლის თებერვალში, მიუხედავად ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ხელშეკრულებისა, რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობილ იქნა დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული საქართველო...

იყო თუ არა ეს ანექსია?

პასუხისათვის მივმართოთ ლენინს:

**„ყოველი ხალხი, რომელიც მეორე ხალხთან არის შეერთებული არა თავისი უმრავლესობის ნებაყოფლობითი სურვილით, არამედ მეფის ან მთავრობის გადაწყვეტილებით, ანექსირებული, დაპყრობილი ხალხია“ (თხზ., ტ. 24, გვ. 490, მე-4 გამოცემა).** როგორ გამოვიყენოთ ეს დებულება საქართველოს სინამდვილეში? აქ ხომ არ მომხდარა შეერთება მთავრობის, ან მეფის გადაწყვეტილებით? აქ ხომ დაიპყრო რუსეთის ჯარმა საქართველო? მაშ რატომ ვქმნით სხვადასხვა კომისიებს საქართველოშიც და საკავშირო მასშტაბითაც ყველასათვის ცნობილი ისტორიული ფაქტის „დოკუმენტურად დასაბუთებისათვის“? განა ცინიზმი არაა ამ დაპყრობას ვუწოდოთ „ნებაყოფლობით ქართველ მშრომელთა გასაბჭოება“, ან „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“? ანდა, ვის სჭირდება ზემოთქმულის შემდეგ, ზოგიერთი ისტორიკოსის „მტკიცებანი“ იმის შესახებ, რომ „საქართველოს საკითხი“ მოსვენებას არ აძლევდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მის ბელადს ვ. ი. ლენინს?

როგორ შევაფასოთ საქართველოს დაპყრობამდე და მის შემდეგ, ისტორიკოსთა ატალღავებული ურთიერთსაწინააღმდეგო „კონცეფციები“, „დასკვნები“, „თვალსაზრისები“ ამ საკითხზე?

როგორ ავხსნათ, როგორ გავიგოთ ვ. ი. ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ „ინტერნაციონალიზმი მჩაგვრელი, ანუ ეგრეთწოდებული „დიდი ერისა“ (თუნდაც დიდისა მხოლოდ თავისი ძალადობით, დიდისა მხოლოდ ისე, როგორც დიდია დერჟიმორდა) უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვაში, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის მხრივ, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება?

„რომ ამისათვის საჭიროა ასე თუ ისე აანაზღაურო სხვატომელისადმი შენი მოპყრობით ან შენი დათმობებით ის უნდობლობა, ის ეჭვიანობა, ის წყენა, რაც ისტორიულ წარსულში მიუყენებია მისთვის „დიდმპყრობელური“ ერის მთავრობას“;

რომ, „ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, სადაც საქართველოსადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობას და დამთმობლობას“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 692-695).

როგორ აღვიქვათ, როგორ გავიგოთ საქართველოს მიმართ ქვემოთ მოტანილი „ინტერნაციონალური“ პრინციპების დაცვის, „სიფრთხილის“, „თავაზიანი დამოკიდებულების“, „დამთმობლობის“ ფონზე რუსეთის მე-11 არმიის მეთაურის, გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება, რომელიც რკპ(ბ) პლენუმის დადგენილებითა და ლენინის მითითებით, გადაეგზავნა კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს ორჯონიკიძეს „საქართველოში შეჭრის“ თაობაზე?

1920 წლის 18 დეკემბერს გენერალი ჰეკერი (სხვათაშორის, იგი კარგად იცნობდა საქართველოს, მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის პირველი გიმნაზია, — ვ. გ.) ს. ორჯონიკიძეს სწერს: „საქართველოზე თავდასხმა“, მასზე „შეტევა“, „საქართველოს დაპყრობა“ მოითხოვს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, ყოველმხრივ მომზადებას... „ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვახდინოთ მთელი საქართველოს ტერიტორიის სურამის ქედამდე... მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია სა-

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ქართველის წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში (იხ. გაზ. „სამშობლო“, 1989 წლის ივლისი, № 18). გაანგარიშება ზუსტი აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალში დაიწყო და დამთავრდა კიდეც ანექსია:

მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარმა შემოუტია სომხეთის მხრიდან (ამიტომ მოითხოვდა ვ. ი. ლენინი დაქენებით დადგენილების პროექტში საქართველოზე გავლით „სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარებას“, — ვ. გ.), 15 თებერვალს გადმოლახეს საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანიდან, ომი დაიწყო ვლადიკავკაზიდან — სამხედრო გზით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჭის მიმართულებით. საომარ ოპერაციაში, გარდა მე-11 არმიისა, ჩაბმული იყო მე-8, მე-9, მე-13 არმიები, ბუდიონის კავალერია და სხვა ნაწილები...

სხვათა შორის, წითელი ჯარის 1921 წლის 11 თებერვლის სომხეთის მხრიდან ქურდულად შემოსევის დროს, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მოსკოვის რადიომ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდნენ საქართველოს მთავრობას და ამან განაპირობა საბჭოთა ჯარების შეყვანაო (იხ. „დაპყრობის 60 წელი“, პარიზი, 1981 წ.).

ამასთან დაკავშირებით ლენინმა 1921 წლის 28 თებერვალს ასეთი განცხადებაც გააკეთა: „სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას (რაც სინამდვილეს არ შეეფერება — ვ. გ.) არ შეეძლო ჩვენი აღელვება არ გამოეწვია და ეს მოვლენები იქამდე მივიდა, რომ სომეხ-ქართველთა ომი გადაიზარდა აჯანყებაში (არც ესაა სინამდვილე — ვ. გ.), რომელშიც მონაწილეობა მიიღო რუსული ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა“-ო. აქვე ვ. ი. ლენინი ე. წ. აჯანყებაზე იმეორებს რომ „თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც... ჩვენ მთელ ღონეს ვხმართ, რათა ჩავაქროთ ხანძარი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა“ (თხზ., ტ. 32, გვ. 175-177). ეს ტყუილი ინფორმაციები იმიტომ დასჭირდათ, რომ გაემართლებინათ საქართველოს ანექსია. აჯანყებას რომ ადგილი არ ჰქონია, ეს კარგად სჩანს თვით ფ. მახარაძის საიდუმლო წერილიდან რუსეთის კპ ცენტრალური კომიტეტისადმი: „საქართველოს გასაბჭოება გადაიქცა დაპყრობად... საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არ ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე“ („დაპყრობის 60 წელი“, გვ. 9).

საქართველოს დაპყრობასთან დაკავშირებით, აქვე მივუთითებთ ფართო საზოგადოებრიობისათვის თითქმის უცნობ და მეტად საყურადღებო ფაქტებზეც.

**პირველი დოკუმენტია:** 1921 წლის 5 მარტს ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი რწმუნებულება:

„რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამით რწმუნებას აძლევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხ. აბელ სოფრომის ძე **ენუქიძეს** — შევიდეს საქართველოში რ.ს.ფ.ს.რ. მთავრობის სახელით, როგორც მისი საგანგებო რწმუნებული საქართველოში, სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) ხელისუფლებთან და თბილისის რევკომთან მოსალაპარაკებლად.

ამხ. **ენუქიძეს** საქართველოში ევალება ცდა არ დააკლოს საქართველოში სისხლისღვრისა და სამოქალაქო ომის შეწყვეტას.

ამხ. **ენუქიძის** მიერ გაწეულ ყოველ საქმიანობას, წინამდებარე რწმუნებულების ძალით, სახალხო კომისართა საბჭო გთხოვთ ერწმუნოთ როგორც რუსეთის რესპუბლიკის სახელით აღსრულებულს. მოსკოვი, 1921 წლის 5 მარტი.

**სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვი (ლენინი) საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მაგიერ კარახანი“.** (საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 437, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 5).

**მეორე დოკუმენტია:** 1921 წლის 8 მარტს ფ. მახარაძის გამოსვლა რადიოთი რუსულ ენაზე, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს ირგვლივ განლაგებული საოკუპაციო ჯარებისა და საქართველოში უცხო ქვეყნების წარმომადგენელთათვის.

**„საქართველოს ყოფილ მთავრობას:**

**ახლა, როცა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ჯარებმა გადმოლახეს სურამის ქედი, მამისონის გადასასვლელი და სამურზაყანოს საზღვარი, უკვე მიუახლოვდნენ თქვენს უკანასკნელ თავშესაფარს ქუთაისს, თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ თქვენი საქმე წაგებულია.**

**ომის გაგრძელება უმიზნოა, ომის გაგრძელება დამღუპველია სახალხო მასებისათვის, რომელთა ფიზიკურ არსებობას თქვენ თითქოს იცავდით. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც წინააღმდეგია სისხლისღვრისა, და გამოდის რა ფართო სახალხო მასების სასიცოცხლო ინტერესებიდან, წინადადებას გაძლევს თქვენ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ საომარი მოქმედება, ჩააბაროთ მთელი სამხედრო აღჭურვილობა და ქონება, რომელთაც გამოვიყენებთ საქართველოს წითელი არმიისათვის.**

**ვინც იარაღს დაყრის და ჩაგვბარდება, გარანტირებული ექნება ხელშეუხებლობა და მათ წარსულს მთლიანად დავივიწყებთ.**

**პარტიები და ჯგუფები, რომლებიც აღიარებენ გადატრიალებას და საქართველოს საბჭოთა წყობილებას, ამნისტირებულნი იქნებიან. ამ პარტიების წარმომადგენელთა რევოლუციურ მთავრობაში შეყვანის საკითხი გახდება საგანგებო საქმიან მოლაპარაკებათა საგანი საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდეგ.**

**საქართველოს რევოლუციური კომიტეტი: თავმჯდომარე მახარაძე.**

**წევრები: ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, დუმბაძე, გეგეჭკორი, თოდრია, კვირკველია, ელისაბედაშვილი.**

**1921 წ. 8 მარტი. თბილისი.**
**(მითითებული საქმე, ფურ. 1).**

ყოველივე ამის შემდეგ, განა უაზრობა არაა, დღევანდელ ეტაპზე, საქართველოს ანექსიის დასადგენად შექმნილი მთავრობათა კომისიები?

ისტორიული სინამდვილეა: 1921 წლის 25 თებერვალი იყო, ერთი მხრივ, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ხელშეკრულების უხეში დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსია, დაპყრობა!

მადლობა ღმერთს, გასული წლის ნოემბრის თვეში ჩატარებულმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ დაადგინა, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმა საქართველოზე 1921 წლის თებერვალში იყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევა, რომ მოხდა საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

რა გამოსავალი არსებობს, რა ვიღონოთ „ოქტომბრის შემდგომი ხანის“ ამ შეცდომების გამოსწორებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაშიც დაგვეხმარება ვ. ი. ლენინი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც ჩატარდა „საქართველოს დასჯა“.

მოვუსმინოთ მას: „ანექსიაზე ხელის აღება არის ყოველი ხალხისათვის უფლების მინიჭება — შექმნას ცალკე სახელმწიფო, ან იცხოვროს იმასთან კავშირში, ვისთანაც მას სურს“ (თხზ. ტ. 24, გვ. 490).

გენიალური მითითებაა! (კონსტიტუციური უფლებაც გვაქვს გამოყოფისა).

სწორედ ამისათვის, ამ უფლების განხორციელებისათვის იბრძვის დღევანდელი საქართველო! რას მოვითხოვთ? — თავისუფლებას! ვფიქრობთ, ჩვენთვისაც დადგა, ალბათ, ის სანატრელი დრო, რომელზეც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: **„ხვალინდელი დღე მსოფლიოს ისტორიაში სწორედ ისეთი დღე იქნება, როდესაც საბოლოოდ გაიღვიძებენ გამოფხიზლებული, იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ხალხები და როდესაც დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის“** (თხზ., ტ. 36, გვ. 696). ეს „ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა“ ქართველმა ხალხმა გადაიტანა არგაგონილი მსხვერპლით — 1801 წლიდან დაწყებული ოქტომბრის რევოლუციამდე და საქართველოში „ოქტომბრის შემოსვლიდან“ დღევანდლამდე. თავის ისტორიაში არ ახსოვს ქართველ ხალხს იმდენი უდანაშაულო მსხვერპლი, რაც მე-20 საუკუნემ — სოციალიზმის ეპოქამ მოუტანა. ორ მსოფლიო ომში დაღუპული ადამიანები, — რა შუაში იყო ამ ომში საქართველო? ვერაგულ ბოროტებათა კულმინაცია იყო 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედია — ქრისტიანობისათვის ჯვარცმული ქართველი ხალხის „ახალი გოლგოთა“.

დღეს, ისტორიის გარდაუვალობისა და შეუქცევადობის რთულ ხანაში, ქართველი ხალხი, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, — დამოუკიდებლობის დაბრუნებას; რომ საქართველომ უპატრონოს თავის თავს. სსრ კავშირში შემავალ, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ანექსირებულ, დაპყრობილ ხალხებთან“, — რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც რუსეთისაგან ორჯერ იქნა ანექსირებული. ამდენად, ეროვნული სახელმწიფოებრივი წყობილების აღდგენისათვის ქართველ ხალხს გააჩნია ყველაზე მეტი მორალური, იურიდიული და თეოკრატიული უფლებები; ამ მიზნისათვის იგი აღჭურვილია შესაფერისი ეროვნული პოტენციალით, სათანადო პოლიტიკური ძალით. ეს ძალისხმევა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით და არავითარ შემთხვევაში შეიარაღებული შეტაკებებით. ანექსირებული საქართველოს დამოუკიდებლობის და თვითმმართველობის აღდგენისათვის „მშვიდობიანი ბრძოლა“ უნდა დაემყაროს, ასევე, მხოლოდ და მხოლოდ, ისტორიის ობიექტური კანონებიდან გამომდინარე საკუთარ ძალებს, კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებისა და ნორმების გამოყენებით. ხმამაღლა უნდა ვაუწყოთ ყველას, რომ ჩვენ სხვა (გარეგანი) ძალების არავითარი იმედი არა გვაქვს: რომ მხოლოდ „ჩვენს ხელშია ჩვენი ბედი“. თავისუფლება ჩვენთვის არასდროს არავის უბოძებია, მით უმეტეს, დამპყრობელს, და აქამადაც არავინ გვიბოძებს, იგი ჩვენ უნდა მოვიპოვოთ.

ჭეშმარიტად! გვმართებს დიდზე დიდი გონიერება და სიფხიზლე. როგორც ცენტრში, ისე საქართველოში, წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციები (ზემოდან წინასწარ შემუშავებული სცენარითა და გეგმით, — „გათიშე და იბატონე“) არ გამორიცხავს წამქეზებლის მოიმედე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისაგან ახალ პროვოკაციებს. დღევანდელობას თვალებში უნდა შევხედოთ. ყველაფერი უნდა ვთქვათ, როგორც არის. ახალი სისხლისღვრა რომ არ მოხდეს, საჭიროა რუსეთმა ჯარი გაიყვანოს კავკასიიდან. აქვე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნოვოსიბირსკელი მეცნიერის სერგეი ნოვაკის წერილში გამოთქმულ აზრს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო, 1989 წლის 10 ნოემბერი):

**„მე ეროვნებით რუსი ვარ და მიმაჩნია, რომ სწორედ რუსებმა უნდა დააყენონ საკითხი, რათა საბჭოთა ხალხებმა აღიდგინონ თავისი სახელმწიფოებრიობა. სხვა ეროვნების ადამიანი თუ დააყენებს ამ საკითხს, სამწუხაროდ, ბრალად დასდებენ ნაციონალიზმს... სწორედ რუსმა ხალხმა უნდა დაუბრუნოს თავის მეგობრებსა და მეზობლებს დაკარგული სახელმწიფოებრიობა; დაუბრუნოს თავის მოდრეკით და ბოდიში მოუხადოს მისი სახელით მინიჭებული ყველა შევიწროებისა და ტანჯვისათვის“.**

გვჯერა საკუთარი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით აღსავსე ისტორიული, სისხლითა და ცეცხლით გავლილი სამართლიანი გზისა, ქართველი ხალხის ურყევი და დაუთრგუნავი ძალისა; გვჯერა მისი უკვდავი და მარადიული ეროვნული სულისა, და ასევე გვჯერა, რომ სამშობლოსათვის ღვთიური სიყვარულის ძალითა და თავდადებით მივაღწევთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, თავისუფლებას.

# დრამატურგის გახსენება

წელს სრულდება ცნობილი ქართველი დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის ნიკო შიუკაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავი.

ნიკო შიუკაშვილი მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და შემდეგ ათეული წლების მანძილზე, ერთგულად, გულალალად ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას.

შიუკაშვილების გვარი განთქმული ყოფილა ძველ საქართველოში. ერეკლე მეორის დროს ერთ განთქმულ ბერიკას უცხოვრია, სახელად შიუკა რქმევია. უებრო მომღერალი, ფანდურზე და სალამურზე დამკვრელი ყოფილა ეს შიუკა. ერთხელაც, ბერიკაობაზე პატარა კახს სტუმრებია და მოუხიბლავს მეფე. აღტაცებულ ერეკლე მეფეს ბერიკა დავით რექტორისათვის მიუბარებია სასწავლებლად სასულიერო სემინარიაში, ხოლო მისი შთამომავლობისათვის გვარი შიუკაშვილი დაუმკვიდრებია.

შიუკაშვილების ერთ-ერთი წარმომადგენელი — იოანე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თელავის კარის ეკლესიას განაგებდა და თან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, ანტონ ფურცელაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი.

ბუნებრივია, ასეთ გარემოში აღზრდილი ნიკო შიუკაშვილი სიყრმიდანვე დაინტერესდა სიტყვაკაზმული მწერლობით და სრულიად ნორჩმა სცადა კალამი. 15 წლისას უკვე მოზრდილი რვეული ჰქონია სავსე მინიატურებით, მოთხრობებითა და დღიურებით. თავისი ნაწერები ჟურნალ „თეატრში“ მიუტანა ვალერიან გუნიას, რომელიც მაშინ ჟურნალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ვალერიანს მოსწონებია ყმაწვილის მოთხრობები და „თეატრის“ 1887 წლის მეორე ნომერში დაუბეჭდავს მოთხრობა „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“. ასე შედგა ნიკო შიუკაშვილის სამწერლო დებიუტი.

თვითონ ასე იგონებს ამ ბედნიერ წუთებს: „გული ამიკანკალდა. განა ვიოცნებებდი ასეთ ბედნიერებას. თხუთმეტი წლისას ჟურნალში მოთხრობას მიბეჭდავდნენ. პირგამშრალი შევცქეროდი ვალიკოს... როგორ დავბრუნდი სახლში, რასა ვგრძნობდი, არაფერი არ მახსოვს, ხოლო დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩემი სიცოცხლის ერთი ნეტარი წუთთაგანი“. ამის შემდეგ გამხნევებული მწერალი სისტემატურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

1906 წელს ახალციხეში, სადაც ნიკო შიუკაშვილი მასწავლებლად მუშაობდა, დაიდგა მისი პირველი პიესა „გამხმარი ფოთოლი“. ამის თაობაზე თვითონ ნიკო იგონებს: „ახალციხის სცენისმოყვარეებს პიესები შემოაკლდათ. მე გამოვეხმაურე. სამ კვირაში დაიწერა ჩემი პირველი დრამა „გამხმარი ფოთოლი“ და გადავეცი მათ, როგორც ვითომცდა თბილისიდან მიღებული ვიღაც უცნობი ავტორის ნაწარმოები. პიესა მოეწონათ და წარმოადგინეს. საზოგადოება მას თანაგრძნობით შეხვდა.“



პირველ პიესას მოჰყვა „ციცინათელა“, „მეგობრობა.“, „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“, „მხოლოდ ერთხელ“, „როსტევანი“, „სულელი“, „შტეინახის კვიცები“, „ბერიკაობა,“ „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ახმეტელმა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა მისი კომედიები „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“.

ამ პიესებში აისახა მისი თანადროული საქართველოს ცხოვრება, ის ქარტეხილი, რაც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა. „საინტერესო ხლართი პიესისა, მოქმედ პირთა ტიპიურობა, დინამიურობა მოქმედებაში, ლამაზი და სხარტი დიალოგები, მშვენიერი ლიტერატურული ქართული ენა, ყველაფერი ეს თავიდანვე მოიტანა ამ ჩინებულმა დრამატურგმა თავისი პიესებით და მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი კვებავდა ქართულ თეატრს თავისი კოხტა ნაწარმოებებით.“ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებას შალვა დადიანმა.

ამავე დროს, ნიკო შიუკაშვილი მხოლოდ დრამატურგიული მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა ქართული თეატრის წინსვლისათვის, თეატრალურ სტუდიაში კითხულობდა ლექციებს დიქციასა და მხატვრულ მეტყველებაზე. 1926 წელს მან მეტად საყურადღებო წიგნი „დიქცია და მხატვრული მეტყველება“ გამოსცა.

საოცრად კეთილი და ფაქიზი პიროვნება იყო ნიკო შიუკაშვილი და ამიტომაც სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პოპულარობით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ამასთანავე იყო ჩინებული მუსიკოსიც და მისი მუსიკალური ნიჭიერება შვილებს გადაეცათ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტების, პიანისტ ვანდა შიუკაშვილის და მევიოლინე ლეო შიუკაშვილის სახელები კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის.

თავად კი თეატრით სუნთქავდა, თეატრს ეტრფოდა, თეატრისათვის იღვწოდა.

სასიხარულოა, რომ მის სახელს დავიწყების ბურუსი არ გადაფარებია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ქართული დრამატურგიის თხუთმეტტომეულის მეორე ტომში გათვალისწინებულია მისი პიესების შეტანა.

ზაალ გოტკოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრიგოლ აბაშიძე

●

ამ სოფლის წესი,
  ეს იყო, ალბათ, —
ვინც ამაშენა,
  მანვე დამშალა!
მიტომ მასმევდა წვეთ-წვეთად შარბათს,
რომ ბოლოს მესვა
  მხოლოდ სამსალა.

და ეს მავიწყებს
  ყველა სატკივარს,
გულს ჩამრჩა დარდის
  ერთი ნესტარი —
მეც სამარეში ისე ჩავდივარ,
სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარი!

●

ამას მკარნახობს ფიქრიც, შეგნებაც,
სამყარო ცეცხლში თუ დაინთქმება,
სიცოცხლეს აზრი მაინც ექნება,
თუ საქართველო კიდევ იქნება.

გულწრფელად ვამბობ სათქმელს,
                    გულღიად,
დე, მკრეხელობად ნუ აღიქმება:
სხვა ყველაფერი წყალს წაუღია,
თუ საქართველო აღარ იქნება.

## სინდისის განაჩენი

იჯდა ქრისტე
  და მდუმარე
    დიდხანს,
სილაზე
  თითით
    რაღაცას წერდა,
ჩაქოლვის დასტურს
  ელოდნენ მისგან.
და არ ცხრებოდა
  ყაყანი მტერთა.

შუაში იდგა
  ტურფა ასული,
შიშით ელოდა
  სასტიკ ბრძანებას,
წამით შეირხა
  ფიქრში წასული
ქრისტე და
  წერას თავი ანება.

— ამ ქალს, საჯაროდ,
  მრუში უწოდეს, —
თვალს ავლებს იქ მყოფთ,
  გულთამხილველი, —
ნება აქვს მხოლოდ
  ყოვლად უცოდველს,
ქვა რომ ესროლოს
  ცოდვილს პირველი.

და ყველამ ჰკითხა
  სინდისს ნებართვა —
თუ აქვს უფლება,
  ტყორცნა ითავოს?
ქვის სროლად
  ხელი ვერვინ შემართა,
უხმოდ გაშორდნენ
  მსხვერპლს სათითაოდ.

ეს განაჩენი
  დღეს რომ გვსმენოდა,
სულით მაღალის და
  გულით წმინდის —
ცოდვილს ზირველი
  ცოტა ესროდა?
ბევრი ჰკითხავდა
  ნებართვას სინდისს?

## გეთსიმანია

*...აქა არს, სამხრით*
*მონასტერი გესამანია.*

**ვახუშტი ბაგრატიონი**

მაკვირვებს ზემოთ ამონაწერი
და გასაოცრად ეს მიმაჩნია, —
ვინ ააშენა ეს მონასტერი,
ან ვინ უწოდა გეთსიმანია.

ჩემმა დღეებმა,
  უკვე დათვლილმა,
აქ შემაჩერა დაღლილი,
  დღისით,
ნაძვების ჩრდილში
  წამით წამთვლიმა
და ამ ზმანების მე გავხდი ღირსი:

გესთიმანიის ბაღში მოსული,
ღვთიური ცეცხლით აღტაცებული,
შავი ფიქრებით გარემოცული,
მუხლზე ვედრებად ვარ დაცემული.

თვით გადაწყვიტოს,
  ღმერთს როგორც ნებავს,
სხვა განაჩენის
  არ ვარ მსურველი,
როგორც მას უნდა,
  ან მიმცეს ვნებას,
ან ამარიდოს
  ეს სასუმელი.

ნუთუ შიშია წყარო
  ამ ცრემლის,
უკანასკნელი ლოცვის და ხვეწნის?
ლოყაზე მეწვის ჩემი გამცემის,
ცივი ამბორი
  ლოყაზე მეწვის.

და მებრალები,
  შენ მებრალები,
გამცემო, ხარბო,
  და სულმდაბალო,
შენს ცოდვას
  ვერსად დაემალები,
ყველა ცოდვილზე უფრო საბრალოვ.

მიწა ვერ ბარო,
  ვენახი ვერ სხლა,
ვერსად გაექცე
  სინდისს შფოთიანს...
ვარ გაყიდული
  ოცდაათ ვერცხლად.
ჩემს შესაპყრობად
  უკვე მოდიან.

წინ შენ მოუძღვი,
  ვაგლახ,
    მოვა დრო,
შენს გამო, კაცი
  კაცს არ ენდობა.
მაცალონ, იქნებ
  კიდევ მოვასწრო,
და უფალს ვთხოვო
  შენი შენდობა.

გეთსიმანიავ,
  გეთსიმანიავ...
ღმერთმა შემინდოს —
  ეს სიზმარია!

## მოდის

*...რამეთუ ჟამი ახლოს არს...*
*გამოცხადება!*

თურმე ყოფილა შენი ცრემლები
ჩვენი ცხოვრების წყარო უშრეტი.
ვერ მიხვდნენ შენი ყბაში მცემლები,
ბრბოს მეორე ყბას რაღად უშვერდი.

ბრწყინავს,
  გვინათებს იმ ცრემლის წვეთი
და იცის,
  მართლად ვისაც უვლია,
სარწმუნოდ იცის,
  რომ არის ღმერთი,
და ღმერთი იგი სიყვარულია.

ჩვენ ვერ შევბედეთ,
  ვინ შესძლებს ნეტავ,
შენი გზის გავლას,
  მადლის მთესველო!
ჯვარცმად მიმავალს
  ვერც ვინმეს ვხედავ,
იმ ჯვრის ზიდვაში რომ შეეშველო.

არა და მჯერა,
  ის ერთადერთი
გზა
  ძველებურად უხმობს მესიას,
მჯერა, რომ არის
  ჩვენს შორის ღმერთი,
ჯვარს რომ აცვამენ,
  ქვას რომ ესვრიან.

ის ფენიქსივით ახლდება კვლავაც,
სულის განწმენდის ახალ ყალიბზე,
მოდის,
  მოუძლვის მდუღარე ლავა,
კუპრი და ცეცხლი აპოკალიპსის.

მხედარი ბრძენი და გამოცდილი,
მოჰქრის ფრთოსანი ცხენით ფიცხელით.
და ახლოვდება ძლევამოსილი,
განმსჯელი ჩვენი და განმკითხველი.

ვის დანთქავს ცეცხლი და
  სისხლის ღვარი?
ელიან შიშით შეპყრობილები
და ბორყეული
  ირყევა მყარი
სპიტაკებით და ჩერნობილებით.

ხმალს არ ჩააგებს
  დიდხანს სარდალი,
დაგროვებულა ცოდვა იმდენი,
და მაღლდებიან ცამდის
  მართალნი
და ეცემიან
    ანტექრისტენი.

## კლასგარეშე სავარჯიშო
## დამწყები პოეტებისათვის

მივდივარ...
  მივდივარ, როგორც მთვარ —
არც ბნელი მაფიქრებს, არც ნა —
ქვეყანა ისეა არეულ-დარ —
ამ ქვეყნად არ ყოფნა გახდა სანატრ —

წყალიც და ჰაერიც ნაირ-ნაი —
ალაგ იყინება და ალაგ დნ —
ქვეყანა ისე აირ-დაი —
კაცმა არ იცის, როდის, დალაგ —

დღე დღევანდელი არა ჰგავს გუშინდ —
გაძლება ხომ უნდა ამ ლოდ —
ღრუბელი, რაც უნდა უშლ —
მზე მაინც ამოვა!
  მზე მაინც ამო —

## უკანასკნელ გზაზე

ბზისა და პალმის მწვანე ტოტებით
გზას რომ უფენდნენ გუშინ,
  ისინიც
მუშტს უღერებენ გაბოროტებით
და გარს ერტყმიან ველურ ყიჟინით.

თითქოს მოშივდათ კაცის სხეული,
მისკენ იწევენ, როგორც მხეცები,
ის კი, ჯგლეთაში გამომწყვდეული,
ვიღაცას ეძებს თვალის ცეცებით.

და რომ წააწყდა,
  ვისაც ეძებდა,
მოსწყვიტა მზერა, ხელის სავსავით,,
ისიც უგონოდ იდგა მხეცებთან,
იდგა და ყეფდა ისიც სხვასავით.

ის დადიოდა ტაძარში მორცხვად,
ხელიდან წიგნებს არ იცილებდა,
ტაშს სხვაზე მეტად უკრავდა მოძღვარს
და თვალში კრძალვით შესციცინებდა.

ჭეშმარიტების მძებნელ ყმაწვილად,
ეჩვენებოდა მაშინ რომელიც,
ისიც ქცეულა იმ ბრბოს ნაწილად,
ისიც გამხდარა მისი მგმობელი.

ასეა,
  კაცი ბრბოს როცა ერთვის,
თუნდ მშვიდიც იყოს და ღვთისმოსავი.
ისიც მსხვერპლს ითხოვს,
  ვით მკაცრი ღმერთი,
ისიც სასტიკი ხდება ბრბოსავით.

ახლა, რომ ბორგავს ბრბო უსახური,
ერთ მთვრალ არსებად შეკრული
                    თითქოს,
ისიც მათთან დგას,
  ის ღვთის მსახური,
გაოგნებული მის დასჯას ითხოვს.

მათთვის სიკვდილი ალბათ არც ღირდა,
მაგრამ დე, ნება აღსრულდეს მისი,
მათი ცოდვების გამოსასყიდად,
ვინც ჯვარზე გაკვრის გახდა ღირსი.

მათაც გაეღოს სამოთხის კარი,
წყევლით და კრულვით, ვინც ახლა
                    მისდევს...

ხელჩაქნეულმა ასწია ჯვარი
და გზას ბარბაცით გაუდგა ისევ.

## ახალ საქართველოს

*...უკუიხედა და უმალ*
*იქცა ქვის სვეტად*
*შესაქმე*

დასწვეს სოდომი
  ხანძარს ფეხად გამოასწარი,
სისხლით ნაშენი
  ჩაიშალა
    ქვა და აგური...
ცას სწვდება ალი,
  მიწას ფარავს
    ცხელი ნაცარი,
და არყოფნაში იძირება
  ცოდვის სადგური.

ცოტაც კიდევ და,
  შენც დაგნთქავდა
    ცეცხლი მგზნებარე.
დაწყევლე ის დრო,
  თუღა დაგრჩა
    წყევლა უთქმელი.
ატატებული მოგყავს
  ბალღი ნაოცნებარი —
თავისუფლება —
  ჯერ ნორჩი და
    ფეხაუდგმელი.

ფრთაშესხმული ხარ
  ოცნებითაც,
    მაღალ მიზნითაც,
სული ნუ წაგძლევს,
    არ შეჩერდე,
    დრო არ იხელთო,
დღე გუშინდელი
  თუ მაგნიტის
    ძალით გიზიდავს,
ძლიე ცთუნებას,
  განვლილ გზისკენ
    არ მიიხედო!

მომავლის რწმენას
  როგორ შვენის
    ნაბიჯი მტკიცე!
ცხოვრება გიხმობს
  უსისხლო და უჯოჯოხეთო,
და თუ არ გინდა
  რომ გაქვავდე,
    ქვის სვეტად იქცე,
იარე წინ და,
  გუშინდელ დღეს
    აღარ მოხედო!

**ახალი ლექსები**

ვბეჭდავთ მცირე მონაკვეთს აკაკი ვასაძის რომანისა „ყინულის მარწუხებში". რომანის პერსონაჟთა ცხოვრება ასახავს 30-50-იანი წლების ხანას ჩვენი ყოფისა. რომანი დაწერილია 1971-72 წლებში, უკვე კარგა ხანია ელის დღის სინათლეზე გამოტანას. 1974 წელს გამომცემლობა „მერანი" ამ რომანის შეკვეცილ ვარიანტს აქვეყნებდა, მაგრამ ცენზურამ შეაჩერა და, ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, აკრძალა მისი ხალხში გატანა. ნაბეჭდი თაბახები სტამბაშივე გააქრეს, წიგნის რედაქტორს მილიცა ჯაფარიძეს და გამომცემლობის მთავარ რედაქტორს გრ. ჩიქოვანს სასტიკი საყვედურები გამოუცხადეს, ხოლო აკაკი ვასაძე და მისი რომანი დაგმეს 1974 წლის სექტემბრის საქართველოს რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირზე, როგორც „პათოლოგიის, სადიზმის და შოვინიზმის მქადაგებელი" (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1974 წ. 4 ოქტომბერი).

მისი აკრძალული მოთხრობების და ლექსების ბეჭდვა 1985 წლიდან, „გარდაქმნის" საკავშირო პოლიტიკის პირობებში გახდა შესაძლებელი. მათ დღემდე შეინარჩუნეს აქტუალობა, როგორც მხატვრული, ასევე საზოგადოებრივი ქლერადობის თვალსაზრისით.

# აკაკი ვასაძე

# „სახრჩობელას ამბავი"

„სახრჩობელას ამბით" დაზარალებული ბორის ჯინჭველაშვილი ახლაც იმავე სახლში ცხოვრობდა, უკვე დაცოლშვილებული იყო და, ლარბის გამოისობით, როსტომს დასანახად ვერ იტანდა. თუმცა, მარტო როსტომს კი არა, ბორის ჯინჭველაშვილი, საერთოდ, მთელ იმ სახლს და, არა მარტო სახლს, მთელ იმ უბანს ვერ იტანდა. კარგა ხანი იყო, სურდა ქალაქის სხვა უბანში გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ საქმისთვის თავი ვერ მოება. ცოლის მზითვით და ცოლისგან შეძენილი გავლენიანი მოყვრებით წელგამაგრებულს, უკვე სამსახურეობრივი შესაძლებლობაც ჰქონდა, რომელიმე ახალ, პრესტიჟულ უბანში, და უკეთეს საცხოვრებელ ფართზე ბინა გაეცვალა. ამის თაობაზე სიმამრმაც, თითქოს გულის ნადებს მიუხვდაო, ჩამოუგდო სიტყვა, დახმარებაც შესთავაზა. „არა, ჯერ ამ დავიდარაბის თავი არა მაქვს", — უპასუხა ბორისმა, ხოლო, სინამდვილეში, სულ სხვას ფიქრობდა: ნაჩქარევად და საზიფათოდაც ესახებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. გამოცდილი და ცხოვრების ყველანაირ სიავეში ჩახედული, სტალინის დროს შინსახკომის მაიორი, ხრუშჩოვის დროს კი ლუდის ქარხნის დირექტორად ჩამოქვეითებული, ანუ, პირდაპირ ფულის ტომარაში გადასკუპებული სიმამრი, ბორისის პასუხის ქვეაზრს უმალ ჩასწვდა, ჰკვიანი და წინდახედული სიძე მყავსარო, კმაყოფილებით მხარზე ხელი მოხვია და, როგორც ყოველ კვირა დღეს, შვილიშვილის სანახავად და სიძესთან ასი მანეთის წასაგებად სტუმრად მისულმა, ათ მანეთიანი დავი-დავბასეთი ნარდის ამლერება შესთავაზა.

ბორის ჯინჭველაშვილი ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, სულ ახლახან მოეკიდა ფეხი საქმიანი ცხოვრების ფართო გზაზე; ბოლო ხანს, მოშურნენიც გასჩენოდნენ, ისევე, როგორც ყველა ახლად გამოჩეკილ პერსპექტულ პარტიულ მუშაკს და, როგორც კი შეიტყობდნენ კარგ ბინაში მისი ოჯახის გალაღებას, უთუოდ აფრენდნენ ანონიმურ ბარათებს ცენტრალურ კომიტეტში და სხვა ზემდგომ ინსტანციებშიც, სამსახურეობრივ მდგომარეობას პირადი კომფორტაციის მოსაგვარებლად იყენებსო. მოშურნეთა სისინს, სავსებით შესაძლებელი იყო, სამომავლოდ მისი კარიერის არა მარტო შეფერხება, არამედ ალკვეცაც და მასზე სასჯელის დადებაც მოჰყოლოდა. ბორის ჯინჭველაშვილს კი, პატარობიდანვე, უფრო ზუსტად, „სახრჩობელას ამბის" შემდეგ, მისდამი უმნიშვნელო ბრალდების წაყენების ვარაუდიც აფრთხობდა. მან ძალიან ადრე, სწორედ „სახრჩობელას ამბით" თავზარდაცემულმა გაიცნობიერა სხვადასხვაგვარი ცთუნების წინაშე თავისი ხასიათის მერყევი სისუსტე და, მას შემდეგ, დანაშაულებრივი შეცდომებისგან თავის დამზღვევი, მოშიშარი ზრუნვით ზომავდა ყოველ ნაბიჯს და ერთთავად იმაზე იყო დაყურადებული, მკაცრი კანონიერების ფარგლებში განემტკიცებინა და, რაც მთავარია, უვნებელეყო საკუთარი ცხოვრება.

ბუნებით რაიმე გამორჩეულ უნარს მოკლებული და ჯანით სუსტი, ბავშვურ თამაშობებში თანატოლებისგან მრავალგზის განცდილი დამცირების პასუხად და ცხოვრებაში საკუთარი ძალებით წინააღმდეგობათა დაუძლევლობის შიშით, ის სკოლის მერხიდანვე თავს არ იზოგავდა, რომ გარემოებრივი მდგომარეობით როგორმე გაებათილებინა სულიერი თუ ფიზიკური ნაკლოვანებანი: ფრიადოსნობისთვის ჭირის ოფლს ღვრიდა და მასწავლებლებთან ლაქუცობდა, კომკავშირში აქტივისტობდა და მეათე კლასში კი თხოვნა-ვედრებით ალსავსე განცხადება დაწერა კომუნისტური პარტიის რიგებში მისაღებად. ყრმობის მიამიტ ოცნებებში მან კომუნისტური პარტია წარმოისახა ყოველი მხრიდან განმტკიცებულ ისეთ ციხე-სიმაგრედ, სადაც ლარბისნაირებისგან უვნებლად, მკაცრი წესრიგის ატმოსფეროში, ანუ, შეცდომებისგან დაზღვეულად იცხოვრებდა, თუკი პირნათლად ასრულებდა მის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ გაკვეთილებისგან თავისუფალ საათებში და განსაკუთრებით კი ზაფხულის არდადეგებზე, ჩაკირკიტებდა ბელადებზე დაწერილ წიგნებს, მთელი არსებით ისისხლხორცებდა კომკავშირის და პარტიის ისტორიას და წესდებებს, მოწიფული კაცის სერიოზულობით ეცნობოდა გაზეთ „კომუნისტში" ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებების ამსახველ წერილებს და, მზის სხივთა ციაგში მშობლიური სტალინის მოალერსე ღიმილის მჭვრეტელი, თავს პარტიის წითლად მოელვარე ციხე-სიმაგრის ერთგულ ჯარისკაცად სახავდა მომავალში.

მის ცდას და ჯაფას უშედეგოდ არ ჩაუვლია. გამარჯვების პირველი ნამდვილი სიხარული მაშინ იგრძნო, როდესაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სკოლიდან მის საბუთებს დართული კომკავშირული და პარტიული დახასიათება-რეკომენდაციების წყალობითაც, უკვე კომუნისტური პარტიის წევრი ბორის ჯინჭველაშვილი რიხინ-რიხინით ჩარიცხეს სამშენებლო ფაკულტეტზე; ხოლო უბანში მისი მქირდავი ყოყლოჩინების უმეტესობა და, მათ შორის, ლარბიც, რომელმაც, სულ ბოლოს, ბორისის პარტიაში შესვლა რომ გაიგო, წკიპურტიც გაკრა და „პარტიის წრუწუნად" მონათლა, — სო, ეს ტანადი და ნიჭიერი, „უბნის თვალი" და „სკოლის ჯილა", ლარბი, ზოგიერთი გაკვეთილის შესასწავლად დასვენების წუთებში რომ მოემზადებოდა და ბორისისთვის გაუგებარი, რაღაც უცნაური უნარით წამში ითვისებდა საგნებს, ისიც უარით გაისტუმრეს უნივერსიტეტიდან. გამარჯვების გრძნობა განსაკუთრებით სწორედ იმან გაუმძაფრა, რომ ლარბი ჩაიჭრა უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე და თვითონ კი ჩაირიცხა; და, მერე, როდესაც ლარბი თბილისიდან მოულოდნელად გადაიკარგა და, როგორც ამბობდნენ, სადღაც შორეულ აღმოსავლეთში წავიდა სამუშაოდ, ბორის ჯინჭველაშვილმა მისი ასეთი ნაბიჯი ბრძოლის ველიდან გაქცევად მიიჩნია — იმ ბრძოლის ველიდან, რომელზეც თვითონ, დროსთან ერთად, მძლავრდებოდა. ქედმაღლურად ჩაიცინა კიდეც, როდესაც ლარბის გადაკარგვის ამბავი შეიტყო.

აი, მაშინ ნამდვილად იგრძნო, რომ საჭირო და სწორ გზას დასდგომოდა; და მის მერე, სულ იმის ცდაში იყო, ერთხელ მიგნებული ეს გზა სრულად, მთელი სისავსით გაეთავისებინა.

ინსტიტუტის პირველივე კურსზე გაიაზრა, რომ არ გააჩნდა საიმისო ნიჭი და არც გაქანება, მომავალში სამეცნიერო ან სამეურნეო თუ სამრეწველო სფეროებში გამართულად ემოქმედა. ჩვეულებრივ, თანაბარ პირობებში, ბევრნი, უთუოდ, აჯობებდნენ, გაუსწრებდნენ. აქამდე მდგომარეობრივი პრივილეგიებით მოპოვებულმა გამარჯვებებმა კი, თანდათან, სულ უფრო გაუღვივა რაიმე სახით უფლებამოსილების, სხვების გასწრების, სხვებზე გამძლავრების სურვილი. ხოდა, ინსტიტუტშიც სკოლაში ნაცადი ხერხით ამოქმედდა: კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაში აქტიურად ჩაება, ორჯერ შუა აზიაში ყამირზე გაემგზავრა სტუდენტური ჯგუფების ხელმძღვანელად, არც ერთ საინსტიტუტო ორგანიზაციულ წამოწყებას არ აკლდებოდა. ამის გამო, მართალია, ველარ იცლიდა საგნების ამომწურავად შესწავლისთვის, მაგრამ პედაგოგები, პარტიული კომიტეტის და რექტორატის თხოვნით, შეღავათს უწევდნენ და მაღალ ნიშნებს უწერდნენ. მეოთხე კურსზე ლენინური სტიპენდიანტიც გახდა. სტუდენტობის წლებშივე, ერთთავად სამომავლო გეგმების გათვლა-გამოზომვაში იყო და ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტში გაძვრა მესამე მდივნად. ამ დროისთვის, უკვე დაოჯახებული იყო. ინსტიტუტის თანაკურსელს, სწორედ ისეთ ფუშფუშა გოგოს დაადგა თვალი, როგორიც, ტანად გამწლეულს, მუდამ სასურველად ესახებოდა. ცხადია, სასიმამროს გონივრული გაანგარიშებითაც შეირთო ცოლად ლოყებლაჟლაჟა. შვილიც ეყოლათ, ბიჭი, რომელსაც, სიმამრის პატივისცემით, გედეონი დაარქვა. ოჯახმა კიდევ მეტი პასუხისმგებლობით მომართა მომავალი ცხოვრებისადმი; კიდევ მეტად დაძაბა გონება სამომავლო ნაბიჯების გასათვლელად. რადგან იყნოსა, კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნობას ვერ მიაღწევდა, სიმამრის დახმარებით, სულ მალე, ქალაქის აღმასკომის საბინაო-სააღრიცხვო განყოფილებაში უფროს ინსპექტორად მოეწყო. აღმასკომის თავმჯდომარემ, სიმამრის ძველმა მეგობარმა და ერთ დროს, სიმამრისგან დავალებულმა, თავიდანვე შეიტკბო ყველა მითითების დროულად, კეთილსინდისიერად აღმსრულებელი ბორის ჯინჭველაშვილი და, არ გასულა ხანი, რომ პენსიაზე გასული განყოფილების უფროსის თანამდებობაც გადაულოცა. ასე, რიხინ-რიხინით გაჩარხა ცხოვრება, რომელიც, დღითიდღე, ახალ-ახალ გამარჯვებებს და პატივს უქადდა.

მხოლოდ ერთხელ, სტალინის სიკვდილმა და მას შემდეგ აღძრულმა პარტიული ცხოვრების ნირის შემცვლელმა მოვლენებმა, მცირე ხნით დააბნია ბორის ჯინჭველაშვილი და კინალამ გზიდან ააცდინა. მაგრამ დროულად მოეგო გონს და შეცვლილი ვითარებებიც სწ-

ლად შეაფასა. უმალ თვითონაც მოიმართა ახალი დროის შესაბამისად, ისე, რომ არც დასჭირვებია თავის ტეხა და ნაცადი გზიდან გადახვევა. მართალია დრო იმდენად შეიცვალა, რომ უმაღლესი დონის პარტიული მუშაკებიც აკუნტრუშდნენ ოდესღაც მათივე პირით დაგმობილ ბურჟუაზიულ ჯაზურ ჰანგებზე, რომელიც დასავლეთისკენ აწ შეღებული სტალინური რკინის კარიდან მოჰყვებოდა და საამო სიოს და, რომ იტყვიან, ფულში ხელის აშკარად გასვრასაც აღარ ერიდებოდნენ; მართალია, ლენინ-სტალინის ნაშენები ქვეყნის ციხე-სიმაგრის ქონგურები რაღაც უაზროდ, მკაცრ ფერებთან და ხაზებთან მიუსადაგებლად მხიარული, ხელოვნური ყვავილებით მოერთოთ, — მართალია, ყველაფერი ეს იყო და იყო მრავალი სხვაც, ბორის ჯინჭველაშვილის ჭაბუკობისდროინდელ გაგებასთან სრულიად შეუსაბამო, მაგრამ ის მაინც ახე ხედავდა, რომ პარტია იგივე პარტიად რჩებოდა, ხელოვნური ყვავილებიც ვერ ფარავდა თვით არსს ქვეყნის უმკაცრესი ციხე-კოშკისა და ძველი წესებიც, თუმც ფერშეცვლილნი, ჰვლავაც ძალაში რჩებოდნენ. იდეურ-პოლიტიკური

განცდილი სასჯელის შიშიც უნებურად იფეთქებდა მის არსებაში. ის სახლი და ეზო, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მისი თვითშეგრძნების და ქცევის შემბოჭველ გარემოდ ქცეულიყო. თუმცა, მარტო წარსულის უსიამო მოგონებები და მათთან დაკავშირებული შეპოჭილობის გრძნობა არ იყო მიზეზი იმისა, რომ დროსთან ერთად, სულ უფრო ულვივდებოდა სხვა უბანში გადასვლა-დაბინავების სურვილი.

ბორის ჯინჭველაშვილს სულ უფრო აწუხებდა, ეჩოთირებოდა კიდეც, რომ ძველუბნელები ბავშვობაში დოყლაპიად იცნობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ხორციც მოისხა, დაცოლშვილდა, საჭირო კაცი გახდა და სანიმუშო მუშაობისთვის საპატიო სიგელებით მისი დაჯილდოება გაზეთებშიც ცხადდებოდა, მათ თვალში, სამუდამოდ, ბორიკუნად დარჩენილიყო. ერთხელ, პირველი სიგელის აღსანიშნავად რესტორანში გამართული პურმარილის შემდეგ, კარგა ლაზათიანად შეჭიკჭიკებული და თანამშრომლების გულუხვი ქებით გაგულდიდებული ბორისი სანამ შინ ავიდოდა, სახლის წინ ქედმაღლურად აიჭგიმა, მიაშტერდა ეზოს კუთხეში სალაყბოდ შეკრებილ მეზობლებს და მთელი ხმით დაიყვირა: „არა ვარ, იცოდეთ, აღარა ვარ თქვენი ბორიკუნა!". ამაზე, სიყრმის მეგობრებმა თავისთვის ჩაიფრუტუნეს, ხოლო იმათში ყველაზე მატაოცამ ჰყირტად გასძახა: — აბა, ვინ ხარ, შე კისერწავარდნილო? არ თქვა, არსენა ვარ, ჯორჯიაშვილიო, თორემ ხო იცი, აქ მაინც არავინ დაგიჯერებს, — და ისე უტიფრად ჩაილინცილა, რომ ბორისს ნირი წაუხდა, უწინდელი თვითკმაყოფილება და ამპარტავნობა უმალ ჩაევლელფა და გინებ-გინებით ავარდა სახლისკენ სადარბაზოს კიბეებზე.

ყველგან და ყველასთან ბატონკაცურად

ხანს არ იჯერებდა ამ ცნობის უტყუარობას. „ტყუილია, ტყუილი... ეგებ, შეცდომაა, მისამართი შეეშალათ... არა, სისულელეა... ან, ეგებ, გვამასხარავებს... ეგებ, იქაც თავისებური, ძველებური გაიხსენა და იქიდან გვაფეთებს", შლუდ წამოიძახა; თვალხმიერად წარმოუდგა თვალწინ ლარბის ღონიერი, ასხლეტილი ტანი, მისი ჯიქური გამოხედვა და ამ ცხოველმა ხილვამ ზოზღინა იქვი უფრო გაულრმავა. თუმცა, მეორე წამს, გაიფიქრა, ასეთ რამეზე მასხრობა შეუძლებელიაო და, უცებ, ნაღველმა და მწუხარებამ კი არა, გაოცებამ შეიპყრო. „რაო? მოკვდა? კი მაგრამ, რანაირად? აბა, როგორ, როგორ მოხდებოდა ეს? რა მოკლავდა? ასეთი რა დაატყდა, რომ იმას მოერია?" — სრულიად უაზროდ დურდურებდა და გონებაში მაინც ვერასგზით ვერ იმკვიდრებდა, ვერ იგუებდა კუბოში გამომ-[illegible]ეული ლარბის სახებას. მერე, უჩუმრად აედევნა ამ ფიქრს; ახლოს მიეპარა; შეეცადა ბოლომდე მისწვდომოდა — ბოლომდე წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ლარბი ჯერ კუბოში და, შემდეგ, მიწაში. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიეპარა ამ ფიქრს, თანდათან დაიმორჩილა, შეითვისა და, როცა ძლივს დაუფლებულმა წარმოსახვამ უნებლიედ შეაძრწუნა, უეცრად, რა ჩუმად აუჩქროლდა შიშნეული კმაყოფილება, რომ თვითონ არ იყო მკვდარი. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა ბორისი მომკვდარიყო იმ დროს, სახრჩობელაზე; ლარბის კი მისთვის ჩვეული, დაუდევრად ღონიერი ნაბიჯით ევლო. მაგრამ, ახლა, ამ ჩუმმა, შიშნეულმა კმაყოფილებამაც შეაცბუნა; მეტიც, შეაშფოთა; და მან, როგორც ასეთ წუთებში სჩვეოდა, მხრებში კისერი გამრუდებულ საცობელასავით მიაბრუნ-მოაბრუნა, თვალ-წარბი აახლატუნა და დაბალთულივით ამოიოხ-

გობრულად შემოეხვივნენ. ბორისისთვის რაღაც უზომოდ მიმზიდველი და ტკბილი იხატებოდა მათ მაფერებელ სიტყვებშიც, მათ მეგობრულ მზრუნველობაშიც. ხუთნი იყვნენ და, უცებ, ხუთივეს ხელში, საიდანღაც, ხუთი ლოყაწითელი, მბზინავი ვაშლი გამოუჩნდა. დამტკბარი ენით, სასხვათაშორისოდ, ვითომც აქ არაფერიო, ისე ებაასებოდნენ; მაგრამ ხელისგულზე კი გამომწვევად, გამაღიზიანებლად ათამაშებდნენ დიდ ხრაჭუნა ვაშლებს. ბორისს ნერწყვი მოადგა. ხარბად გადაყლაპა. როგორ არ ცდილობდა, ვაშლებისთვის არ შეეხედა, მაგრამ თვალი თავისთავად გაურბოდა მათი წითელი, გლუვი, კრიალა ზედაპირისკენ. მთელი პირის ღრუ მომჟავო ნერწყვით ამოევსო ბორისს, ყურები დაუგუბდა, სუნთქვა შეეკრა; ისე გაბრუვდა, რომ აღარც იმათი და აღარც საკუთარი კითხვა-პასუხი არ ესმოდა. მერე, ხუთივე ვაშლი, როგორღაც, მისი მაისურის უბეში გაჩნდა და ბორისა ქურდულად, სწრაფი ნაბიჯით გასუსუნდა სახლისაკენ. გზად კი თავის თავს ბიჩვერივით უმეორებდა: „არაფერია, მაინც მოვიგებთ ბრძოლას. ბრძოლის გეგმა? სისულელეა! მაინც ვაჯობებთ!" ჩურჩულებდა და თან, დროდადრო, ჩაიხითხითებდა, რადგან სირბილის დროს მუცელთან ათამაშებული ვაშლები ულიტინებდა...

— ვილაცამ გაგვყიდა! — კბილების ღრჭენით, გაშმაგებით წამოიყვირა ლარბიმ, როდესაც კვირა დღეს, ბრძოლის დაწყებისთანავე, მოულოდნელად ალყაში მოემწყვდნენ და, რადგან სხვა გზა არ იყო, ტყვედ ჩაბარდნენ.

ათასგვარი დამცინავი და დამამცირებელი ოინბაზობის შემდეგ, იარალაყრილი ტყვეები უკანვე გამოაბრუნეს. რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ.. ტყვეობიდან დასახსნელად დამარცხებულებმა სამი ტყავის ბურთი, ათი საუკეთესო ჩიკორი, ამდენივე სალახტე ქამარი და ოცი ჯილა კოჭი გადაუთვალეს. მთელი ეს ხარკი ლარბიმ ტომრით წაუღო მეზობელ ეზოს ბიჭებს და, როცა დაბრუნდა, ბიჭების წრეში მორიდებულად მდგარმა ბორის ჯინჭველაშვილმა, ისე, რომ ლარბისკენ არც გაუხედავს, თავიც არ აუწევია, აშკარად შეიგრძნო, რომ ლარბი შორიდანვე გამიზნულად მისკენ მოემართებოდა.

— ის კრაჭუნა ხუთი ვაშლი სადაა, ბორისიკუნა? მარტოკამ შესანსლე? — კბილებში გლისპად გამოსცრა ლარბიმ, გარშემო შემოკრებილ ბიჭებს ნიშნის მოგებით თვალი ჩაუკრა და მერე ისევ ბორისას შეაშტერდა, — ორიოდე მაინც შემოგენახა, ამ გამწარებულზე პირს ჩავიტკბარუნებდით.

ტანად ისედაც პატარა, გამხდარი ბორისა სულ დაპატარავდა და მიილია, ფერმკრთალი, მოყვითალო სახე კიბორჩხალასავით წამოეჭება. დააპირა მოებოდიშასავით, მაგრამ სახა ისე ამოუშრა, რომ ენა ძლივს დაატრიალა. შიშისა და დაბნეულობისაგან ამობურცული მრგვალი თვალები უფრო დაუმრგვალდა და აქეთ-იქით გაეცეცა.

— ახლა ეგერ, ე, იქ დადექი, შუბლი კედელს მიადე და არ გაინძრე, სანამ მოვითათბირებდეთ, — თქვა ლარბიმ და ეზოს კუთხისკენ მიანიშნა.

ბორისი მორჩილად შებრუნდა, კუთხისკენ გასწია. გზად სიმწრის ცრემლი ლაპალუპით წამოსცვივდა. შუბლი კედელს მიადო კი არა, აჭარხლებული, გახურებული სახე ხორკლიან კედელს მიაჭყლიტა და გამშრალი ენით ალოშნა ცრემლისგან დასველებული აგური. ის ახლა არაფერზე არ ფიქრობდა, — არც თავის დანაშაულზე და არც მომავალ სასჯელზე. მხოლოდ გამომფიტავ უსუსურობას და საკუთარი თავისადმი ზიზღნარევ სიბრალულს გრძნობდა. ეს შეგრძნება ღლიდა, თანდათან აცლიდა ღონეს. განზე შეჯგუფებულ ბიჭებს კი ბჭობა გაუგრძელდათ, გაცხარებით კამათობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ლარბის ხმა მოესმა:

— ბორისა ჯინჭველაშვილო! შემობრუნდი და მოისმინე ჩვენი გადაწყვეტილება.

ბორისმა სახე ძლივს მოაშორა კედელს, აგურის ხორკლები კანსა და ხორცში ჩასობოდა და თითქოს ჩაწებებოდა, როგორც იქნა, შეტრიალდა და, გამოცარიელებული ბნდუ მზერით მიაჩერდა სახემოღუშულ ბიჭებს, რომლებისაც რატომღაც აღარ ეშინოდა და აღარც ერიდებოდა.

— რომ გვილალატე და გაგვყიდე, მგონი, თვითონაც ვერ იუარებ.

დაიწყო ლარბიმ და ერთხანს შეჩერდა, გამომცდელად შეათვალიერა ბორისის გამწლეული ტანი და ცრემლით შეზელილი, მტვერით გაზუმპლული სახე, საიდანაც ტირილისგან ამღვრეული, მოყვითალო შუშის ორ ბურთულასავით, გრემანი თვალები, თითქოს არსაით არ იყურებოდა, თუმცა, ნამდვილად მისკენ იყო მიპყრობილი.

ბორისი დუმდა.

— საშინელი და თაღლითური ღალატი ჩაიდინე, რაც ნამდვილ ქართველ კაცს არ ეპატიება, — უფრო ბრაზიანად განაგრძო ლარბიმ, რადგან ბორისის უმეტყველო მზერა სულ უფრო აღიზიანებდა, — ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სავსელე სასამართლომ სიკვდილი მოგისაჯა. ვინაიდან დავმარცხდით და მტერმა იარაღი აგვყარა, ყველაზე იოლი საშუალება, დახვრეტა, გამორიცხულია. დარჩა სიკვდილით დასჯის ერთადერთი საშუალება — ჩამოხრჩობა! მარტო მე რომ მეკითხებოდეს, სწორედაც ჩამოხრჩობის ღირსი ბრძანდები. მაგრამ საველე სასამართლოს რამდენიმე წევრმა მოითხოვა, ნება მოგვეცეს დანაშაული გამოისყიდო: უნდა წახვიდე და, ჩვენს თვალწინ, ხიდიდან მდინარეში გადახტე, თუ გადახტი, ხომ კარგი. ჩვენ გადავმხტარვართ ამ ხიდიდან.

ჯახი შესცვალა ცხოვრებისეული მოთხოვნილებებით გამძაფრებულმა კოლიზიებმა და, ამ ახლებურ დროში შეცდომის და დანაშაულის ჩადენის შანსი, სრულიად ჩვეულებრივი კორუფციის ფარგლებში, გაიზარდა ძველი ციხე-სიმაგრის აღრეულ დარბაზებში. თავის წაგებაც, ახლა, არა იმდენად პარტიული წესების და ზნეობის დაუცველობაზე, რამდენადაც შემთხვევაზე, დროით წამოტივტივებულ პარტიულ ბოსთა სიმპათია-ანტიპათიებზე, მათ გუნება-განწყობილებაზე და სხვა ამის მსგავს პირად, ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული. მოუნდებოდათ და, დაგაწინაურებდნენ; მოუნდებოდათ და, ჩამოგაქვეითებდნენ. საამისოდ მიზეზის ძებნა ან შექმნა სულ იოლად, სახელდახელოდ შეეძლოთ. თანაც, სრული კანონიერების დაცვით. ჩამოქვეითება და, მით უმეტეს, სასჯელით გასტუმრება — იგივ თავის წაგება იყო. აბა, რალას ელირებოდა მისი თავი თანამდებობრივი მდგომარეობის გარეშე? აწი ის ხომ უბრალო „პრარაბადაც" ვერ ივარგებდა. ბორის ჯინჭველაშვილს კი საკუთარი თავი ძალიანაც უყვარდა; იმდენად უყვარდა თავი, რომ ყოველი, თვით უმცირესი სიამოვნება დიდკაცურად ალაღებდა და სულ უბრალო წარმატება სიამაყის გრძნობით ავსებდა. თავის წაზდენა ნამდვილად აშინებდა, მით უმეტეს, რომ დანაშაულზე წასწრების და სასჯელის შიში ძვალ-რბილში ყრმობიდანვე გაჯდომოდა. ამიტომ იყო, ყოველ ცთუნებას საწყისშივე მკაცრად იკვეთდა, ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ კანონიერების ფარგლებში თუ მოაკვარახჭინებდა სიმამრის და ახლად შეძენილი საქმის მეგობართა მოგზავნილი კლიენტებისათვის. კანონიერების ფარგლები კი ისეთი წელადი და ტევადი იყო, რომ, ზშირად, ბორისი თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გურამ შარაძე

# ლევილის ქართული პანთეონი



„ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე"... — პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე განსვენებულ ნიკოლოზ (კოკი) დადიანის (1879-1939) ეპიტაფიის ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართული ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ ხვედრს!

...1921 წლის თებერვალ-მარტის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო იმ იმედით, რომ იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაშინ მას თან გაჰყვა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა მთელი პლეადა...

1924 წლის აგვისტოს ამბოხების შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა ახალმა სისხლიანმა ამბებმა კვლავ აიძულა დასალუპავად განწირულ ქართველთა ახალი ტალღა სამშობლოდან ცოტა ხნის წინ წასულ პოლიტიკურ ემიგრაციას შეერთებოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომში ტყვედ მოხვედრილმა არაერთმა ქართველმა შიშით უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე, რადგან მათ, ვინც ვერ გაუძლეს უცხოეთში დარჩენას და ნოსტალგიით შეპყრობილნი სამშობლოში ჩამოვიდნენ, უმრავლესობას საბჭოთა ციხეებში ტანჯვა-წამება და დახვრეტა ერგო წილად. ხოლო ბევრმა გადასახლებულმა ციმბირისა და შუა აზიის ტრამალებში დალია ტანჯული სული...

ჩამოთვლილ და სხვა მიზეზთა გამო სამშობლოდან იძულებით ლტოლვილმა ქართველებმა უცხოეთის ცის ქვეშ ჰპოვეს სამუდამო თავშესაფარი და ბევრმა მათგანმა უკვე სამუდამო განსასვენებელი ადგილიც!

ქართველ ლტოლვილთა საძვალენი მოფენილია ევროპის, აზიის თუ ამერიკის კონტინენტებზე. მათ შესახებ ცნობები 1971 წლამდე მონაცემებით აღნუსხულია 1978 წელს პარიზში გამოცემულ წიგნაკში „ლტოლვილთა საძვალენი". გარეკანზე მას, მართალია, 1971 წელი აწერია, მაგრამ, როგორც „წინასიტყვიდან" ვიგებთ, სინამდვილეში იგი დაბეჭდილია 1978 წელს განსვენებულ ნიკო იმნაიშვილის სახელობის მცირე ფონდის ხარჯზე საგამომცემლო კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდნენ ნამეტია ბერძენიშვილი-გოგუაძისა, ნიკო ორაგველიძე და ვიქტორ ნოზაძე (ამ წიგნაკს ზოგიერთი დამატების სახით მალე მიიღებს ჩვენი მკითხველი).

პარიზში 1973 წელს გამოცემულ ზემოთ დასახელებულ წიგნაკში მოყვანილია ცნობები ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე 1971 წლამდე დაკრძალულ ჩვენს თანამემამულეთა შესახებ.

ქართველ ლტოლვილთა საძვალეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაო, რომელიც თანდათანობით ქართული ეროვნული პანთეონის მნიშვნელობას იძენს. აქ დაკრძალული არიან თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი... მარტო ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის, ნოე რამიშვილის, სპირიდონ კედიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, ფელიქს ვარლამიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, თამარ და აკაკი პაპავების, აკაკი ჩხენკელის, ალექსანდრე ასათიანის, ევგენი გეგეჭკორის, ივანე ზურაბიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის დასახელებაც იკმარებდა!

მას შემდეგ აგერ უკვე 20 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ლტოლვილის ნეშტი შეემატა ამ საძვალეს. ცნობები კი მათ შესახებ არსად დაბეჭდილა. ამიტომ ვისარგებლე შარშან შემოდგომაზე საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებით და გადმოვიწერე ლევილში დაკრძალულ ქართველთა საფლავის ქვების ყველა წარწერა, რომელთაც აქ ვაქვეყნებთ, რადგან ბევრი მეკითხება და ბევრს აინტერესებს უცხოეთში მოხვედრილი თავიანთი ახლობლების ბედი და სამუდამო ადგილსამყოფელი.

მაგრამ აქ ერთ წინააღმდეგობას წავაწყდი, რომლის გამო მოსალოდნელი უზერხულობა თუ უზუსტობა შეიძლება აქაც გაიპაროს.

საქმე ისაა, რომ ლევილის სასაფლაოზე ბევრი აკლდამა წინასწარ აქვთ გამზადებული აქაურ ქართველებს და თუ არ იცი, რომ ისინი ცოცხლები არიან (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ!), შეიძლება გარდაცვლილთა სიაში მოახვედრო (ასე მაგალითად, შოთა ბერეჟიანი, პროკოფი ინწკირველი, კოლია ხარალიძე, ნიკო ურუშაძე, ფელიქს ვარლამიშვილის მეუღლე — ზირე ბინდერი, ტარასი წულაძე...). ამიტომ, ცხადია, ეს გვარები აქ აღარ მოხვედრილა! ზოგ წარწერას ინიციალი აკლია. ზოგს დაბადება-გარდაცვალების თარიღი არ აწერია, ან ნაკლულია და ა. შ. ვცდილობდი ყოველივე ეს გამეთვალისწინებინა და რაც შეიძლება დაზუსტებული სია მიგვეწოდებინა ჩვენი მკითხველისათვის ლევილის ქართველთა სასაფლაოს შესახებ. მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, შეგვეძლო, ასეთი „საჩოთირო ადგილები" ამოგვეღო კიდეც სიიდან, მაგრამ ასეთი „თვით დაზღვევის" პრინციპით შეიძლება ისეთი გვარებიც მიგვეყოლებინა, რომელთაც გაფაციცებით დაეძებს აქაური ნათესავები და მახლობლები და ამგვარად, მათი პოვნის ყოველგვარი იმედიც გადაგვეწურა აქ დარჩენილთათვის. ამიტომ დიდის კრძალვით და უნებლიე შეცდომების გასწორების იმედით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს ლევილის ქართული პანთეონის სიას:

ნოე ჟორდანია (1868-1953)
ნოე რამიშვილი (1881-1930)
ირაკლი წერეთელი (1881-1959)
მიხაკო წერეთელი (1878-1965)
ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930)
სპირიდონ კედია (1882-1948)
გრიგოლ რობაქიძე (1884-1962)
ვიქტორ ნოზაძე (1893-1975)
ალექსანდრე ასათიანი (1885-1953)
ფელიქს ვარლამიშვილი (1903-1986)
ბენო რამიშვილი (1907-1989)
გაიოზ ჩხეიძე (1947-1964)
გოგი ჩხეიძე (1908-1970)
სიმონ კვიტაშვილი (1874-1960)
მართა კვიტაშვილი (1880-1929)
არჩილ გედევანიშვილი (1898-1971)
ალექსანდრე ერისთავი (1882-1943)
გიორგი ელიოზიშვილი (1906-1929)
თამარ ერისთავი (1886-1975)
რიმა ერისთავი (1904-1979)
ლევან ტიტვინიძე (1908-1971)
გიორგი ბერიძე (1915-1988)
ილია მელია (1915-1988)
გრიგოლ ბარამიძე (1907-1986)
კვიროსი ჩხაიძე (1896-1987)
სანდრო ბარათელი (1911-1985)
კაკო ალშიბაია (...... — .....)
აკაკი გამსახურდია (...-1984)
ერმალოზ ქართველიშვილი (1912-1985)
შალვა კალანდაძე (1907-1984)
სერგი ინასარი (1908-1983)
მიშა კედია (1902-1952)
დიკა კედია (1932-1988)
დიმო ცხონდია (1903-1982)
აპოლონ ორაგველიძე (1891-1982)
გუი გვეტაძე (1939-1981)
დავით მუჯირი (1903-1981)
დიმიტრი დათიაშვილი (1908-1981)
ვალენტინ წილოსანი (1901-1980)
ვანო ენუქიძე (1907-1979)
კოლა გელაშვილი (1907-1979)
დანიელ ბეგიაშვილი (1923-...)
დიმიტრი ბეგიაშვილი (1910-1981)
მარიამ ფილოშვილი (1864-1946)
გრიგოლ წერეთელი (1904-1985)
ჯუანშერ ლადიძე (...-1980)
გოგლიკ ვაჩნაძე (1904-1980)
მიშა ნასყიდაშვილი (1905-1979)
გიორგი შანშიაშვილი (1902-1978)
დავით სალირაშვილი (1887-1962)
ვიქტორ შუბლაძე (1904-1978)
თამარ რევია-ბერეჟიანისა (1908-1983)
მიშა შერვაშიძე (1909-1977)
თორნიკე ლადიძე (1907-1977)
ვასო ლაბაძე (1903-1977)
ალექსანდრე ალანია (1905-1942)
დავით ბუაჩიძე (1892-1974)
მარტიანე მგელაძე (1898-1979)
ინა ჟორდანიასი (1875-1967)
ახმათ ჟორდანია-ფალავასი (1905-1984)
...... საბაზტარიშვილი (18..4-1938)
ვასიკო საბაზტარიშვილი (1901-1980)
ბაბულია კანდელაკი (1886-1968)
კოწია გვარჯალაძე (1884-1969)
მარიამ ჭავჭავაძე-ჭყონია (1896-1969)
კალე ქავთარაძე (1885-1970)
დავით მაჭავარიანი (1879-1955)
ქეთო ვაჩნაძე (1903-1970)
ვახტანგ მაჭავარიანი (1907-1974)
მელუას ოჯახი
ნინა ინასარიძისა (1937-1968)
მიშა დოლიძე (1906-1977)
ვასო დონდუა (1888-1942)
ლევან დონდუა (1918-1975)
ლიდა დონდუა (1896-1975)
სერგი დონდუა (1916-1985)
ვანო ვაჩნაძე (1899-1976)
ა. დადიანი (... — ...)
ტარიელ ჟღენტი (1910-1976)
ალექსანდრე კარგარეთელი (1899-1983)
ალექსანდრე ბადურაშვილი (1903-1982)
არჩილ მჭედლიშვილი (... — ...)
ერასტო მაჭავარიანი (1897-1976)
სიკო კობიაშვილი (1902-1976)
ირაკლი კობიაშვილი (1911-1944)
გენერალი შაქრო ბაქრაძე (1870-1938)
დიმიტრი სინჯიყელი (...-1976)
სალომე ქავთარაძე (1919-1978)
მიხეილ გოცირიძე (1897-1983)
გიორგი ფორაქიშვილი (1901-1980)
სევერიან ჰირაქაძე (...-1975)
ნინა მიქელაძე (1894-195..)
ელისე პატარიძე (1896-1975)
მიხეილ გრიგოლია (1905-1974)
გოგი კობალაძე (1905-1972)
ალექსანდრე ბერაძე (1905-1969)
შიო გელაშვილი (1907-1974)
... საბანაძე (1905-1975)
ევსევი ანთაძე (1891-1973)
ირენ ანთაძე (1904-1982)
ვარლამ გაჩეჩილაძე (1890-1972)
გიორგი ჯავახიშვილი (1900-1979)
ნოე ცინცაძე (1886-1978)
არჩილ ქურციკაშვილის მოსაგონებლად (ნინო ხალიას ძმა, არ ასაფლავია).
... კლდიაშვილი (... — ...)
ისიდორე მანწკავა (1900-1944)
ვახტანგ ბერიაშვილი (1919-1987)
დიმიტრი ალავიძე (1897-1978)
მიხეილ კეზელი (1910-1977)
ბაბულია ჯავრიშვილი (1896-1977)
რაფო ერისთავი (...-1977)
დავით ურატაძე (... — ...)
ვარლამ ტოგონიძე (1907-1937)
ლეო კერესელიძე (1908-1979)
გიორგი ყიფიანი (1910-1986)
ქეთო ხუციშვილი-ასათიანისა (1905-1981)
ვანო ასათიანი (1900-....)
სოლიკო ზალდასტანიშვილი (1891-1941) (არ ასაფლავია).
მარიამ ხირსელი-ზალდასტანისა (1896-1982)
გიორგი აზვლედიანი (1902-1984)
ბაზელ აზვლედიანი (1904-1983)
დიმიტრი აზვლედიანი (1904-1972)
ლეონტი ბალანჩივაძე (1893-1981)
შალვა შავლაყაძე (... — ...)
ელენე ცაგარელი (... — ...)
მიხეილ ცაგარელი (... — ..)
ნადია რეხვია (... — ...)
ანდრე რეხვია (... — ...)
ნინო ბერეკაშვილი (1897-1975)
დავით ბერეკაშვილი (1893-1976)









სურათებზე: ლევილის სასაფლაოს შესასვლელი; ქართველთა სასაფლაოს საერთო ხედი; საძმო საფლავი; ნოე ჟორდანიას, სპირიდონ კედიას და ევგენი გეგეჭკორის საფლავები.









სურათებზე: ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ისიდორე მანწკავას საფლავები.

ნათელა ბერეკაშვილი (1924-1986)
ელენე მგალობლიშვილი (1904-1984)
თინა ჯაფარიძე-სარჯველაძისა (1909-1972)
პავლე სარჯველაძე (1898-1981)
მიშა სტურუა (1906-1978)
ალექსანდრე ტატიშვილი (1901-1972)
ეკატერინე ალიხანაშვილი (... — ...)
ლევან თვალიაშვილი (1910-1978)
გრიშა უჩაძე (1889-1976)
გერასიმე ბოლქვაძე (1898-1986)
მარიამ ბოლქვაძე (1898-1986)
ვანო ბაქრაძე (1900-1970)
ლევან შავიშვილი (1916-1978)
დათიკო ბახტაძე (1920-1974)
დათა ლალიძე (1898-1946)
ინდიკო პაპუაშვილი (1907-1984)
ირა პაპუაშვილი-გომართელი (1910-1987)
მანანა ლალიძე (1938-1986)
ნ. ბოკუჩავა (1907-1978)
მარიამ დოლობერიძე (1898-1978)
მათე ბოლქვაძე (1891-1975)
გიგო ჟორდანია (1908-1974)
მარია ჟორდანია (1916-19..)
ქეთევან ვაჩნაძე-ჩხენკელი (1905-1978)
ალექსი ჩხენკელი (1904-1985)
გრიგოლ ცხაკაია — ნაფიცი ვექილი, ყოფილი წევრი აზერბაიჯანის პარლამენტისა (1888-1978)
ნიკოლოზ ჯაყელი (1887-1970)
თამარ ჯაყელისა (1900-1970)
გიორგი კალანდარი (...-1971)
გრიგოლ გვეტაძე (1906-1971)
ალექსანდრე ტარასაშვილი (1909-1970)
აკაკი ახათიანი (1899-1980)
დენიზ ახათიანი (1902-1988)
მიხეილ ხუნდაძე (1898-1983)
პეგი ხუნდაძე-ნელსონი (1906-1979)
ეთერ თაყაიშვილი (1934-1965)
დათიკო კახელაძე (1881-1938)
ხონა კახელაძე (1880-1943)
ხოსიკო ევგენის ძე გეგეჭკორი (1911-1927)
ევგენი გეგეჭკორი (1882-1954)
ოლია მგალობლიშვილი-გეგეჭკორისა (1885-1968)
ნიკო ყურულაშვილი (1902-1982)
მარკოზ ჩახვაძე (1881-1943)
სიმონ მდივანი (1876-1937)
ნელი ნაკაშიძე-მდივნისა (1888-1983)
ოლღა კედია (თოფურიძე) (1858-1936)
მექი კედია (1878-1945)
აგრაფინა თავართქილაძე-კედიასი (1888-1968)
შურა ფალავა (1879-1946)
იური ფალავა (1878-1950)
ს. მურვანიძე (1892-1946)

ივანე ჭავჭანიძე (1885-1946)
პლატონ სეფისკვერაძე (1894-1975)
ნადია სეფისკვერაძე (1898-1946)
შალვა შენგელია (1893-1946)
კონსტანტინე ჟურული (1907-1946)
ირმბარდ ჟურულისა (1910-1946)
გიორგი ჟურული (1865-1951)
ელენე ჟურული (1879-1974)
ლუკა ურუშაძე (1882-1947)
ე. ურუშაძე (1879-1959)
ს. იმნაძე (1878-1947)
გოგი ბერძენიშვილი (1898-1947)
სანდრო ქუთათელაძე (1894-1948)
იოსებ სალაყაია (1881-1940)
შალვა სკამკოჩაიშვილი (1904-1949)
ჟოზეფინა სკამკოჩაიშვილისა (1906-1979)
არკადი მამფორია (1908-1949)
ვლასა სვანაძე (1902-1949)
გაბო ბერბიჭაშვილი (1881-1949)
ნინა რუსია (... — ...)
მელიტონ რუსია (... — ...)
ლადო ჭურღულაშვილი (1902-1950)
მზია (?) 1923
იონა და დუსო ჯანელიძე (... — ...)
ვასილ ტულუში (1892-1969)
ივანე ტულუში (1891-1974)
... ალშიბაია (1912-1969)
იაშა რუხაძე (1889-1958)
ნიკოლოზ ბარნოვი (1885-1958)
ბიძინა სიდამონ-ერისთავი (1900-1957)
ვასილ მარჯანიძე (1899-1968)
შალვა აბდუშელი (1898-1966)
დავით ხელაძე (1887-1957)
ვალერიან ღლონტი (1907-1959)
გრამიტონ ჭელიძე (1902-1959)
ვალიკო ჭელიძე (1902-1979)
ალექსანდრე ქორქია (1879-1959)
ვასილ შალამბერიძე (1900-1960)
არკადი დევდარიანი (1894-1960)
ა. ერაძე (1921-1930)
ნ. პიშკინა (1859-1942)
გ. ერაძე (1882-1971)
ნიკო ნასიძე (1887-1933)
ნიკოლოზ ჭუმბურიძე (1886-1933)
მართა ჯაფარიძე (19..-1934)
გენერალი ვანო ჯაფარიძე (1869-1934)
პეტიკო ჯაფარიძე (1906-1956)
ნინო ქუთათელაძე-ჯაფარიძისა (1879-1963)
გერონტი ცუცხლაძე (1888-1933)
რენე გობეჩია (1897-1960)

იოსებ გობეჩია (1897-1960)
გიორგი წერეთელი (1880-1960)
ანტონ ჟორჟოლიანი (1886-1973
თამარ შარაბიძისა (1912-1961)
ვანო მშვენიერიძე (1920-1961) და მისი ცოლი Collete (1932-1966)
ვერონიკა ჩხეიძე-გრასმანისა (1909-1986) და მისი ქმარი ანატოლ გრასმანი (1901-1962)
სევასტი დალაქიშვილი (1887-1963)
ნიკოლოზ თოხაძე (1901-1975)
გივი ლამბაშიძე (1902-1980)
ვანდა ლამბაშიძისა (1877-1945)
შოთა ნიკოლაძე (1899-1963)
მედეა ლამბაშიძე-ნიკოლაძისა (1899-1975)
ს. მონიავა (1906-1963)
დათიკო შარაშიძე (1886-1935)
ევა ჯიბლაძე (1876-1936)
ვალია ჯიბლაძე (1907-1978)
რუბენ აუშტროვი (1887-1937)
ვახო თოთიბაძე (1900-1938)
ერმალო ებრალიძე (.... — ....)
არზაყან ემუხვარი (1880-1939)
არჩილ არავიაშვილი (... — ....)
დათიკო ჟორჟოლიანი (1898-1940)
გიორგი ჩაჩუა (1905-1941)
ისიდორე კუპრაძე (1902-1941)
ნიკოლოზ შარაბიძე (... — ...)
შოთა ქარცივაძე (1894-1942)
გიორგი ფოფხაძე (... — ...)
ს. ჩიკვილაძე (1880-1955)
ივლიანე კოკაია (... — ...)
მარო სარჯველაძე (1895-1942)
შოთა სარჯველაძე (1898-1927)
ვლასა მგელაძე (1871-1943)
ვალოდია გოგუაძე (1881-1954)
ნამეტია ბერძენიშვილი (1891-1988)
აკაკი ჩხენკელი (1874-1959)
მაკრინე ჩხენკელი (1881-1967)
ხარა ახათიანი (1892-1966)
სოსიპატრე ახათიანი (1876-1971)
გალაკტიონ ახათიანი (1882-1970)
ელენე ვილამოვსკა-ახათიანი (1897-...)
ლადო ბელიაშვილი (1906-1961)
თენგიზ დადეშქელიანი (1892-1961)
კატი ? (1888-1977)
ვალერიან აბულიძიანი (1896-1965)
რაჟდენ არსენიძე (1880-1965)
გიორგი ჟღენტი (1868-1964)
ლეონტი ჟღენტი (1888-1969)
რუბენ ყიფიანი — დამფუძნებელი კრების წევრი (1882-1965)
ისიდორე ქარსელაძე (1888-1971)
ვახტანგ ციციშვილი (1892-1964)
გიორგი სურგულაძე (1903-1964)

არჩილ ზურაბიშვილი (1896-1964) და
მისი ცოლი რეი მუსხო (1906-1982)
ელენე გომართელი (1883-1964)
ზოსიმე ჯორბენაძე (... — ...)
ნესტორ კალანდაძე (1877-1943)
ვანო გახოკიძე (... — ...)
ილია ნუცუბიძე — ჟურნალისტი (... — ...)
ალექსანდრე კინწურიშვილი (1900-1976)
თინა კინწურიშვილი (1906-19..)
ილია ზდანევიჩი (1894-1975)
რონჯე აკინსემოინ-ზდანევიჩისა (1919-1945)
ნ. კვარცხავა (1905-1945)
ნინო ორაგველიძე (1944-1945)
ვ. ქურციკიძე (1907-1986)
ლევან მამულაიშვილი (... — ...)
მარიამ მამულაიშვილი (...—...)
ანნა ქვლივიძე-ლიაკო (... — ...)
იასონ მამულაიშვილი (მალვილე) (1978-1988)
ელენე მამულაიშვილი (1904-19..)
პლატონ ფაჩულია (1879-1948)
ჩათა ფაჩულია (1884-1958)
მიხეილ ლაშქარაშვილი (1884-1952)
ელენე ლაშქარაშვილი (1884-1950)
აკაკი ვადაჭკორია (1901-1951)
სვიმონ წერეთელი (1870-1951)
ზაქარია ჩიჩუა (1876-1952)
ა. კობიაშვილი (1892-1952)
შალვა სოხაძე (1905-1952)
ნიკიტა იმნაიშვილი (1888-1953)
ნიკოლა იმნაიშვილი (1896-1963)
სამსონ მიმინოშვილი (1871-1942)
ბორის მიმინოშვილი (1911-1983)
ნინო ნიკოლაძე (1881-1972)
ლევან ზურაბიშვილი (... — ...)
ილია ჩხაიძე (1902-1966)
აკაკი კვიტაიშვილი (1891-1966)
ქეთო გეგეჭკორი (1910-1988) და მისი ქმარი რაიმონდ ბელ (1907-1966)
რაფიელ ინგილო (1886-1966)
პ. ფარცხაშვილი (1897-1966)
ნიკო ნაკაშიძე (1899-1966)
გრიგოლ ცინცაძე (1896-1966)
იკა ელიავა (1966-...)
მანია ხიამაშვილი (1891-1966)
დ. სხირტლაძე (1881-1965)
აკაკი პაპავა (1890-1964)
თამარ პაპავა (1886-1976)
მაყვალა ჭეიშვილი (1950-1975)
ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი (1902-1965)
ბოკა ხუციშვილი-წულაძისა (1907-1964)
შერიფ ბერიძე (1887-1971)
მიშა ჩუბინიძე (1892-1962)
ვალიკო ჩუბინიძე (1891-1988)
იოსებ ცინცაძე — მედიცინის დოქტორი (1889-1960)

კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958)
აპოლონ კობახიძე (1881-1953)
ლადო ბაქრაძე (1884-1953)
მარიამ აბაშიძე (... — ...)
ვ. სულაქველიძე (1884-1954)
ქრისტეფორე იმნაიშვილი (1890-1989)
ნიკოლოზ ორაგველიძე (1889-1969)
სერგო მათითაიშვილი (1888-1955)
ალექსანდრე მებურიშვილი (1874-1961)
ელისაბედ მებურიშვილი (1880-1962)
არიანა ელენე ურატაძე-წულუკიძე (1895-1955)
გრიშა ურატაძე (...-1959)
ალექსანდრე ქურციკიძე (1892-1964)
მიკიჩა ვარდოიანი (1871-1955)
მანია ვარდოიანი (1885-1965)
დ. რევაზაშვილი (1887-1956)
დავით ერქომაიშვილი (1900-1957)
გოგი ნანაძე (1908-1984)
ვ. ჯაველიძე (1896-1957)
გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957)
ვალერიან ზაქარიაძე (1911-1976)
იოსებ კემულარია (1879-1957)
მარგარიტ კემულარია (ეიხენლაუბ) (1892-1968)
ვ. ინწკირველი (1902-1958)
კ. ჟღენტი (1882-1958)
გერმანე წივწივაძე (1892-1958)
ალ.მელქაძე (1901-1976)
ერნა ურუშაძისა (მეტკე) (1904-1968)
მერი დადიანი (1880-1968)
ნიკოლოზ დადიანი (1879-1939)
ანასტასია წერეთელი (1863-1950)
სიმონ წერეთელი (1853-1931)
გიორგი დადიანი (1912-1985)
ივონნ ურუშაძე (1895-1979)
ფილიპე შარაძე (1897-1968)
შალვა გიორგაძე (1906-1968)
კლარა გიორგაძე (1904-1979)
ნ. მელიქაძე (1895-1968)
მიტო ანანიაშვილი (1892-1968)
დავით ქვარიანი (1899-1970)
მიხეილ მალალაშვილი (1903-1967)
დარისპან მდივანი (1902-1967)
ს. ჭყონია (1882-1967)
კატო ანთაძე (1873-1967)
შურა ნაკაიძე ((1902-1975)
მიხო ალშიბაია (1908-1967)
ზურაბ ციციშვილი (1903-1967)
პარმენ კობახიძე (1891-1967)
გიორგი ზურაბიშვილი (1898-1944)
ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილისა (1873-1959)
ივანე ზურაბიშვილი (1872-1940)








სურათებზე: გიორგი ჟიფიანის, ფელიქს ვარლამიშვილის, რაფიელ ინგილოს, სოლომონ და მარიამ ზალდასტანიშვილების, ნიკოლოზ ჟუმბურიძის საფლავები, (ავტორის ფოტოები).

# წელი პირველი

**სიტყვა წარმოთქმული 1990 წლის 9 აპრილის სამგლოვიარო მიტინგზე**

„წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“ — ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი.

და — პირიქითაც: დღე ერთი, ვითარცა ათასი წელი...

დგება წელი, დღე და თვით წამიც ერის ცხოვრებაში, საუკუნეებს რომ გადასწონის.

ასეთი იყო დღე ცხრა აპრილისა; ასეთი იყო 1989 წლის ცხრა აპრილიდან წელი პირველი — ამ დღემ ისე შეგვძრა, ჟამის ათვლა ლამის მისით დავიწყოთ.

გასრულდა წელი პირველი...

ვისთვის უსასრულოდ გაიჭიმა ეს წელიწადი, ვისთვის — გასხლტა თვალის ერთი დახამხამება; ზოგისთვის კი ჟამის მდინარე სულაც შედგა, შეგუბდა.

დედებისათვის, ჩვენი ახალი დროების მოწამეთა დედებისათვის, შეჩერდა ჟამი.

რა ვუთხრათ მათ, რა შევბედოთ, რით ვანუგეშოთ?

„და ისმა ხმაჲ გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ტყებისაჲ მრავალი. რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“.

არ არსებობს ნუგეშისცემის სიტყვები დედებისათვის, „რამეთუ არა არიან“ თამრიკო და ნათია, ეკა და გია, ნინო და აზა, მანანა და მამუკა, ნატო და ნანა, ელისო და ნოდარ, მარინა და შალვა...

არ არსებობს სანუგეშო სიტყვები არც ქალბატონ თინას, ზაირას, მზიას, თამარის შვილებისათვის. შვილმოკლულ დედებს თუ მკერდი ეხრუკებათ, შვილებს სასა უშრებათ დედების სიკვდილზე.

არსებობს მხოლოდ სანუგეშო საქმე — მათი სიკვდილით აღმდგარი საქართველო.

მათეს სახარება გვამცნებს, ძალაუფლების დაკარგვის შიშმა როგორ გააქუქუვინა ჰეროდეს, ჰურიასტანის მეფეს, უცოდველი ყრმანი — მათ შორის ეგულებოდა მხეცკაცს ახლად მოვლენილი მესია, იესო.

ქრისტეს შობა თავისუფლების დაბადებაც იყო — სწორედ მაცხოვარმა გაათავისუფლა ადამის მოდგმა პირველქმნილი ცოდვისაგან.

თავისუფლებაც კაცივით იბადება და მის მოვლინებასაც ახლავს ხოლმე გაუსაძლისი სამშობიარო ტკივილები.

ასეთი ტკივილით შვა საქართველომ თავისუფლება 1989 წლის ცხრა აპრილს.

იცოდნენ ახალი დროის ჰეროდეებმა, ჩანასახში რომ უფრო ადვილია მოშთობა ჩვილისა, ამიტომაც გალეწეს სისხლის კალო ამ ადგილას.

ცხრა აპრილის მარტვილები ამ ახლად მოვლენილი ყრმის — თავისუფლების — მახარებელნი არიან, მისთვის სისხლდანთხეულები. სწორედ მა გაიღეს თავისუფლებისათვის ყველაზე დიდი გამოსაღები — სისხლი.

სისხლს კი გაფრთხილება უნდა; რუსთაველი ბრძანებს: „სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“.

ვაი რომ, დაიღვარა სისხლი, უბრალოთა სისხლი... უბრალოთა — არა იმ აზრით, რომ დაღუპულთ მანამდე რაიმე განსაკუთრებული როლი არ უთამაშიათ ეროვნულ მოძრაობაში (ამ მოძრაობის უპრეტენზიო რიგით-წევრობა, იქნებ, უფრო სანუკველიც იყოს, ვიდრე პრეტენზია თავკაცობისა, რაც ასე ჭარბად მოგვდგამს ქართველებს). უბრალო აქ ბრალის არმქონეს ნიშნავს.

ისინი, ისევე როგორც მათ გვერდით ჩაჩოქილი ათასები, განსაცდელს არ გაჰრიდებიან; სანთლები აინთეს და სამსხვერპლოდ განიმზადეს თავი.

კაცი რომ მზადაა სიცოცხლე დათმოს, იმ სიცოცხლეს უნდა განსაკუთრებით გაფრთხილება.

ვერ გავუფრთხილდით...

მაგრამ დღეს ჩვენ აქ არც ვისმე დასამუნათებლად და არც განსაკითხად არ შევკრებილვართ. არ დამდგარა საამისო დრო-ჟამი საქართველოში. საერთოდაც, შურისძიება სისუსტის ნიშანი უფრო მგონია, ვიდრე ძალისა... არცა ვართ, ღვთის მადლით, ქართველობა შურისმაძიებელი ხალხი. დრო — ეს შეუმცდარი მსაჯული — „მართალი სამართლით“ განსჯის; ცხრა აპრილის ტრაგედიის ყველა მონაწილეს თავისი მიეწყვის, ყველას თავისი ადგილი მიეჩინება: კრავებს — უფლის მარჯვნივ, თიკანთ — მარცხნივ. ერთი მსჯავრი კი არანაირ დროის გამოცდას არ დაექვემდებარება: ქართველმა ერმა ცხრა აპრილს დაღუპულნი მოწამეებად მიიჩნია; ხალხის ცნობიერებაში კი ყოველი მოწამე წმინდანად შეირაცხება. წმინდანთა დასში ეგულებოდა ისინი მერაბ კოსტავას, ეროვნული მოძრაობის ამ თეთრ გიორგის, მუდმივად მზადმყოფს ურმის თვალს გადასცმოდა საქართველოსთვის. ბედისწერამ ააცილა მას სიკვდილის ცელი ამ მოედანზე, მაგრამ სულეთშიც არ მიუტოვებია მერაბს ასულნი და დანი და დედანი და ძმანი თვისნი დიდი ხნით. და როგორც ისინი ვიდოდნენ მერაბის კვალზე ამ სოფელში, ისე გაჰყვა იგი მათ კვალს იმ სოფლად... გაჰყვა სასუფევლისკენ.

ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი წელმა პირველმა. ტოტალიტარული რეჟიმი რომ დალპა, მმართველობის ავტოკრატული სისტემა რომ ირყევა და იმპერია იშლება, ამას უკვე ყველა ხედავს. ვიმეოროთ ეს ცხადი ჭეშმარიტება დაუსრულებლად? ვფიქრობ, არა ღირს... სითამამეშიც აღარ ჩამოგვერთმევა — ამისათვის ახლა აღარ იჭერენ. მაგრამ, ჩემი აზრით, მეტი წინდახედულება გვმართებს, როცა უმაღლეს და სამხედრო ხელისუფლებას ერთგვარ გამოცდას ვუწყობთ — მიმართავს თუ არა იგი უკიდურეს ზომებს? მიმართავს! აკი მიმართა აქაც, ყარაბაღშიც ბაქოშიც... კვლავაც მიმართავს; ისტორიული ფაქტია: სკვითი ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ჩაჭრილა ამ გამოცდაზე. გადასარჩენად განწირულებმა უფსკრულში გადაყოლიება იციან ხოლმე. მაშ რა ვქნათო, იკითხავთ, გულხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ, როდის მოგვერთმევა ხონჩით ნანატრი დამოუკიდებლობა? აკი — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი?“ — ჭეშმარიტად, ოღონდ სახელოვანი სიკვდილი და გმირული [illegible] კერძო კაცებს უნდა მოგვეკითხოს და არა მთელ ერს — ამ გმირულ სიკვდილს ხომ მხოლოდ ერის გადასარჩენად აქვს აზრი? ცხადია, ქართველობა ვერ ვისხდებით გულხელდაკრეფილი და ყაბულ-ფლავის მომლოდინე, მაგრამ არც მხოლოდ კეტის ამარა უნდა დავრჩეთ ტანკის პირისპირ. რამდენადაც დიდებული, ამაღლებული სანახავი იყო ტანკზე მისული ხელკეტიანი ქართველი, იმდენად უბადრუკი და გულსაკლავი გამოჩნდება კეტით რაკეტასთან მორკინალი საქართველო. ტანკსაც და რაკეტასაც მხოლოდ სული დასძლევს, სული ცხოველი, შემოქმედებითი, აშენებელი... ვიცი, ეს სული ზოგ რასმე დაანგრევს კიდეც. დასანგრევი დე დავანგრიოთ, ჩვენც აქა ვართ... ესაა მხოლოდ — ნანგრევებში არ უნდა ჩავიმარხოთ. ცალკეულ პირებზე არ მოგახსენებთ: საქართველო არ უნდა დაიტანიოს იმპერიის ნანგრევებმა. თანაც მხოლოდ უარყოფა, მხოლოდ ნგრევა, მხოლოდ პროტესტი ვერ გვაპოვნინებს სულიერ საქართველოს — სანუკველ სამშობლოს ჩვენსას, თავისუფალსა და ღირსეულს. ასეთ საქართველოს შენება უნდა, შენებას კი ცოდნა, შრომა, შინაგანი წესრიგი და ჰარმონია სჭირდება; სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, ერთ პირზე დგომა, გაერთიანება, შეკვრა... ხოლო ჭეშმარიტად მაშინ შევიკვრებით და გავერთიანდებით, როცა შევიძლებთ ერთმანეთის განსხვავებულობის ატანას.

ჩვენ უნდა დავიწყოთ — აქამდეც უნდა დაგვეწყო — ასეთი ერთიანი საქართველოს შენება.

და მოწამეთა აქ დაღვრილი წმინდა სისხლიც სწორედ ამას შემოგვჩუხჩუხებს: გავერთიანდეთ, განვმტკიცდეთ. განვძლიერდეთ და ყველამ ერთად — ცოცხლებმა და მკვდრებმაც — მოვუაროთ საქართველოს!

**თამაზ კვაჭანტირაძე**

9 აპრილი, 1990 წელი

# ახალი ლიტვის სახელმწიფოს მეთაურის პორტრეტი

ლიტვის ისტორიის საათმა ჩამოჰკრა: 1990 წლის 11 მარტს ლიტვა კვლავ გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. დეპუტატებმა პარლამენტისა და მთელი ქვეყნის მეთაურად აირჩიეს საქვეყნოდ ცნობილი კაცი, მუსიკისმცოდნე, პროფესორი ვიტაუტას ლანდსბერგისი.

ამასთან ერთად ლიტვაში გაიმარჯვეს არა მარტო პროგრესულმა, დემოკრატიულმა ძალებმა, მოძრაობა „საიუდისმა“, არამედ ადამიანის სულმა და კულტურამ. პარლამენტის ხელმძღვანელები ძირითადად ჰუმანიტარული პროფესიების ადამიანები არიან, კულტურის, სულიერი სამყაროს წარმომადგენელია ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი. იგი, ამავე დროს, ძველი ლიტვური კულტურის მოღვაწეთა ოჯახის გამგრძელებელიც გახლავთ.

ლანდსბერგისების ოჯახი ერთი იმათთაგანია, ლიტველი ხალხის პირველ გამოღვიძებას რომ აერთიანებს მეორე და მესამე გამოღვიძებასთან. გაბრიელ ლანდსბერგის-ჟემკალნს (1852-1916) ლიტვური კულტურის ისტორიაში ლიტვური ეროვნული თეატრის ქურუმს უწოდებენ. იგი იყო ეროვნული თეატრის ორგანიზატორი, მსახიობი და რეჟისორი. დაწერილი აქვს მრავალი პიესა. ბევრს წერდა პირველ ლიტვურ სპექტაკლებზე. გ. ლანდსბერგის-ჟემკალნი 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა ლიტვური დრამისა და მუსიკის საზოგადოების დაარსებაში. ეს საზოგადოება, მისი აზრით, უნდა გამხდარიყო „ლიტვური ხელოვნების ცენტრი“. როცა 1904 წელს ლიტველებმა მეფის მიერ ორმოცი წლის წინათ მშობლიურ ენაზე აკრძალული პრესა კვლავ დაიბრუნეს, ვილნიუსში მაშინვე გამოვიდა პირველი ლიტვური ყოველდღიური გაზეთი „ვილნიუსის მოამბე“, სწორედ გ. ლანდსბერგის-ჟემკალნი იყო ამ გაზეთის ადმინისტრატორი. ორი წლის შემდეგ, 1906 წლის 24 ოქტომბერს ვილნიუსში წარმოადგინეს პირველი ლიტვური ოპერა „ბირუტეს“ პრემიერა. ამ ოპერის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა მ. პეტრიაუსკასმა, ლიბრეტო — გაბრიელ ლანდსბერგის-ჟემკალნმა.

ლიტვაში ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია გ. ლანდსბერგის-ჟემკალნის პიესა „ბლინდა — ქვეყნის გამსწორებელი“, რომლის პრემიერა 1907 წელს წარმოადგინეს. ამ პიესაში მწერალმა აღწერა მეცხრამეტე საუკუნის ქემაიტელი ყაჩაღები, რომლებიც ნამდვილი მძარცველები კი არ არიან, არამედ ებრძვიან უსამართლობას, [illegible] ძალადობას...

[illegible]-ჟემკალნის შვილმა ვიტაუტას ლანდსბერგის-ჟემკალნმა (დაიბადა 1893 წელს) ლიტვა **ააშენა**, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ფუნქციონალიზმის ფუძემდებელი ვიტაუტას ლანდსბერგის-ჟემკალნი ერთი ყველაზე სახელოვანი არქიტექტორია ლიტვაში. მის მიერ დაპროექტებული შენობები დღესაც ამშვენებს ლიტვის ქალაქებს, განსაკუთრებით კი ლიტვის ძველ დედაქალაქ კაუნასს. ისე, როგორც სხვა ლანდსბერგისებს, არქიტექტორ ვ. ლანდსბერგის-ჟემკალნს შეეძლო გაეერთიანებინა ხელოვნება პოლიტიკასთან, იგი დამოუკიდებლობისათვის არა მარტო ამ საუკუნის დასაწყისში იბრძოდა, არამედ საბჭოეთისა და გერმანიის მიერ ლიტვის ოკუპაციის დროსაც. და როგორც ჭეშმარიტი მებრძოლი ლიტვის თავისუფლებისათვის, როგორც ერის პატრიარქი, იგი შარშან, 16 თებერვალს, კაუნასის ცენტრში იდგა, როცა ახლად აგებული თავისუფლების ძეგლი გაიხსნა. იქ წარმოთქმული მისი სიტყვები „იყავით მხნედ“ — ბევრს სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში.

10 მარტს ვ. ლანდსბერგის-ჟემკალნს 97 წელი შეუსრულდა. სწორედ იმ საღამოს დაიწყო ლიტვის უზენაესი საბჭოს ისტორიული სესია. მეორე დღეს კი მისმა შვილმა — თავადაც ვიტაუტასმა — წაიკითხა ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის აქტი. ვიტაუტას ლანდსბერგისმა ერთ ისტორიულ ჯაჭვად შეკრა თავისი, მამისა და პაპის მისია. იმ საღამოს ამ ჯაჭვში დავინახეთ მისი შორეული წინაპრებიც, რომლებიც 1863 წელს მონაწილეობდნენ მეფის რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლიტვა-პოლონეთის აჯანყებაში.

ლანდსბერგისების გვარი ლიტველთათვის მამაცობის სიმბოლოდ იქცა. ვიტაუტას ლანდსბერგისს მამაცობა და შეუპოვრობა მაშინაც სჭირდებოდა, როცა დიდი ლიტველი ხელოვანის მ. კ. ჩიურლიონისის შემოქმედებითა და ცხოვრებით დაინტერესდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიდხანს მიუღებელი იყო ამ გენიოსის ნაშრომები. ვ. ლანდსბერგისმა ბევრი იშრომა ჩიურლიონისის ფენომენის გამოსავლინებლად. სწორედ მან დაგვანახა ჩვენ და მთელ მსოფლიოს ამ შემოქმედის სიდიადე.

1987 წელს ვ. ლანდსბერგისმა ლიტვის ინტელიგენტთა მცირე ჯგუფით კაუნასში შექმნა კულტურის პირველი საზოგადოება — მ. კ. ჩიურლიონისის მეგობართა წრე. ეს იყო პირველი ნაბიჯი ლიტვის სულიერი გამოღვიძების გზაზე.

უკვე მეორე წელს ვ. ლანდსბერგისი ხდება ლიტვის ეროვნული მოძრაობის „საიუდისის“ და საერთოდ მთელი ლიტვის პროგრესული ძალების ხელმძღვანელი. იგი მეტად თანამიმდევრულად, მე ვიტყოდი, არისტოკრატულად იბრძვის ლიტვის ინტერესებისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის.

დღეს ვიტაუტას ლანდსბერგისი ლიტვის სახელმწიფოს მეთაურია. მე, ლიტველს, დიდი სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ვარ ლიტვის რესპუბლიკის, თავისუფალი სახელმწიფოს მოქალაქე. მე, კულტურის მოღვაწეს, აღმაფრთოვანებს, რომ ჩემი სახელმწიფოს მეთაურის პიროვნებაში, ბოლოსდაბოლოს, გაიმარჯვა **სულმა**, თითქოს აღსრულებულიყოს ძველი რომანტიკოსის ოცნება...

მე, ბალტიელ ხალხთა ურთიერთობის მკვლევარს, მიხარია აღვნიშნო ისიც, რომ სამივე დიდი ლანდსბერგისი რაღაცნაირად დაკავშირებულია ლატვიასთან. მწერალი გ. ლანდსბერგის-ჟემკალნი სწავლობდა ლატვიაში ლიეპაიის სკოლაში, იჯდა ლიეპაიის ციხეში. მისი პიესა „ბლინდა“ დადგა ლატვიის ეროვნულმა თეატრმა იან რაინისის თაოსნობით. პიესა თარგმნა იან იაუნსუდრაბინმა. აქედან იწყება ლიტვურ-ლატვიური თეატრების თანამშრომლობა. ვ. ლანდსბერგის-ჟემკალნმა ცოდნა არქიტექტურის სფეროში გაიღრმავა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ჩვენ, ლიტველები, 1989 წლის 23 აგვისტოს შემდეგ ვცდილობთ „ბალტიის გზა“ კონკრეტული საქმიანობით გავაცოცხლოთ. ლიტველ-ლატვიელთა ძმობა ვილნიუსში თავის საქმიანობას „ბალტიის გზის“ გაგრძელებად მიიჩნევს. ეს გაგრძელება ვიგრძენით 11 მარტსაც, როცა ლიტვის სახელმწიფოს მეთაურმა გამოაცხადა: „ლატვია იქნება თავისუფალი!“ „ესტონეთი იქნება თავისუფალი!“

დღეს, როცა ლიტველები კომენტარს უკეთებენ ვიტაუტას ლანდსბერგისის პოლიტიკას, მის გამოსვლებს პარლამენტში, ასეთ შედარებასაც გაიგონებთ: იგი ლიტვის ყოფილ პრეზიდენტს ა. სმეტონას გვაგონებსო. გარკვეულწილად გარეგნული მსგავსება ნამდვილად არის, მაგრამ მთავარია, რომ გარეგნული პორტრეტი შეესატყვისება ყოფილი პრეზიდენტის შინაგან პორტრეტსაც: ემთხვევა მათი პატრიოტული მიზნებიც. მეორე მხრივ, ლიტვის სახელმწიფოს მეთაურთა გალერეაში შეიძლება დავინახოთ ვ. ლანდსბერგისის ფენომენი. ლიტველს (ნამდვილ ლიტველს და არა აღმოსავლური დიქტატურის ბაცილებით მოწამლულს!) შეუძლია სიხარულით თქვას: „დღეს სულის აღზევების დიდი დღე დადგა“, რადგან მისი ქვეყნის მეთაური არის **სულისა და კულტურის მსახური**. ასეთი მსახურები იყვნენ ჩიურლიონისი, ვიდუნი, კუდირკა...

**სილვესტრას გაიჟუნისი**

ვილნიუსის ლიტველ-ლატვიელთა ძმობის თავმჯდომარე, გაზეთი „ლიტერატურა უნ მაქსლა“, 1990 წ. 24 მარტი.

ლატვიურიდან თარგმნა **უშანგ სახლთხუციშვილმა**

# მერაბი — თავისუფალი საქართველოს სიმბოლო

დენიზა სუმბაძე

არ შემიძლია ვთქვა და არც არასოდეს ვიტყვი, რომ წავიდა ჩვენგან დიდი მამულიშვილი — მერაბ კოსტავა, დიდი წამებული და დიდი რაინდი ჩვენი დროისა და ჩვენი ერის. ვერ ვიტყვი, რადგან ამგვარი რამ არ მომხდარა.

სულ რამდენიმე დღის წინ საოცარმა მოვლენამ, სიხარულმა მოიცვა საქართველო, სიხარულმა საბერძნეთის ქართველ მამათა წმინდა სავანიდან, ათონის მთიდან იბერიის მფარველი დედა ღვთისმშობლის ხატის შემობრძანების გამო, ქართულ მიწაზე, — ცით. ხატს საქართველოსთან ერთად, მერაბი შეეგება თბილისის აეროდრომზე. ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ თბილისიდან გასული ვიყავი ორიოდ დღით. ხოლო, როცა, მოვფრინავდი თბილისს, არ შემიძლია, არ გითხრათ, რომ არასოდეს ასეთი გადაწმენდილი და განათებული კავკასიონი არ მინახავს მაღლიდან. თითქოს იბერიის ღვთისმშობლის ხატს, მის კავკასიონზე გადმოფრენას, რაღაც საგანგებოდ გადაეწმინდა მწვერვალეთი. თითქოს ქვეყანაზე ყველა ღრუბელი გადაკარგულიყო და ყველა სევდა დაეწვა ჩვენი კარიბჭის დედას. და ამ ცა-მოწმენდილზე სულ სხვა იმედით ანთებულებს და სასოებამონიჭებულებს, მისი ღვთიური მოახლოებით, მეოთხე დღეს მისი ჩამობრძანებისა შეგვიწყდა უცებ ძვირფასი გულის ფეთქვა მთელი ერისა: შეგვიწყდა სიცოცხლე ერისა და უფლის მსახური დედაბოძი კაცისა, რომელსაც შეეძლო წინა დღით ეთქვა: სანამ მერაბ კოსტავა ცოცხალია, საქართველოში ობოლი და უპატრონო არავინ არისო.

ეს მძლავრი მხრები დაიკეცა მიწისთვის და აღმართა ცისთვის.

მერაბის მიწიერი მისია საქართველოსთვის დასრულდა და. შეუძლებელია ადამიანის გონებამ ეს საოცარი თავზარი ქართველი ერის ცხოვრებაში არ დაუკავშიროს ჩვენი ზეციური ნუგეშინის მცემლის — იბერიის ღვთისმშობლის ხატის მოახლოებას ჩვენთან, მერაბის უკანასკნელ ყოფნას მისაგებებლად და თაყვანსაცემად ერის სამფარველოდ მოახლოებული ხატისა.

და ვერ იღვიძებს ვერავითარი სხვა აზრი, გარდა ერთისა: თუ თავად ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმა და ძალმა მისი ხელთუქმნელი და სასწაულმოქმედი ხატის მოახლოებისამ ვერ დაგვიცვა მისი რაინდი, ვერ დაგვიცვა და ვერ დაგვიფარა ღვთისმშობლის წილხვედრი მისიის მიწიერი აღმსრულებელი და თანამფარველი სიცოცხლე მერაბისა, მაშინ მერაბი მას საქართველოზე თავისი ახალი ზეციური ძალისხმევისთვის დასჭირვებია და, ვითარცა გამორჩეული, გაუტაცნია ჩვენგან. სხვა საკითხია, როგორ და ვისი შემწეობით: კეთილისა თუ არაკეთილი ძალის. მე მინდა, აქ მერაბ კოსტავას საგალობელი გითხრათ ღვთისმშობლისადმი, რამდენიმე ფრაგმენტით, მისი ბრწყინვალე და მოკრძალებული ქართულით გაწყობილი, დღეს დავით გურამიშვილივით რომ ჟღერს, და, რომელსაც, იგი არასოდეს ეპყრობოდა, როგორც გასახმამაღლავებელ პოეზიას; მე მინდა გითხრათ იგი.

ჩემი ხელით გადაწერილი მერაბის ლექსების პატარა კრებულიდან, რომელსაც ერთ-ერთი ლექსის სათაური — „თეთრი ქალწული" — ჰქვია, და რომელიც მისი გადასახლების დროს, მისი მწუხარე და ტანჯული დედის არქივიდან და ზოგიც ადრინდელი ლექსებიდან შევკარ წარწერით: „შენი ლექსები, ციხეში დაწერილი, შენი გაუტეხავი სულის მოსაფერებლად გადაწერილი ჩემგან, შემომიწირავს იმ უტეხი ლოცვების დარად, რომელნიც შენი მშვიდობით დაბრუნებისათვის აღითქუნენ სიონს"...

„სოფლისა წარმავალობამ
გამიასკეცა ჭრილობა,
თუ მიხსნის, შენი წყალობა
და შენი წილხვდომილობა.
შენგან, შენგან განიდიდა,
და განახლდა მიწა ძველი,
შენ დაჰბადე სიკვდილითა
სიკვდილისა დამთრგუნველი.
ანგელოსთ დასმა გადიდა,
უკვდავი სიტყვის მშობელი,
მე ბაგით, მწიკვლევანითა,
ვით გკადრო საგალობელი.
ვნებანი ველარ წარვხოცე,
ავმან, საავდროდ ვიავე,
ნიჰი, ზეგარდმო ნაშობი,
გავფანტე, გავანიავე.
სული მომმადლე თმენითა,
გამოუთქმელი ენითა,
ხრწნილებისაგან დამიხსენ,
უხრწნელებითა შენითა.
თუ რამ ვცოდე, მომიტევე,
დამიშრე ცრემლთა ტბორები,
ნუ სადა მე დამიტევებ,
ნუ სადა განმეშორები.
სინანული განმიახლე,
სიწმინდეო შეუვალო,
სახლად ღვთისად მიმაახლე
ღმრთისა სძალო დედუფალო.
შენგან, შენგან განიდიდა,
და განახლდა ზეცა ძველი,
მკვდრეთით აღდგა სიკვდილითა,
სიკვდილისა დამთრგუნველი.
დაუსაბამო ნათლის ცისკარო,
სწრაფშესმენითა მადლის
მგებელო,
შენდა ვღაღადებ ყოველ ცისმარე
უბიწოო შე-უგინებელო.
შენგან დამესახოს მაღალი მიზანი,
შენით დავუტევო გზანი
ცოდვისანი
შენ თვალო, სულიწმიდისა,
ადამის მოდგმის გაისო,
ცისკენ გამდებო ხიდისა,
სერაფიმთ უზესთაესო.
წინაშე ძისა შენისასა,
მას დღესა განკითხვისასა,
ნუგეშად გამოგვიჩნდი რომელი,
გვექმენი შუამდგომელი".
(მერაბ კოსტავა „ღვთისმშობლისადმი")

მერაბის სიცოცხლის ამ მეხოვით დაცემული საზღვრის დადებით, მერაბის ასეთი მოწყვეტით ბრძოლის შუაცეცხლიდან, მერაბ კოსტავა იქცა უცებ მცნებად ამ ბრძოლისა, სიმბოლოდ, და შესაძლოა, იდეადაც.

მერაბზე, როგორც პიროვნებაზე და ეროვნულ ფენომენზე ახლა დაიწყება ნამდვილი ფიქრი და მერაბი, ამჟამიდან დაიწყებს თავის ნამდვილ არსობრივ სიბრძნით აღმართებას ქართველი ერის ცნობიერებაში.

თვითშემეცნებას თავისი ეროვნული, სახელმწიფოებრივი რაობისას ქართველი ერი დღევანდელ ვითარებაში მერაბის ფენომენის გადააზრების გარეშე ველარ შესძლებს, რადგან მერაბ კოსტავა ის დიდი ზვარაკია უფლისა მიძღვნილი ქართველი ერის ბედისწერით, რომლის ცრემლივით კამკამა სულიც მარტო სანთელივით კი არ ანთია უფლის წინაშე, არამედ ჩირაღდანივით სჭრის უმწეობის წყვდიადს ქართველი ერის ღირსეული და მისადაგისი სახელის მოპოვებისათვის, მისი დიდ ერობისათვის. მერაბ კოსტავა ის ღვთაებრივი წმინდა ზვარაკია, შეწირული ერის მომავალს, რომლის ზღაპრული შებრძოლებაც ათიოდე წლის წინ იმ სახელმწიფოებრივ გარემოცვაში აღმართულ ბნელ, უძრავ გველეშაპთან, წმინდა გიორგივით ხატავს მას და წმინდა გიორგის მარადიულ ქართულ ხატებას უერთებს საქართველოს დროშაზე. წმ. გიორგი ქართველი კაცის იდეა და ხატია, რომელსაც საქართველოში თავისი კერძობითი განსხვეულებანი ებადებიან და ერთვიან სულიერად.

დიდი პირველმოძღვარნი კაცობრიობისა გვასწავლიდნენ, რომ სამყაროს დიდი უსასრულეთის ბუნება მის უსასრულოდ მცირე ნაწილშიც შეიძლებოდა ამოგვეცნო და ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ კიდეც ისინი თავიანთი გულისა და გონების ქურაში გადამდნარი ამ ამოცნობილი ჭეშმარიტების მრავალგზისურ სახეობრიობას. შემდგომ უკვე ქრისტიანული ორიათასწლეულის დასასრულ საუკუნეებში შესძლო ადამიანმა დაედგინა, რომ სამყაროული ვარსკვლავეთის ამოსაკითხად, მისი სრულყოფილი ბუნებისა და ყველა მშვენიერების შედედებულ სახეში სახილველად უსულო პატარა ნაწილაკები კი არ უნდა იკვლიოს და იმეცნოს კაცმა, არამედ უნდა ჩაღრმავდეს და უნდა იკვლიოს ადამიანის სულში მოჭედილი ვარსკვლავეთი.

სხვადასხვა ერს სამყაროული ვარსკვლავეთის თავისი საკუთარი ამოსაცნობი სულები გააჩნია, საკუთარი პიროვნული ვარსკვლავეთი. როგორც ერთი ბასკური წარმოშობის ესპანელი ამბობს — ყოველი ერი თავის კრებით სულს მონუმენტურად განასახიერებს რომელიმე ერთ ჰეროიკულ პიროვნებაში, ან რომელიმე დიდ ლიტერატურულ სახეში, რომელიც ადამიანთა ცნობიერებაში ცოცხალი ადამიანის, პიროვნების ფუნქციას იძენს, რადგან იძენს რეალურ არსებობას. ამიტომ, ერთ-ერთი ჩვენი თანამოქალაქისმიერი, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ფილოლოგიურ-ესთეტიკური შემეცნებიდან დაშორებული ფიზიკოსის, მაგრამ უშუალოდ სავსე და სუფთა ცნობიერებითი ხარკით მიმზერილი მზერით „ვეფხისტყაოსნის" გმირებზე, ავთანდილის სახეში წმ. გიორგია დანახული, რაც იმას ნიშნავს, რომ მზე ყველასათვის ერთნაირად ამოდის მზედ, საიდანაც არ უნდა ვუმზერდეთ მას ამოსვლისას. ამიტომ, არის, რომ რელიგიური ცნობიერებით იქნება აღქმული თუ პოეტურით, წმინდა გიორგი იქნება ქართველი კაცისთვის ავთანდილი და ავთანდილი წმინდა გიორგი. ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ის, ვინც რუსთაველმა თინათინად და ავთანდილად დახატა, ხალხს თამარ მეფედა და წმინდა გიორგიდ აღექვა თავის ცხოვრებაში და რელიგიურად განეცადა.

ასეთია ის რელიგიურ-პოეტური სიღრმენი ქართველი ერის სულიერი სივრცეებისა, საიდანაც დაიბადა და ამოიზიდა მერაბი სულიერად, მისი ავთანდილური და წმინდა გიორგისებური მოწამებრივი შემართება.

ერები არსებობენ დიდნი და მცირენი არა თავიანთი დემოგრაფიული ლანდშაფტებით, არამედ თავიანთი სულიერი ფასეულობით, სულის ისტორიითა და მძლავრობით, მისი სათნოებრივი ხასიათით.

როდესაც მერაბმა ჯერ კიდევ ათი წლის წინ, დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირის ჰიმნის პირველი სტრიქონების ველიკორუსული ტენდენციისა, როდესაც მან იმ დროისათვის გაუბედავი გაბედა და თქვა, რომ:

Союз нерушимый
республик свободных
Сплотила навеки
великая Русь —

არაზუსტი ფორმულაა „კავშირის" რაობისა, — ეს უკვე ნიშნავდა „კავშირს", როგორც სამართლიანობის შემწე სახელმწიფოს სამართლიანობაში ახალ ჩაღრმავებას, თავისუფლების ცნების სახელმწიფოებრივ შემოწმებას, და ამასთან, უკვე თავისთავად ნიშნავდა განცხადებას იმისა, რომ ჰიმნი საკავშირო სახელმწიფოსი საკუთარი ერის ჭეშმარიტ ღირებულებას არ შეიცავდა. მერაბის განცხადება ნიშნავდა უარს იმაზედ, რომ არადიადი რესპუბლიკების მწკრივში, საკუთარი დიადი ერის ღირებულებაზე, ქართველი ერის სიდიადეზე, უნდა ეგოთ პასუხი მის წინაშე ჰიმნის შემქმნელებს.

მერაბი მართლაც ჰეროიკული ძალით აღუდგა პოლიტიკური თუ ფიზიკური ისტორიული შეჭირვებით შეჭირვებული ქართველი ერის დიადრუსული შედულაბების იდეას სხვა ერებთან, შედულაბებისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულ სოციალურ იდეაზე იყო დაფუძნებული და სამშობლო ქვეყნის გრძნობა თითოეულისთვის იყო დაკარგული. და, რაც მთავარია, სახელმწიფო ჰიმნის პირველსავე ფორმულირებაში დიდი ძმის უპირატესი წარმოჩინებით სიდიადე თავად ქართველი ერისა, უგულებელყოფილი შესაძლოა არ იყო, მაგრამ, არა სჩანდა. აი, რა აწუხებდა მერაბს. მერაბი, ვითარცა სიმბოლო და განსახიერება ქართველი ერისა, წარმომადგენელი მისი, აღიმართა რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე, ვითარცა პასუხისმგებელი ქართველი ერის სიდიადისა.

მერაბს ღრმად ესმოდა, არა მარტო საქართველო, არამედ რუსეთიც. მერაბთან ერთად, თავად გახლდით უდიდესი დამფასებელი რუსული სულიერი ღირსებებისა: რუსული ნეოპლატონური აზროვნება განგრძობაა მსოფლიოს ნეოპლატონური შემეცნებისა. რუსული სოფიოლოგია, როგორც პოეტური და მისტიური ფილოსოფია, უდიდესი აღიბაა შემეცნებითი წიაღლეებისა ერის მიერ, მაგრამ არც სოფიოლოგიური აზროვნება რუსული გონისა არა ქცეულა ჯერ ეროვნულ მოძღვრებად და არც ერის ზნეობრივი სიმაღლის ამღებ მონუმენტურ მხატვრულ სახეობრიობაში არ გარდასახულა, როგორც ეს ქართველმა ხალხმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით" შესძლო. მართლმადიდებლური წვდომა რუსეთისა ჯერ კიდევ ასახვაა ბიზანტიის სიდიადისა და რუსული ეროვნული ეკლესიური გარდასახვა არ აღსრულებულა. ამიტომ, თუ მაინც დიდია ერი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს სხვა ერის სიდიადის დაკნინებისა საკუთარი უპირატესობის წარმოჩინებით. და თუ ამგვარმა მიმართულებამ, მაინც დაისადგურა მისი არსებობის ბუნებაში, სწორედ ეს მიმართება აყენებს ეჭვის ქვეშ სიდიადეს ამგვარი ერისას და ეს მოყვრულადაც საჭიროა მინიშნებულ იქნას. მე ვფიქრობ, რომ ჩემის მხრიდან, მაინც დიდი დანაკლისი იქნებოდა მერაბის ფენომენის სახასიათებლად ამ თანამოაზრული წიაღსვლის მიღმა არ მეთქვა ის უმთავრესი მომენტი, ჩვენი წმინდა ინტელექტუალური და სრულიად არაპოლიტიკური მეგობრობისა და ურთიერთობისა, რომელიც მერაბის ეროვნული მსოფლმხედველობის ევოლუციურ გზად ისახებოდა მისი პატიმრობის წინარე პერიოდში. მერაბი დოქტორ შტაინერის ანტროპოსოფიისა და ანდრეი სახაროვის სახელმწიფო თეორიების შერწყმაზე ოცნებობდა იმ ჟამად, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო — ჩვენი ეროვნული, სულიერი გზისა და ცხოვრების გზის ძიებისა და შემეცნების პრინციპად.

თავისი დიდი, ათწლიანი პატიმრობის წინა საღამოს, ჩვენ ვსაუბრობდით დიდი ასკეზის თვითგანჩინებით სენაკებზე, თვითსაპატიმროებზე განდეგილებისა, დიდი ასკეზის წრთობით შესაძლებლობებზე, რომელთა მიმართებაშიც ყველა პოლიტიკური განჩინება პატიმრობისა მცირდებოდა და მერაბი თავისი სულიერი შესაძლებლობებით იმგვარი ასკეტური თვით[illegible]ბისა და [illegible]ულებისათვის იყო მზად, რომ თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა სატანჯველი ბედნიერებით ჰქონდა მიღებული და უკანდაბრუნებულს, აღარცერთი წამით აღარ ახსოვდა. მას აღარ სურდა, დრო დაეკარგა წარსული წამების გახსენებით, რადგან ყოველი დარჩენილი წუთი სიცოცხლისა, ისევ საქართველოსთვის და ისევ ახალი ტანჯვისათვის უნდოდა.

გადასახლებიდან დაბრუნებული მერაბი სულ მალე აღმოჩნდა ახალ სახელმწიფოებრივ გარემოცვაში, დიდსულოვნებისა და აღსარების გარემოცვაში. იგი სრულიად ახალი ეროვნული პათოსით იყო აღვსილი და ეროვნული ძალების შეკრებას ლამობდა დიდი მიზნისათვის და როდესაც ურიცხვი აღმოაჩინა წინამძღოლობის მსურველი, თავისი, მორალური და სულიერი ამაღლებისა გამო (რომელთა დაიმდაბლონ თავი თავისი, იგინი ამაღლდნენ) ყველასათვის გაინაწილა თავი. იგი იყო ის ნამდვილი, უღალატო ძალა დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, მორალური და რელიგიური ცხოვრებისა, რომელზეც შეიძლებოდა ერის დაყრდნობა.

საკმარისია ამა თუ იმ ერმა თავის მამულიშვილთა ცხოვრებაში ერთი მონუმენტური ბიოგრაფია შექმნას, რომ ის ერთი თავის იდეალურ დონეს მისწვდეს ამ ერთი ბიოგრაფიის შემწეობითაც.

მერაბი საქართველოში თავისი ბიოგრაფიითა და თავისი ნატურით არის ფენომენი, რომლის სიღრმეშიაც ქართველი კაცის გენეტიკური იდეალი შეიძლება დავინახოთ.

მისი ბრძოლა ქართული პოლიტიკური თავისთავადობისათვის, თავის ქვეტექსტში უფრო ფართო დიაპაზონის შემცველია, ვიდრე პოლიტიკური თავისთავადობა.

მერაბი თავისი ცხოვრების წესითა და პიროვნებით არის განძი ქართული სულისა, განსახიერება იმ საქართველოსი, რომელშიაც ისევ „ვეფხისტყაოსნის" ტარიელ-ავთანდილები ხუნთქავენ რეალურად.

ქართველ ხალხს, თავისი დიდი წარსულისა და ტრაგიკული აწმყოს ხალხს, საკუთარ ღირსებას ჩამორჩენილსა და თავისთავში მძრწოლავს, მერაბ კოსტავას სახით, მისი მონუმენტური მოწამებრივი ბიოგრაფიით, დიახ, დიდმოწამეობრივი ბიოგრაფიითა და პრომეთეული რაინდობით, აქვს დიდი ზოდი ბრწყინვალებისა, რომელიც თავად ქართველი ხალხის ნამდვილ ბუნებასა და სახეს აცნაურებს, მაღლა სწევს და სახილველსა ხდის.

რამდენადაც მერაბს უფრო ერის ავთანდილობა არგუნა ხვედრად განგებამ, ტრაგედია იმაშია თითქოს, რომ თავისი „თინათინნესტანი", ანუ საქართველო გაუერთიანებელი დარჩა, და თავისი ოლიმპიური ჩირაღდანი ვერ მიიტანა თავისუფლების ტახტთან. მაგრამ ეს განჩინება თავისთავად არ არის სწორი, რადგან მერაბმა უკვე აღმართა დამოუკიდებელი საქართველოს, ანუ თავისთავადი ქართველობის დროშა, და ეს შესაძლებლობა წარმოთქვა იმდენად მჭუხარედ, რომ რეალობას უდრის და შესაძლოა კერძობით ემპირიულ რეალობაზედაც მაღლა იდგეს.

და მაინც არ შემიძლია არა

(დასასრული მე-14 გვ.)

* გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც გადასცა საქ. რადიომ მერაბ კოსტავას დაკრძალვის დღეს.

(დასასრული)

ვთქვა:: თავისი თავშეწირული ბუნებით ყველასათვის განაწილებულით, მათი შინაგანი ძალების ასამაღლებლად, როგორღაც მაინც მარტოსული და მიუსაფარი იყო, მსხვერპლი ყველასი, ღვთიურად წმინდა და ზოგჯერ დაჩრდილულიც დემონური ამპარტავნების საზოგადოებრივი იმპერატივისაგან. თავისი წმინდანებრივი სიმდაბლით იგი ისედაც თავად იყო დამჩრდილავი და მგვემავი თავისი თავისა, მისი ცხოვრების პრინციპები წმინდანებრივი იყო და როცა ავთანდილური ოცნებების გზაზე წუთისოფელი ეფატმანებოდა, მას მართლა ავთანდილივით ცხარე ცრემლით დაჰქონდა გული სავსე და დავით ალმაშენებელივით იდგა სანთლის ციცინათელით განათებული სიონის გუმბათქვეშ, მონანულის მდუმარე გოდებით ხატებთან მიახლებას მორიდებული და ღვთის მოშიში.

საქართველოს მეფეთა მსგავსად იგი მგოსანი იყო ბუნებით და საოცარი სისათუთე მისი სულისა, საოცარი სინაზე ამ მქუხარე კაცისა, მის პოეტურ ხედვაშიაც აშკარად ირეკლებოდა.

მიუსაფარი ფიფქი ეული
მაგ გიშრის ტევრში მსურდა მენახა,
ფიფქივით ქარის ამბორს ჩვეული
ფიფქის რჩეულიც თურმე შენა ხარ.
რად დაუტევა თავშესაფარი
ან ზეცას ზურგი რად შეაქცია,
მოხეტიალე ცის ბინადარმა
ვიდრე შენამდე ჩამოაღწია.
ან თუ ისმინა შენი მუდარა,
ანაზდად დასთმო სიმაღლეები,
ჩამოახია ღამეს სუდარა
და საქორწინოდ მორთო ტყეები.

და დასასრულ მინდა, კიდევ ერთი წიაღსვლით დავამთავრო სიტყვა მერაბზე — თუმცა უამრავი დარჩა სათქმელი.

იმ წმინდა წიგნთა შორის, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია, ჩვენ, ქართველი ხალხი იმ წმინდა წიგნის მიმდევარნი და გონით მორჩილნი ვართ, რომლითაც ადამის პირველ მოდგმას, კაენსა და აბელს, ადამიანის იმ ორგვარი ბუნებისათვის დაუდვია სათავე, რომელიც მათივე სახელებით იწოდება და პირველი, ანუ კაენური, არის ბუნება ურჩობისა ღვთისადმი, ხოლო მეორე — მორჩილება. ცნობილია ეკლესიურადაც როგორც კანონი, რომ არა ყოველი შესაწირავი შეიწირების და უფალმა იცის მიმაღლებულნი თავისაგან. ადამიანის მოდგმა ამ ორგვარ საწყისზეა აღმოცენებული და ამიტომ თითოეულ ადამიანში არის გარკვეული და სრულიად მრავალფეროვანი ნაზავი ამ მეტნაკლები იმპულსებისა.

კაენი არის ის საწყისი, რომლის შესაწირავიც არ შეიწირა უფალმა, აბელი — ძმა მისი, არის თავისი შესაწირავივით მორჩილი და ცხვარი. კაენი შურისმაძიებელი ღმერთზე და შემრისხავი ღმერთისა საკუთარი თავის სასჯელად.

მერაბი თავის მორჩილებაში არის აბელური ბუნება, მორჩილი ტარიგი ერისა და აბრაამისა, რომელსაც მუდამ განმზადებული აქვს უღელი თავის დასადებად და მოსაკვეთად უფლის სახელით. მაგრამ ყველას როდი აქვს უფლება და თავად აბრაამსაც, ან თუნდაც ერსაც როდი აქვს უფლება ვითარცა საკუთრება, ქედი შვილისა მიუშვიროს უფალს. ასე ექცეოდა მერაბს თავისი თანამებრძოლი საზოგადოებაც და თვითონაც თავის თავს. მაგრამ ეს არ იყო მარტო წმინდანებრივი თავშეწირვა მისი მიზნის. ეს იყო ზოგჯერ რაღაც აუხსნელი და გაუგებარი, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი მორჩილება მავანთა მიმართ, რასაც ჩვენ თვალში საქართველო და ჭეშმარიტება არ ითხოვდა, მაგრამ ამაშიც იგი სამსხვერპლოზე მიყვანილი მიანაბრებული უფალს, თავად ტარიგისაგან უფლისა ელოდა გამოგზავნილს ხმას ანგელოზისას...

ამიტომ ჩვენგან ვერგაფრთხილებული და ჭარბად განწირულიცა და შეწირულიც, წაგვართვა იგი უფალმაც და დედა ღვთისმშობელმაც. იგი ახლა დიდი და სამართლიანი ზეციური საქართველოდან შეეწევა ხალხსა და ქვეყანას თვისას.

# ოღონდ სიმართლე ილაპარაკეთ

## გუგაზ მეგრელიძე

ქართულ პრესაში მომრავლდა პოლემიკური წერილები. მათ რიცხვს მიეკუთვნება გურამ პეტრიაშვილის გამოსვლაც, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია.

ჩვენი სახელმოხვეჭილი მუსიკოსის, ლიანა ისაკაძის, „გაკიცხვის" შემდეგ გ. პეტრიაშვილი კოტე მარჯანიშვილის განქიქებას შეუდგა...

ღმერთმა დამიფაროს, რომ მე კოტე მარჯანიშვილის ჭირისუფლად ვაცხადებდე თავს. მის ხსოვნას ამას ვერ ვაკადრებ. მას პატრონად მთელი საქართველო ჰყავს და ჩემი დაცვა არ სჭირდება. მაგრამ ახლა აუცილებლად მიმაჩნია აზრის გამოთქმა.

ბატონო გურამ! ამ წერილს არ დავწერდი, თქვენ რომ მართლა მარტო ენის საკითხი გაწუხებდეთ. ამ შემთხვევაში ქართული ენის უცოდინრობა მიზეზია ცალკეულ პიროვნებათა ზნეობის შეფასებისა და მათი ხელოვნების განქიქებისა. თქვენ წერთ: „ქართველმა ქართული უნდა იცოდეს და უყვარდეს-მეთქი, — აი, ამას ვამბობდი"! არა, მარტო ეს არ გითქვამთ. მშობლიური ენის ცოდნასა და სიყვარულს შორის დიდი სხვაობაა და მათი შეხამება „მათემატიკური" სიზუსტით ყოველთვის არ ხერხდება. ბრძენს უთქვამს, ზნეობა მისივე საქციელით განისაზღვრებაო, და ამ შეხედულებას ანგარიში უნდა გავუწიოთ. შემდეგ აღნიშნავთ: „გავარკვიოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისა და ერის ცხოვრებისათვის მშობლიური ენა". სამწუხაროდ, ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობთ. როცა ეროვნულ ინტერესებზეა ლაპარაკი, სწორედ შემოქმედებას ენიჭება მნიშვნელობა ამა თუ იმ პიროვნების ღვაწლის შეფასებისას. აბა, წარმოიდგინეთ ქართული მუსიკალური კულტურა ზ. ფალიაშვილის ოპერების გარეშე. იქნებ თქვათ, რადგან ზ. ფალიაშვილი ვერ ფლობდა ქართულს, ამიტომ ეს არ არის ქართული მუსიკაო. მაგრამ შეიძლება კი ამის დაჯერება?

თქვენ ასევე წერთ: „თეატრი კი სიტყვის ტაძარია! რას უნდა სცემდნენ აქ პატივს? ქართულ სიტყვას, მეგობრებო, დიახაც, რომ დედამიწის ერთ-ერთ საოცრებას, ქართულ სიტყვას, მერედა, არის ასე? არა!" აქ თქვენი თვითნებობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება, ნუთუ არ იცით, რომ მეცხრამეტე საუკუნეში სწორედ ქართულმა თეატრმა შემოგვინახა მშობლიური ენა? იმჟამად თეატრი იყო ერთადერთი კერა, სადაც წმიდა ქართული ისმოდა...

თქვენი დებულების „დასამტკიცებლად" მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტის მაგალითით იფარგლებით და მთელი ქართული თეატრის წარსულსა და ახლანდელობასაც ამის მიხედვით აზოგადებთ. რადგან საბუთები არ გყოფნით, სერგო ზაქარიაძის ავტორიტეტს ეფარებით. უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამ დიდი მსახიობის ჩანაწერები ძირითადად ფრაგმენტული ხასიათისაა, მის პირად, სუბიექტურ მოსაზრებებს, გამოხატავენ გარკვეულ ემოციებთან დაკავშირებით და ასეთი არასწორი განზოგადება გაუმართლებელია. ს. ზაქარიაძე ხომ თავის გულისნადებს გამოსაქვეყნებლად არ ამზადებდა და არც ქართული თეატრის დადანაშაულებას აპირებდა!...

თქვენ რატომღაც მიგაჩნიათ, რომ თუ მოღვაწეს არაქართველის იარლიყი მიაწებეთ, ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ განა მართლა ასეა? ამ წერილის („ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ", „ლიტერატურული საქართველო" №10) დაწერისას კარგი იქნებოდა, წინასწარ გარჯილიყავით და გადაგეკითხათ ქართული თეატრის ისტორია, ცალკეული წიგნები კოტე მარჯანიშვილის შესახებ. ამას მოითხოვდა ის არასაკმარისი ცოდნაც, რომელიც თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლისას მიგიღიათ. უახლესი ქართული თეატრის ფუძემდებლების ღვაწლის უარყოფის საფუძვლად თქვენ ქართულად სუსტად ან ცუდად მოლაპარაკე მოღვაწეებს ასახელებთ. მართლაც, გულსაკლავი ფაქტია, რომ ქართველთა საამაყო და დღემდე შეუცვლელი შემოქმედნი, მეცნიერ-მოღვაწენი საფუძვლიანად ვერ ფლობდნენ მშობლიურ ენას, მაგრამ ეს ხომ არა მარტო მათი, არამედ მთელი ჩვენი ერის ტრაგედიაც იყო. გვაქვს კი უფლება, არად მივიჩნიოთ ის უსაზღვროდ დიდი პატრიოტიზმი, რომლისთვისაც მათ არაფერი დაზოგეს?

ბატონო გურამ! მერწმუნეთ, არას გარგებთ ასეთი „მათემატიკოსობა"! თქვენ რომ დაინტერესებულიყავით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეორის მოღვაწეობით, ხომ დარწმუნდებოდით, რომ საქართველოს მმართველი წრეებიდან გამოსული მოღვაწენი იძულებულნი იყვნენ რუსეთში მიეღოთ სწავლა-განათლება და შინ დაბრუნებულთ მიეხედათ ქართული კულტურისათვის. განა მათ არ ესმოდათ ასეთი ნაბიჯის ჯრასასურველობა? სად იყო უკეთესი გამოსავალი?! სპარსეთი და ოსმალეთი? აბა, რომელს აარჩევდით? ასე თანდათანობით ხელიდან გვეცლებოდა ქართული ენა. სწორედ ასეთმა ცხოვრებამ განსაზღვრა შემდეგში კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთი ტენდენცია, ასეთმა ცხოვრებამ მიუხურა ცხვირწინ გიორგი ერისთავს თეატრი, ამიტომ ამბობდა სანდრო ახმეტელიც, „არის ქართული თეატრი ქართულიო?" და დღეს ვის საყვედურობთ ქართული ენის არცოდნას?!

კოტე მარჯანიშვილის თაობამაც ძირითადად რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო განათლება და უცხო გარემოში ცხოვრებაც მოუხდა. დაპყრობილი საქართველოს გიმნაზიებშიც სწავლა ხომ ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა! ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველი ინტელიგენცია რუსულ ენას სრულფასოვნად ფლობდა. მაგრამ ეროვნული საქმეების საკეთებლად არც ერთი მათგანისათვის ამას ხელი არ შეუშლია. პირიქით, არავის უარუყვია საკუთარი ერი და მისთვის ზურგი არ შეუქცევია. ამ ზნეობრივი პოზიციებიდან უნდა ვიმსჯელოთ მათზე და არა მხოლოდ ენის პრაქტიკული ცოდნით შემოვიფარგლოთ (ჩვენ, ცხადია, ამით სრულიად არ უარვყოფთ ენის ცოდნის აუცილებლობას!).

თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ შერეული მეტყველება იმ ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ვითარების ბრალია და არა ცალკეულ პიროვნებათა ახირებულობა. ამიტომ მოვლენები ისტორიული ვითარების გათვალისწინებით უნდა შეაფასოთ და არა დღევანდელი ცალმხრივი პოზიციიდან.

თქვენ წერთ: „კოტე მარჯანიშვილი არ შესდგომია ქართული თეატრალური მეტყველების სტილისა და ტერმინოლოგიის შემუშავებას და არც თეატრალური ხელოვნების სახელმძღვანელოების მომზადება დაუწყია ჩვენს მშობლიურ ენაზე. რატომ არ შეუდგა? რატომ არ დაიწყო?" იმიტომ, ბატონო გურამ, რომ თქვენ სიჩქარეში ერთმანეთში აგერიათ მეცნიერისა და ხელოვანის პროფესიები, მათი დანიშნულება. კ. მარჯანიშვილი რეჟისორი გახლდათ და იგი მაღალმხატვრულ სპექტაკლებს დგამდა! თანაც ქართული თეატრის მდგომარეობა რთულ სოციალ-პოლიტიკურ და შემოქმედებით ვითარებაში მიმდინარეობდა. იმჟამად თეატრს კარგი სპექტაკლები სჭირდებოდა, ხოლო კარგი სახელმძღვანელოების, სტილისა და ტერმინოლოგიის შემუშავება ნამდვილ მეცნიერებს ევალებოდათ, რაც განხორციელდა კიდეც. ასე რომ, ყველა სფეროს წარმომადგენელი, თქვენგან განსხვავებით, თავის კონკრეტულ საქმეს აკეთებდა, თეატრალურ ნაშრომებს კი ქმნიდნენ ჩიქოვანი, ვ. გუნია, აკ. ფალავა და სხვები.

თქვენი დასკვნები ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, როდესაც წერთ: „განა ქართულს არაფერი დაუშავდება იმით, თუკი რეჟისორი რუსულად ლაპარაკსა და აზროვნებას აიძულებს მთელ ქართულ დასს?" სად ამოიკითხეთ, კ. მარჯანიშვილმა ქართველი მსახიობები გაარუსაო. პირიქით, მან ქართულ სიტყვას მხატვრული ძალა შესძინა და ისე დაუბრუნა ქართველ საზოგადოებას. ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი ქართული ენის მასწავლებელი კი არ იყო, არამედ მისი მეოთხედსაუკუნოვანი რეჟისორული გამოცდილება!.. დაშავების მაგივრად სწორედ ამან უშველა იმჟამინდელ ქართულ თეატრს...

თქვენ კ. მარჯანიშვილის მიერ ქართულის არცოდნას სერგო ზაქარიაძის ჩანაწერებში ვერ ამოიკითხავდით, იქ არც ის წერია, რომ დიდი რეჟისორი „რუსეთუმე" იყო და „რუსული ქართული თეატრი შექმნაო". ეს ორივე ხელოვანის შეურაცხყოფაა. ასეთი დასკვნა, თვითონვე შეთხზეთ და დაიჯერეთ კიდეც. ამიტომაც მიხვედით უსაფუძვლო და უპასუხისმგებლო დასკვნამდე: „კოტე მარჯანიშვილის მორუსულეობამ ქართულ საბჭოთა თეატრში დაამკვიდრა ტრადიციად, რომ თეატრის პროფესიული ენა რუსული იყოს. სამოცდაშვიდი წლის მანძილზე ეს ტრადიცია თითქმის რელიგიად იქცა". ხინამდვილეში რა ხდება? თეატრის ისტორიაში უკეთ რომ ერკვეოდეთ, დაინახავდით, რომ თავის სპექტაკლებში კ. მარჯანიშვილმა მაღალმხატვრული სახეების შექმნის დიდი შესაძლებლობა მისცა ქართული სცენის მომავალ კორიფეებს: ვ. ანჯაფარიძეს, თ. ჭავჭავაძეს, აკ. ვასაძეს, ალ. ჟორჟოლიანს, უ. ჩხეიძეს, შ. ღამბაშიძეს. აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორს თ. ვახვახიშვილს, მხატვრებს: ირ. გამრეკელს, პ. ოცხელს, ე. ახვლედიანს, თ. აბაკელიას და სხვებს. განა ყოველივე ეს რუსული თეატრია? რუსული სიტყვა ისმოდა სცენიდან? ხოლო კარგი გაგებით იმ „რელიგიად ქცეულ ტრადიციას" სწორედ ამ თაობამ ჩაუყარა საფუძველი, რომლითაც მთელი ქართველი ერი ამაყობს.

თქვენ რომ თეატრალური ხელოვნების სპეციფიკაში ერკვეოდეთ, გეცოდინებოდათ, რომ ერთსა და იმავე თეატრში, ერთი და იგივე სპექტაკლი ყოველ სალამოს განიცდის ცვლილებას. ასეთია თეატრის შინაგანი ბუნება. ამიტომ რუსული სცენიდან „ცხვრის წყაროს" მექანიკური გადმოტანა ქართულ თეატრში შეუძლებელი იყო. კ. მარჯანიშვილმა გაითვალისწინა ქართველ მსახიობთა შესაძლებლობები, არსებული თეატრალური გარემო და ასე განახორციელა სწორედ ქართული სპექტაკლის დადგმა.

ამას გარდა თქვენ წერთ: „განახლებაში ცხადია, იგულისხმება ქართული თეატრის გასაბჭოურება". აქაც არა ხართ მართალი! ისტორია რომ იცოდეთ, გაგონილი გექნებოდათ მაინც, რომ ქართული თეატრის ე. წ. „გასაბჭოურება" მოხდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1921 წლის 30 აპრილის დადგენილებით.

განახლებაში კი იგულისხმება, რომ „ცხვრის წყაროში" კ. მარჯანიშვილმა ქართულ სინთეზურ თეატრს ჩაუყარა საფუძველი. მასში ორგანულ მთლიანობაში იყო თავმოყრილი სპექტაკლის ყველა კომპონენტი (რეჟისურა, სამსახიობო ოსტატობა, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფია), რომელთაგან თითოეულს თავისი წამყვანი ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. იგი გამოირჩეოდა ანსამბლურობით, მასობრივი სცენებით, რეჟისორული ფორმისა და პიესის შინაარსის იდეური მთლიანობით, რაც მანამდე არსებულ სპექტაკლებს აკლდათ. ამ ძირითადმა პროფესიულმა ღირსებებმა განაპირობეს ეს განახლებაც. ასე რომ, სხვადასხვა მცნებები კვლავ აგერიათ.

შემდეგ ბრძანებთ: „ენციკლოპედია იმასაც გვეუბნება „მან სათუთად შემოინახა რევოლუციამდელი ქართული თეატრის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები, გაამდიდრა ისინი რევოლუციური იდეებითო". მკითხველის დასარწმუნებლად კომენტარში ამბობთ: „რევოლუციაში კი დიდი ოქტომბრის რევოლუცია იგულისხმება". ტრადიციებზე რატომ არაფერი თქვით. ამ ტრადიციებში იგულისხმება ისეთი სპექტაკლების დადგმა, როგორიცაა ზ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ს „მზია დაბნელება საქართველოში", გ. ერისთავის „გაყრა" და სხვა. მათში მონაწილეობდნენ: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, და ძველი თაობის სხვა სახელოვანი მსახიობები. სწორედ ასეთმა ერთობლიობამ განაპირობა რეალისტური ტრადიციების შემონახვა და გაგრძელება. წაგიკითხავთ ამ სპექტაკლების შესახებ რაიმე? რა თქმა უნდა, არა! პირდაპირ „რევოლუციას" მიადექით, რადგან თქვენთვის ესაა ხელსაყრელი. არც კი იცით, თუ რა საშუალებებით ცდილობდა კ. მარჯანიშვილი ეროვნული რეპერტუარის შექმნას. ქართულ თეატრში მან განახორციელა ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის პიესები, მანვე მიიწვია თეატრში გრიგოლ რობაქიძე, და განახორციელა მისი „ლონდა", „ლამარა" (პირველი დადგმა). ხოლო პიესა „მალშტრემი" ავტორმა დიდ რეჟისორს მიუძღვნა. გაგიკვირდათ, ბატონო გურამ? მართლაც, გასაკვირია ეროვნული ტრადიციებისათვის მებრძოლმა, როგორ გაილაშქრეთ გრ. რობაქიძის პირველი დამდგმელის წინააღმდეგ? საოცარია არა? რატომ იგდებთ თავს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?

თუ სიტყვა „რევოლუციურს" ჩავეჭიდებით და ანალიტიკურად არ გავიაზრებთ მის მნიშვნელობას, მაშინ, 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ცოტა რამ შემოგვრჩება ფასეული. უნდა მიწასთან გავასწოროთ გენიალური გალაკტიონი, ლენინზე ლექსი რომ დაუწერია, ანდა ი. გრიშაშვილი, რომლის ერთ-ერთ ლექსს „ბერიას მოედანი" ერქვა. ახლა გავიხსენოთ, რამდენ თვალსაჩინო პოეტს შეუმკია სტალინის პიროვნება. ყველანი გავიმეტოთ?

თქვენ რომ კ. მარჯანიშვილს თეატრალური ხელოვნების ლექსიკონის შედგენა მოსთხოვეთ, მწერალს კარგად უნდა მოეხსენებოდეს ამგვარი სამუშაოს შრომატევადობა. მსგავსი ლექსიკონი მხოლოდ ბოლო ათწლეულში გამოიცა. ასეთ მრავალწლიან საქმეს კ. მარჯანიშვილი მაშინ ვერ შეეჭიდებოდა და არც იყო საჭირო. საინტერესოა, რატომ თვითონვე არ სცადეთ ამ ნაკლის გამოსწორება? აქვე განაგრძობთ: „შეუდგებოდა ამ საქმეს და ამასთან ერთად დაიწყებდა რომელიმე ქართული პიესის დადგმას, მაგრამ ასე არ მოქცეულა მარჯანიშვილი".

მაშ, როგორღა მოიქცა დიდი ხელოვანი? ამის ნათელსაყოფად უკვე ზემოთ ჩამოთვლილს ქუთაისის თეატრში მოღვაწეობაც მივუმატოთ. გავიხსენოთ მისი ქართული სპექტაკლები: შ. დადიანის „კაკალ გულში", კ. კალაძის „რო-

გორ“ და „ხატიჯე“, დ. ჩიანელის „ბაილი“, დ. შენგელაიას „თეთრები“, ა. ქუთათელის „შუალამემ გადაიარა“, პ. კაკაბაძის „უვარუვარე თუთაბერი“. როგორი რუსული სულისკვეთება ჩანს, არა, ბატონო გურამ? რატომ არ დაგებადათ ახეთი კითხვა, ამ „რუსეთუმე“ რეჟისორმა ქართულ სცენაზე რატომ საერთოდ არ დადგა რუსული კლასიკური პიესები? ხოლო საბჭოთა დრამატურგთა ნაწარმოებებს მხოლოდ უკანასკნელ სეზონებში ახორციელებდა? აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სპექტაკლებზე რეჟისორებად მუშაობდნენ ე. ლოლობერიძე, გ. სულიაშვილი, ვ. აბაშიძე, ს. ჭელიძე, დ. ანთაძე. არ დაგაინტერესათ, რა მოხდა? საქმე ისაა, რომ კ. მარჯანიშვილი სპექტაკლების მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, ხოლო ფაქტობრივად დადგმებზე ზემოთ დასახელებული რეჟისორები მუშაობდნენ. მაშ, რა გამოდის, ბატონო გურამ? კ. მარჯანიშვილს ფაქტობრივად არ დაუდგამს არც ერთი რუსული პიესა ქართულ სცენაზე. საოცარია, არა? ეს ხომ არ ესადაგება თქვენს „რუსეთუმეობის“ გამზადებულ რეცეპტს, ლ. ისაკაძესა და კ. მარჯანიშვილს რომ გამოუწერეთ?

უფრო მეტს გეტყვით. კ. მარჯანიშვილი იყო პირველი ქართველი რეჟისორი, რომელმაც ხმა აღიმაღლა 1924 წლის სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ და თავისი დამოკიდებულება „ჰამლეტში“ (1925) გამოამჟღავნა „ყოფნა-არყოფნის“ თემის წინ წამოწევით. როდესაც ქართულ ინტელიგენციაში დაბნეულობა და სულიერი ტკივილი სუფევდა, უშანგი ჩხეიძის ჰამლეტიც სწორედ ამ რთულ სოციალ-პოლიტიკურ და საკუთარ არსებაში წარმოშობილ კონფლიქტებს წარმოსახავდა. ამის შესახებ სპექტაკლის მონაწილე აკ. ვასაძე წერს: „იმდენად დიდი და განსხვავებული იყო მის მიერ შექმნილი სარეჟისორო პარტიტურა „ჰამლეტის“ ავტორისეულ ტექსტთან და მოქმედების განლაგებასთან შედარებით, რომ მას უდავოდ დიდი დრო დასჭირდებოდა თავისი რეჟისორული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მთელი სცენები ხელახლა უნდა აეწყო და გადმოეტანა ჩვენთან სამუშაოდ“. აი, როგორ განწყობილებას ქმნიდა ეს „რუსეთუმე“ რეჟისორი ქართულ სცენაზე, რომლის გაგებაც თქვენს შესაძლებლობებს აღემატება... ამიტომაც წერთ ასე იოლად...

ახლა ვნახოთ, რას წერდა განათლების სახალხო კომისარი ა. ლუნაჩარსკი კ. მარჯანიშვილის შესახებ 1930 წლის 12 მაისს თეატრის შესახებ გამართულ დისკუსიაზე: „ფერთა სიუხვემ, სალებავთა მრავალნაირობამ ფორმათა სიმტკიცესთან ერთად, რომელიც ადრეც გვაოცებდა მარჯანიშვილის შემოქმედებაში, ქართულმა სტილმა და იმ ენამ, რომელიც ასე დიდებულად აჟღერდა ჩვენთვის სცენიდან (ხაზი ჩემია გ. მ.) შექმნეს რაღაც განსაკუთრებული ჰარმონია. ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, თვით მარჯანიშვილის ნაციონალური თვალთახედვით, რომელსაც თავის მშობლიურ ნიადაგზე უნდა ენახა მეტი მაცოცხლებელი ძალა, ვიდრე რომელიმე სხვა გარემოცვაში“. [illegible] ხედავთ, დიდი რუსი კრი[illegible]ი რამდენ ქართულ თვისებებს ხედავდა კ. მარჯანიშვილში, ხოლო თქვენ, ქართველმა მწერალმა, საიდან დაინახეთ ამდენი რუსული მის ხელოვნებაში?

მართალს ბრძანებთ, როდესაც ვ. გუნიასა და ვ. აბაშიძის ღვაწლს იხსენიებთ. მაგრამ უხერხულია თქვენი განცხადება: „და აი, ბოლშევიკებმა ამ ქართველი მოღვაწეების და ქართული სიტყვის მაგიერ თეატრის ხელმძღვანელად დააყენეს კაცი, რომელიც რუსი რეჟისორი იყო და რუსულად აზროვნებდა“.

ამას არ დაწერდით, იმდროინდელ ქართულ პრესას რომ იცნობდეთ. 1921-1922 წლების თეატრალური სეზონის შეჯამებისას მწერალი რაჟდენ გვეტაძე აღნიშნავდა: „მიმდინარე თეატრალური სეზონი ჩვეულებრივზე უფრო უხეირო და ხერხემალმოღუნული.. სეზონის კრახი უდავო ფაქტია, რომელსაც ვერ გაამართლებს ვერავითარი მიზეზის კონკრეტიზაცია... მთელ სეზონში არ ყოფილა ერთი წარმოდგენა გამართლებული... საჭიროა ქართული თეატრის გარდაქმნა, რომ ტრადიციული რაობა ქართველი მსახიობის ხელოვნების წმინდა ყალიბით გაიშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია სცენამ დაკარგოს თავისი პირდაპირი დანიშნულება“. სხვა გაზეთებშიც ეწერა, თეატრს საზოგადოება აშკარად გაურბისო. აი, ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი. ამას ვერ უშველეს ვ. გუნიამ და ვ. აბაშიძემ. მათთვის არავის აუკრძალავს სპექტაკლების დადგმა. თქვენ არ იცით, რომ მათ კ. მარჯანიშვილის ჩამოსვლამდე ერთობლივად განახორციელეს „სიძე-სიმამრი“-ს დადგმა. ვ. აბაშიძემ ცალკე დადგა „ხანუმა“, „პეპო“, ვ. გუნიამ კი „დამნაშავე“. მაგრამ ამ სპექტაკლებმა იმდროინდელ ქართულ თეატრში სასიკეთო ძვრები ვერ მოახდინეს. თუ შეძლებთ ამ ვითარების პროფესიულ შეფასებას? ვერ შეძლებთ, ბატონო გურამ, ვინაიდან კვლავ არაკომპეტენტურობა შეგიშლით ხელს. არც ის იცით, რომ ამ დროს ქართულ თეატრს პროფესიონალი რეჟისორი აკ. ფალავა ხელმძღვანელობდა, თორემ ამ ფაქტსაც კ. მარჯანიშვილის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდით.

ამასთანავე, მოგყავთ ვ. გუნიასა და ვ. აბაშიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაგალითები, თუ ვინ, როდის, რომელი ჟურნალ-გაზეთი დააარსა და რა ნაშრომი დაწერა. ჯერ უნდა გაგერკვიათ, რა აქვს საერთო ამ საქმეს რეჟისურასთან. ვერც კი ხვდებით, რომ ერთმანეთს კვლავ თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა მხარეს უპირისპირებთ.

საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ კ. მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის შესახებ. ამიტომ წერთ: „შემდგომში ქართული თეატრიდან წასვლაც მისთვის მორიგი ქალაქიდან წასვლა იყო და სხვა არაფერი“. უნდა მოგახსენოთ, რომ კ. მარჯანიშვილი მისმავე მოწაფეებმა გააგდეს და კრებებიც კი მოუწყვეს (ამის შესახებ წაიკითხეთ რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის მოგონებები). ეს იყო მარჯანიშვილის უდიდესი ტრაგედია და ის იძულებული გახდა მოსკოვისთვის შეეფარებინა თავი. სწორედ ამ კონფლიქტზე დარდმა მოუღო ბოლო. თქვენ ისიც არ იცით, რომ ოპერეტის გარდა, მან მცირე თეატრში ფ. შილერის „დონ კარლოსი“ განახორციელა, რომლის გენერალურ რეპეტიციასაც ველარ მოესწრო. ამ შემთხვევაში მაჩაბლის მაგალითი უადგილოა, რადგან იგი ბრძოლაში დაიღუპა და ამიტომაც ველარსად წავიდოდა. როგორღა მოქცეულიყო ჯერ კიდევ ცოცხალი მარჯანიშვილი? საქართველოს რომელ რაიონულ თეატრში უბრძანებდით წასვლას? ამ პრინციპით თუ იხელმძღვანელეთ, მაშინ დიმიტრი ალექსიძის განქიქებაც მოგიწევთ, ვინაიდან კონფლიქტის საფუძველზე მანაც კიევის თეატრს მიაშურა. გაბედავთ კი?

მიუღებელია თქვენი განცხადებაც: „რუსული კი ის იმიტომაა, რომ ამ თეატრის მოღვაწეთა უმრავლესობა რუსულად აზროვნებს და ერთმანეთს რუსულად ელაპარაკება“. აქ მხედველობაში გყავთ კ. მარჯანიშვილი და ალ. ხუმთაშვილი (რადგან სხვებს არ ასახელებთ). კიდევ კარგი, დღემდე არ იცოდით, რომ რუსულ სცენაზე მოღვაწეობდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი ოსტატები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. ალექსი-მესხიშვილი, გ. დავითაშვილი, ა. ჰაბუკიანი, მაგრამ მათთვის არავის დაუწამებია „რუსეთუმობა“, რამეთუ ისინი ეროვნულ კულტურას უანგაროდ ემსახურებოდნენ. პირად საუბარში ვ. ანჯაფარიძეც და აკ. ხორავაც ხშირად რუსულს მიმართავდნენ, მაგრამ როგორი ქართულით მეტყველებდნენ სცენაზე? აბა, მოუძებნეთ ნაკლი, ამხილეთ ეროვნულ ღალატში.

თუ მხედველობაში ცოცხალი მსახიობები გყავთ, მაშინ თქვენი პოზიცია პირდაპირ უნდა გამოამჟღავნოთ, მაგრამ ალბათ ვერ უბედავთ., ისე კი, შეხაშფოთებელი არაფერი გაქვთ. დღევანდელ მოღვაწეთაგან ბევრმა თქვენს მიერ ნანატრი რუსული ისე არ იცი[illegible]ის, რომ ამით ქართულ თეატრს საფრთხე შეუქმნას. თითო-ოროლა მსახიობი თუ არის შემორჩენილი, ვინც რუსულ სცენაზე სპექტაკლის თამაშს გაბედავს.

თანამედროვე თეატრს რაღას ერჩით, როცა წერთ: „ქართული რუსული თეატრის შექმნა პირველი ნაბიჯი იყო. ამ თეატრის ყოველი კუთხე-კუნჭული უკვე რუსულია და მხოლოდ სცენაზეღა ისმის ქართული. მეორე ნაბიჯი ის იქნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსახიობებს სცენაზეც დაეზარებათ ქართული ლაპარაკი. ასე უკვე მოხდა ზოგიერთი ხალხის თეატრში“.

ჯერ ერთი, „ზოგიერთ ხალხს“ ნუ შევადარებთ ქართველ ერს. ისტორია ყველა ხალხისათვის იდენტური არ არის. მეორეც — ერთი მაგალითი მაინც დაგესახელებინათ ქართული თეატრის გარუსებისა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ. ვინ მოგცათ უფლება, ასე თვითდაჯერებით შეურაცხყოთ ქართველი მსახიობი, რომელიც ქართული სიტყვის თქმას არასდროს შეუშინებია და რაღა ამ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისას უღალატებს ერს? რას მივაწეროთ თქვენი უსაფუძვლო ამოჩემება „ბეჩავი ქართული რუსული თეატრის“ შესახებ, როდესაც ამდენი იწერება რუსთაველის, კინომსახიობთა, მარიონეტებისა და სხვა თეატრების საგასტროლო წარმოდგენებზე და, საერთოდ, ქართული თეატრის ფენომენის შესახებ? ნუთუ პრესას არ ადევნებთ თვალყურს? ტელევიზორს არ უყურებთ?

მართალს ბრძანებთ, როდესაც თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგებზე წერთ, რადგან ქართული ენის ცოდნის მიუხედავად რუსულ ენაზე საუბარი ზოგიერთთათვის ცოდნისა და ერუდიციის გამომჟღავნების საშუალებად გამხდარა.

მართალი ხართ იმაშიც, რომ ქართველი კაცი, პროფესიის მიუხედავად, ქართულად უნდა მეტყველებდეს. ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ ამავე დროს ასევე გასარკვევია, რა მიზნისთვის იყენებს ადამიანი ამა თუ იმ ენას და ვის კულტურას ემსახურება.

მართებულია ისიც, რომ კ. მარჯანიშვილმა ქართული ენა სუსტად იცოდა, ვინაიდან იგი მეოთხედი საუკუნე რუსეთის სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობდა, ხოლო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ანდრია რაზმაძის მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა და მუშაობა შვიდ წელს არ აღემატება. ვფიქრობ, ეს გარემოება გასათვალისწინებელია მსგავსი მოვლენების განხილვისას. მაგრამ ხელოვნებაში უფრო ყურადსაღებია შემოქმედის პოზიცია, რომელსაც თავისი პროფესიით გამოხატავს. თქვენ კი ქართული ენის უცოდინარობას მიაყოლეთ კ. მარჯანიშვილის მთელი შემოქმედება და იგი თითქმის ერის მტრად გამოაცხადეთ. გასაკვირია, რატომ საერთო განსჯაში არ მოაქციეთ მის მიერ გადაღებული კინოფილმებიც. ასე ხომ „მტრის“ უფრო გლობალურ პორტრეტს დახატავდით.

თქვენ, კინორეჟისორი, მსჯელობთ ქართული თეატრის შესახებ, ხოლო ქართული საბჭოთა კინორეჟისურის ჩამოყალიბებაზე რატომღაც ხდუმხართ.

ქართულ კინოს რომ შეხებოდით, უნებლიეთ საკუთარ თავსაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდით. აბა დაუკვირდით! თქვენ უკვე ათი წელია კინოსარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრეთ და, ნებსით თუ უნებლიეთ, საბჭოთა კინორეჟისორთა რიგებში ჩადექით. ამრიგად, თქვენ საბჭოთა იმპერიის კინემატოგრაფიას ემსახურებით. თუ ეს გარემოება კ. მარჯანიშვილისათვის უდიდესი დანაშაულია, მაშინ თქვენც არანაკლები პასუხისმგებლობა გეკისრებათ — ორივე საბჭოთა იმპერიის ხელოვნების მსახურნი ყოფილხართ.

აქვე მინდა გკითხოთ, რატომ არაფერს წერთ კინომოღვაწეთა „რუსეთუმეობაზე“? განა სრულყოფილად ქართული ყველამ იცოდა?

უკიდურეს პოზიციას ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე და არც თქვენ გარგებთ რამეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმბოლური იქნება

ხუთი წლის წინ ჩემს ჯგუფელებს (ადრინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი) მოკლედ გავაცანი ჩემი აზრი შევწევნოდით ჩვენი ძალით დედაციხის კომპლექსის რესტავრაციას, თანაც ბუნებრივად მეორე საქმეც მოგვარდებოდა, ერთმანეთთან ხშირ-ხშირი შეხვედრით სტუდენტური წლები და განცდები არ მინავლდებოდა.

სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ ჯგუფელებმა (აბა, რის მშენებლები ვართ) მაშინვე მხარი ამიბეს და ამის შემდეგ გაჩნდა თბილისის დედაციხეზე „დედაციხის მხედრიონი“. თუმცა მალე ამ მხედრიონის კაცებს დედაკაცებმაც მხარი აუბეს და ასე ხუთი წლის მანძილზე, ყოველ კვირას უამრავი „უცხო“ ხალხიც დაგვახლოვდით. ყველა ჩვენ-ჩვენ წილ „სარესტავრაციო“ საქმეს ვაკეთებთ. უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი ოთარ ტუშელაშვილი) მრავალი საინტერესო ძეგლი გამოვლინდა. აღმოჩნდა ტაძრის გუმბათის ნიშნებიც, წარწერიანი ქვები და ა. შ. ჩვენთვის, როგორც მშენებლებისათვის გაოცებას იწვევს სამშენებლო მასალების და მშენებლობის ტექნიკის მრავალფეროვნება დედაციხის კომპლექსში, მარტო ოთხკუთხა კოშკი რად ღირს? ქვა-ღორღისაგან გაწმენდილი ტრანშეს ქვეშ ციხესიმაგრის ისეთი ნაწილები ვნახეთ, რომელმაც პროექტის ავტორს საშუალება მისცა აქამდე ბურუსით მოსილი რესტავრაციის საკითხები გაერკვია. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ ხუთწლიან ურთიერთობაში და შრომაში ჩამოყალიბდა აზრი, ჩვენი არაფორმალური გაერთიანება სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის სახელობისა ყოფილიყო. საზოგადოებამ იურიდიული პირის სტატუსი დიდი ხანი არ არის რაც მიიღო. არსებობის ხანმოკლე პერიოდში სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად, ჩვენი შრომით დახმარება გავუწიეთ რესტავრატორებს — ათასობით კუბური მეტრი მიწა გავიტანეთ დედაციხის ტერიტორიიდან. სამზეო იხილა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის დასავლეთის ფასადმა. გასულ წელს დაიწყო და დასასრულს უახლოვდება გუმბათიანი ტაძრის რესტავრაციის სამუშაოები. მრავალწლიანი, მრავალკვირეული პოლემიკის შედეგად დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ როგორმე აიგოს იმგვარი ტაძარი, როგორიც იყო XIII საუკუნეში. ძველის ნაშთები კი მკაფიოდ გამოიყოს ახალი ნაწილისგან. ტაძრის მთლიანად აშენების საკითხი აინტერესებთ და აღელვებთ არა მარტო დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრებს, არამედ დედაციხის მრავალრიცხოვან სტუმრებსაც. აღდგება თუ არა გუმბათიანი ეკლესია ძირითად კონტურებში მაინც? აღმაშენებლის საზოგადოების წევრთა პასუხი ერთია, საჭიროა აღდგეს. საჭიროა აღდგეს, როგორც ქალაქის ხედებისათვის, აგრეთვე სულიერი თვალსაზრისითაც. საზოგადოების წევრთა სურვილიც ხომ იყო, მათ მოძმეს, ირაკლი კალანდაძეს სასულიერო განათლება მიეღო, რათა შემდეგ განსწავლული დაბრუნებოდა წმინდა ნიკოლოზის ტაძარს, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ უწყებათა და კერძო პირთა საქველმოქმედო საქმეები. სამაგალითოა ბოლნისის კოლმშენის ქვის დამამუშავებელი ქარხნის მშრომელთა დახმარების ფაქტი ტაძრის აღსადგენად. საწარმოს თავკაცობს ამბროსი მაისურაძე, რომელსაც გულწრფელად მიაჩნია, რომ ტაძრის აღდგენაში მონაწილეობით კარგ საქმეს აკეთებს. მან უკვე რამდენიმე ათეული კუბური მეტრი აკურთის ტუფის ქვა შემოზიდა სარესტავრაციო სამუშაოების შეუფერხებლად წარმოებისათვის, ორგანიზაციამ შეფობა იკისრა ძეგლზე.

როგორც კი დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, ტაძართან გაჩნდა მექანიკური ამწე, ქვის დასამუშავებელი ავტომატური საჭრეთელი, ალმასის აბრაზით გაწყობილი ბირდაბირი, სპეციალური ურიკა და, რაც მთავარია, დროებითი სამანქანო გზა, ურომლისოდაც დედაციხის რესტავრაციას საშველი ვერ დაადგებოდა. სწორედ გზამ შეამცირა სარესტავრაციო სამუშაოების თვითღირებულება, დააჩქარა გამაგრებითი და სხვა სამუშაოები, გაიზარდა ათასობით კუბური მეტრი გადამუშავებული მიწა, ქვალორღი, გაუქმდა ძვირად ღირებული მონორელსი, რომელიც აშკარად აქვეითებს დედაციხის გარეგნობას და ამიტომ რაც შეიძლება დასაჩქარებელია მისი დემონტაჟი.

რესტავრატორებსა და საზოგადოების წევრებს სტიმულს აძლევს მეცნიერების: ვახტანგ ბერიძის, ვახტანგ ცინცაძის, პარმენ ზაქარაიას, ირაკლი ციციშვილის, მსახიობის ზურაბ ქაფიანიძის სტუმრობა. საზოგადოების წევრებს არ ავიწყდებათ ზვიად გამსახურდიას, კურთხეული მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის ამოსვლა დედაციხეზე, დიდად ვაფასებთ ხელმძღვანელი ამხანაგების გივი გუმბარიძის და ირაკლი ანდრიაძის თანადგომას დედაციხეზე გაშლილ საერო საქმიანობაში. ცალკეა აღსანიშნავი ცნობილი მხატვრის ზურაბ წერეთლის ინიციატივა, რომელიც საკუთარი სახსრებით თვითონვე შეასრულებს დიზაინის სამუშაოს მრავალ სახეობას. მათ შორის ქმნის ქართული საეკლესიო ზარის მხატვრულ ვარიანტს. იმედს გვისახავს დედაციხის რესტავრაციაზე მომუშავე ბადრი ტრაპაიძის ამქრის პროფესიული და თავდადებული მუშაობა ტაძრის ასაგებად. ბარემ აქვე უნდა ვთქვა, რომ, როგორც შევიტყვეთ, რევოლუციის შემდეგ მრავალი ეკლესიის ზარი დაიტაცა სხვადასხვა უწყებამ, მათ შორის, სახანძრო ნაწილებმა და სკოლებმა. საზოგადოების თხოვნით სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა ჯუმბერ სურმავამ ითავა მოიკვლიოს ყველა ზარი და გადასცეს საპატრიარქოს. რამდენიმე ზარი უკვე აღმაშენებლის საზოგადოებას ხელთ აქვს. რა თქმა უნდა, ერთი დიდი ზარი დედაციხის წმინდა ნიკოლოზის ტაძარსაც უნდა ერგოს. მთავარი ეს არ არის, მთავარი მაინც ტაძრის აგება გახლავთ. სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებას ღრმად სწამს, რომ წმიდა ნიკოლოზის ტაძარი თბილისის დედაციხეში აღდგება და ქვეყნის სამსახურში ჩადგება. უნდა გავიმხილოთ, რომ ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება თაბორის მთაზე ოდესღაც არსებულ ფერისცვალების ეკლესიასაც ეხება, განა ერთგვარ სიმბოლურ სამებას არ მივიღებთ? მეტეხის, თაბორის და დედაციხის ტაძართა აღდგენით. სამ ეკლესიაში ოდესღაც ხომ ერთდროულად აღევლინებოდა ლოცვა? ავაგოთ სრულიად თანამედროვე ღვთის ფერისცვალების ტაძარი თაბორზე — წმიდა ადგილზე.

აღმაშენებლის საზოგადოების თითოეული წევრი მზადაა თბილისის სატაძრო ნაგებობების აღსადგენად. როგორც ამბობენ, ძველად ტაძრების ნახევარს ერი აშენებდაო, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე გამოვლენილ წარწერაშიც ხომ აღნიშნულია, რომ მის მშენებლობას „დაემატა მადლი იხნელთა“. როგორც იტყვიან, საზოგადოებას შესწევს ძალა ქადილისა, მშენებლობის ყოველგვარი ტექნოლოგიური პროცესის წესების დაცვით, შესაძლებლად ვთვლით ძეგლთა დაცვის სამსახურთან ერთად, აღვადგინოთ ტაძარი მთლიანად. ასე შეეფერება აღდგენილი ტაძარი სუვერენულ, დამოუკიდებელ საქართველოს პირველ წელს.

**რომან გვენცაძე,**
სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი

# ქართული მიხაკები, რუსული ტაძრის აღდგენის ფონდი...

«Несчастье русской литературы.., в том.., что она лезет в чужие дела, направляет чужие судьбы, высказывается по вопросам, в которых она ничего не понимает, не имея никакого права соваться в моральные проблемы, осуждать, не зная и не желая знать ничего...».

**Варлам ШАЛАМОВ,**
«Новая проза».

როდესაც ქართველობას რუსულ პრესაში გვლანძღავენ და ჩვენდა გულმოსაოხებლად ამგვარ ქმედებას ქართული პრესის მეშვეობით ვეხმიანებით, ცხადია, იმის იმედად არ ვრჩებით, რომ მავანი და მავანი წაიკითხავს და გონს მოეგება, ან არა... უბრალოდ, ჩვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს ამის შესახებ.

„ნოვი მირმა" (1990, № 2) დაბეჭდა ვინმე ვლადიმერ კრუპინის ორი მოთხრობა. ერთის სათაური „ცეცხლფარეშის შვილები". სიუჟეტი ჩვეულებრივია, არახალი — აბანოს საცეცხლფარეშოში შეყრილან ლოთები, არაყს „ურტყამენ", ერთ-ერთი ლოთის შვილები (განათლებულები) მოსულნი არიან აქ იმისათვის, რომ თავიანთი მამა ქალიშვილის დაბადების დღეზე ფხიზელი წაიყვანონ. ამაოდ გაირჯებიან, ძლივს წააჩოჩიალებენ სახლში...

აღვნიშნეთ, სიუჟეტი არახალია, ძველია-მეთქი, ოღონდ ლოთების აზროვნებაა „ახლებური".

მოვუსმინოთ...

«— А вот грузин на рынке мне говорит... — сказал один безымянный собеседник, — плесни, хорош! Говорит: я бастовать не буду. Это я ему сказал: чего ты тут торгуешь, слыхал, что в Тбилиси? Он говорит, если отделимся, кому я гвоздики буду продавать, кто их там у меня купит.

— Смотри, какой любопытный экономический подход, — прокомментировал только для меня брат — доцент.

— Мы слаборазвитый рынок сбыта, — вступил наш отец. — Купим все, чего не выкинь. Нас держать в нищете выгодно...».

მოთხრობების ბოლოში წერია:

«Автор переводит гонорар в фонд восстановления храма Христа Спасителя»...

თუ ზოგიერთ რუს მწერალს ჰგონია, რომ ქართველთა ლანძღვით მათი ტაძრები აშენდება, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!..

**ოლეგ გოლიაძე**

---

# სარანგი

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება

პირველ აპრილს ქართველმა მკითხველმა მიიღო სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთი „სარანგი", რომელიც ამიერიდან თვეში ორჯერ გამოვა.

გაზეთი მკითხველს აცნობს თავის მიზნებსა და ამოცანებს: „გაზეთი „სარანგი" გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც დამახასიათებელი იყო და არის მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული გაზეთებისა და ჟურნალებისათვის. კომუნისტური რეჟიმის უსასტიკესი ცენზურის პირობებში შექმნილი მათი თვითგამოცემები მართალი სიტყვით აჩვენებდნენ და აჩვენებენ იმ საზარელ მდგომარეობას, სადამდეც ქართველი ერი და საქართველო მიიყვანა უკანონო კომუნისტურმა მთავრობამ, სახავდნენ და გვისახავდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზებს.

გაზეთი „სარანგი" ერთგული დარჩება ამ ტრადიციებისა. იგი თავისი მართალი სიტყვით ამხელს და ებრძვის ყველას, ვინც ხელჰყოფს ერის სასიცოცხლო ინტერესებს, მის ღირსებას.

ჩვენს მკითხველებს შევახსენებთ „სარანგის" საბასეულ განმარტებას: „სარანგი" ესე არს რაოდენთა კაცთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდენ"...

იმედი გვაქვს, სახელწოდებ გამოხატავს გაზეთის შინაარსს.

---

მკითხველმა მიიღო „ნატვრისთვალის" პირველი საგაზაფხულო ნომერი. იგი კომერციული ფირმა „ვესტას" მიერაა გამოცემული.

ეს პირველი ნომერი იმითაა საინტერესო, რომ პირველი ქართული მასობრივი ფერადი გაზეთია. „როგორც ცდა და ექსპერიმენტი, ჩვენი ეს ნომერი, ბუნებრივია, დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისაგან, რომელთა გამოსწორება, ალბათ დროისა და გამოცდილების საქმეა".

მივესალმებით პირველი ქართული ფერადი გაზეთის დაბადებას, და გვჯერა, რომ ეს ჩვენი პერიოდული პრესის პოლიგრაფიული დონის ამაღლების საწინდარი იქნება.




„ნატვრისთვალის" შემოქმედებით კოლექტივს ხელმძღვანელობს რედაქტორი — პაატა ნაცვლიშვილი.

---

# ტრადიციებთან სიახლოვე



მოქანდაკე გივი მიზანდარის, როგორც მოქალაქისა და შემოქმედის ცხოვრება და მოღვაწეობა მეტად მნიშვნელოვანი, საინტერესო და ნაყოფიერია. ენერგიული, მუდამ შემართული, ახლის მაძიებელი შემოქმედი, თავისი ქვეყნის ერთგული და მოყვარული — ასე შეიძლება „ესკიზურად" მოიხაზოს მისი პიროვნული პორტრეტი.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე (1959 წ.) აღიარეს, როგორც შემოქმედი. მისმა სადიპლომო ნაშრომმა, მონუმენტურმა ორფიგურიანმა კომპოზიციამ „ოსვენციმი არ განმეორდეს" მაღალი შეფასება მიიღო და საპატიო ადგილი დაიკავა ოსვენციმის მუზეუმის საგანგებოდ შერჩეულ ექსპონატებს შორის პოლონეთში.

ტრაგიკული ექსპრესიით სავსე კომპოზიცია საოცრად მხნე და შეუვალი გმირის სახეს ქმნის. იგი იმედის, გამარჯვების, უკვდავების სიმბოლოდ აღიქმება. სწორედ ეს ნიშანი გამოარჩევს ამ ნამუშევარს სხვა ექსპონატებისაგან.

აკადემიის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა მხატვარი მივლინებით გაგზავნეს ვიეტნამში, ჰანოის სამხატვრო ინსტიტუტში. ახალგაზრდა კაცი ასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. შორეულ აღმოსავლეთის ქვეყანაში ბევრი რამ იყო მისთვის გასაოცარიც და შეუცნობიც. ვიეტნამელთა ყოფა, ხასიათი, ხელოვნება დიდ იმპულსს აძლევდა. იგი გატაცებით და ნაყოფიერად მუშაობს; მაგრამ ამავე დროს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის და სიყვარულის გრძნობა ეუფლება საკუთარი სამშობლოს მიმართ. თავის შემოქმედებას თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას სწორედ ამ საზომით ზომავს. დღეს გივი მიზანდარს შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი აღზრდილი სტუდენტები ამ ქვეყნის სახელოვან მხატვრების მთელ პლეადას ქმნიან.

ვიეტნამის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხო ში მინის პორტრეტი. საყურადღებოა, რომ ხო ში მინმა თვითონ მოისურვა გივი მიზანდარის გაცნობა და მხატვარს საშუალება მიეცა ნატურიდან გამოეძერწა მისი გამოსახულება. ეს ამ ქვეყანაში უნიკალური შემთხვევაა.

ამ პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევარი შექმნილია სტუდენტებთან ერთად. კომპოზიცია წარმოადგენს მუშის განზოგადებულ გამოსახულებას. იგი აღიმართა მნიშვნელოვან ნავსადგურ ჰაიფონგში და სულ მალე გამარჯვების, თავისუფლების, ვიეტნამელი ხალხის უძლეველი, ვაჟკაცური სულის სიმბოლოდ იქცა.

1968-1970 წლებში გივი მიზანდარი კვლავ გაემგზავრა მივლინებით. ამჯერად იგი მიიწვიეს კამბოჯის სამეფო ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც ქანდაკების სპეციალობას ასწავლიდა. მისი შემოქმედება აქაც ისევე ნაყოფიერი და მაღალკვალიფიციური იყო, როგორც ვიეტნამში. შექმნა მრავალი პორტრეტი, მონუმენტური კომპოზიცია. აქაც, ვიეტნამის მსგავსად, ომმა მოუსწრო და კამბოჯელებთან ერთად ხუთი თვის განმავლობაში განიცადა ომის საშინელებანი.

გივი მიზანდარმა ამ ქვეყნებში მიღებული დიდი შთაბეჭდილებები ორ წიგნად შეკრა, სადაც სიყვარულით, სითბოთი გვიამბობს ვიეტნამელ და კამბოჯელ ხალხზე, მათ ყოფასა და სულიერ კულტურაზე. თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ კონტაქტებს, ამის ნათელი მაგალითია ქართველი მოქანდაკის ხსენებული მოღვაწეობაც. იგი თავისი შემოქმედებით ყველგან ქართველი დარჩა, სხვა ხალხიც აზიარა თავისი ქვეყნის სულს.

მისი მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი მთლიანად უკავშირდება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას. 1964 წელს იგი იწყებს მუშაობას პედაგოგად, 1974 წლიდან დღემდე კი სახვითი ფაკულტეტის დეკანია, სალისით ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგალითად, მან საკუთარი ხარჯით და ინიციატივით მოაწყო სახვითი ფაკულტეტის სტუდენტების ნამუშევრების რამდენიმე გამოფენა. თვითონ შეადგინა კატალოგი, აფიშა. პირველი ასეთი გამოფენა მოეწყო 1984 წელს. მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა, როგორც აკადემიაში, ისე საზოგადოებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა 1989 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იყო ამერიკელთა პირველი შეხვედრა ქართველ ახალგაზრდა მხატვრებთან. საგანგებოდ შერჩეული ექსპონატები წარმოგვიდგენდა სხვადასხვა ხასიათის და მიმდინარეობის შემოქმედებას, გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მოწონებაც დაიმსახურა. გაიმართა შეხვედრები. გ. მიზანდარმა ქართულ ხელოვნებაზე წაიკითხა მოხსენება, უჩვენა სლაიდები, სამოყვარულო ფილმები საქართველოზე, სტუდენტთა ლაშქრობებზე და სხვა. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა ამერიკის და საქართველოს შემოქმედ სტუდენტთა ურთიერთგაცვლა.

უფრო ადრე, 1979 წელს, გივი მიზანდარმა ქუთაისში მოაწყო სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტის ყველა პედაგოგის ნამუშევართა რეტროსპექტული გამოფენა. შეადგინა კატალოგი, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა მონაწილის ფოტო და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

გივი მიზანდარს ბევრი საინტერესო, ეროვნული ხასიათის, ინდივიდუალური ხელწერით შესრულებული ნამუშევრები აქვს შექმნილი. მარტო ვიეტნამური და კამბოჯის პერიოდიც კი საკმარისი იქნებოდა მისი, როგორც მხატვრის შეფასებისათვის, მისი როლისა და ადგილის განსაზღვრისათვის ქართულ თანამედროვე სახვით ხელოვნებაში. სამშობლოშიც ბევრი რამ შექმნა, მაგრამ მხატვარი გამოარჩევს მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარს. მაგალითად, მ. ჯავახიშვილის ძეგლს ქ. მარნეულში, რომელიც მწერლის 100 წლისთავისათვის შეიქმნა. ვეება, ბუნებრივ კლდეში ჩაჭედილია მწერლის ბრინჯაოში შესრულებული პორტრეტი. თავი ხელის მტევანს ეყრდნობა. უდავოდ საინტერესო მხატვრულ-იდეური მიგნებაა სალი კლდის კომპოზიციის შეყვანა შემადგენელ ნაწილად — მ. ჯავახიშვილის ძლიერი, უტეხი ბუნების სიმბოლოდ. ძეგლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

1985 წელს ჰანოიში აღიმართა ხო ში მინის ქანდაკება.

გივი მიზანდარს ყოველთვის იტაცებდა თავისი ერის ისტორია და კულტურა. ეს დამოკიდებულება აისახა რელიეფებში „თამარ მეფე", „დავით აღმაშენებელი", „დავით გარეჯი"; პორტრეტებში „შოთა რუსთაველი", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „ვაჟა-ფშაველა", „ეგნატე ნინოშვილი" და სხვა.

სულ ახლახანს ცხრა აპრილის შემზარავი გარიყრაჟიც აღიბეჭდა რელიეფის სახით.

გივი მიზანდარის პერსონალურ გამოფენებს, ჩვენს რესპუბლიკაშიც და საზღვარგარეთაც ბევრი მაყურებელი გაეცნო. მისი შემოქმედება უშუალოა, ალალი, ადვილად აღსაქმელი და გასაგები. ყოველთვის კეთილსინდისიერებითა და ოსტატობითაა აღბეჭდილი. იგი არ ეძებს ხელოვნურ, გარეგან ეფექტურ ფორმებს. სადა, მაგრამ შინაგანი ძალით დატვირთული ექსპრესიული გამოსახულება ხელოვნების იმ ტრადიციებთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს, რომლებიც გარდაუვალ სილამაზის კანონებს უკავშირდება. გივი მიზანდარის — შემოქმედის და მოღვაწის საქმიანობა დიდი ხანია იმსახურებს საზოგადოებრივ ყურადღებას. მხატვარი დღეს წარდგენილია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე.

**ნანა კიკნაძე**

---

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს მწერალ თამაზ ბიბილურს დედის

**ნინო კასრელიშვილი-ბიბილურის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობს თამაზ ბიბილურს დედის

**ნინო კასრელიშვილი-ბიბილურის**

გარდაცვალების გამო.

---

მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ შილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი.**



**რედაქციის მისამართი:**
**380008, თბილისი,**
**გუდიაშვილის**
**მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-08-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ლიტერატურული საქართველო**

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00229